

1581/2

საქართველო
ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მთავრობის დარგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1981 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1981 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

13. საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღებულების დამტკიცების შესახებ.
14. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილებით დიდი სამამულო ომის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთათვის დაწესებული შეღავათების მოქმედი არმიის თავისუფლად დაქირავებულ შემადგენლობაზე გავრცელების შესახებ.
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ.
16. მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.
17. საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
18. „პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 102 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

- 19. რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის დათვალიერების ერთიანი დღის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 20. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ.
- 21. შენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის შესახებ.
- 22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.
- 23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.
- 24. საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
- 25. საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტონების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- 26. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
- 27. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დანახარჯების დაგეგმვისა და დაფინანსების წესის გაუმჯობესების შესახებ.
- 28. საქართველოს სსრ წყალმომწველი საზოგადოებისათვის სამაშველო სამსახურის მთლიანად გადაცემის შესახებ.
- 29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 აპრილის № 258 დადგენილებაში დამტკიცებული 1981 წლისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშობრივი დარაიონების ცვლილებისა და დამატების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 6 მაისის № 349 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
- 30. სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდვარ პირთა და მათი ოჯახების შედგაეთების დებულების დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილების თაობაზე.
- 31. სსრმაშელო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შედგაეთების დებულების დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილების თაობაზე.
- 32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 იანვრის № 89 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
- 33. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

34. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 იანვრის ბრძანებულებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ.
35. ქ. თბილისის საფთვიაქო სამმართველოს შექმნის შესახებ.
36. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სწარმოებში წარმოების დარგობრივი (სამქრო) პრინციპის დანერგვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ.
37. „ტრანსპორტის მიწების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილების თაობაზე და „საქართველოს სსრ და ამერიკაეკსიის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგზაო მეურნეობის მმართველობის დარგში გამოცემული ზოგიერთი დადგენილების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 იანვრის № 46 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.
38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებაზე მე-15 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ.
39. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი დებულების დამტკიცების შესახებ.



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

17087

13

საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის დაზუსტების დამატების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციისადმი ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობას დღემდე არ გააჩნია ერთიანი სისტემა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ადგილებზე გეგმიან-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას წყალდიდობის მავნე შედეგების თავიდან აცილებისათვის. ნაცვლად იმისა, რომ წყალდიდობის ან სხვა უარყოფითი სტიქიური მოვლენების პერიოდში დარაზმონ თავიანთ განკარგულებაში არსებული შესაბამისი ორგანიზაციები, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსები წყალდიდობის საწინააღმდეგო გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად, ისინი კმაყოფილდებიან სსვადასხვა ინსტანციის ინფორმირებით და ხშირად, ამახინჯებენ რა საქმის ფაქტიურ ვითარებას, პრაქტიკულად აყენებენ არასაკმარისად დასაბუთებულ მოთხოვნებს დამატებითი რესურსებისა და დაწესებულებათა ყურადღებას მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად, მთავრობის ორგანოების სპეციალურ გადაწყვეტილებათა მოლოდინში.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციასთან და მათი შედეგების ოპერატიულ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ.
2. დაევალოთ საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დემუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, საწარმოებსა

დ. მარტოვიძე

და დაწესებულებებს მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შივარდნიძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
უ. პატარიძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 10 მარტი, № 203

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 10 მარტის № 203 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ

I. ფუნქციების განსაზღვრა და მოვლენების დახასიათება

1. ეს დებულება ითვალისწინებს კაპიტალური მშენებლობის გეგმებით გაუთვალისწინებელ დროებით, გადაუდებელ და ავარიისაწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილი სპეციალური დაფინანსების ხარჯზე შესასრულებელ წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა ორგანიზაციის სისტემას.

2. ცნება „წყალდიდობა“ გულისხმობს საშიშ პიდროლოგიურ მოვლენას, რომელიც წარმოიშობა მდინარის ხეობის ფარგლებში თოვლის დნობისა და წვიმის გამო წყალმეტობისა და წყალმოვარდნის დროს მდინარის ნაპირებიდან და ხეებიდან წყლის გადმოსვლის შედეგად, აგრეთვე მთის ან მყინვარის ზედა ნაპირების დროს დაგუბებული ტბების წარმოქმნის, დაგუბებული ტბებისა და წყალსაცავების გარღვევის და სხვა უარყოფითი სტიქიური მოვლენების შედეგად.

3. წყალდიდობის მავნე შედეგები შეიძლება იყოს:

- მდინარეთა ნაპირების, წყალსადინარებისა და ხეების წარეცხვა;
- კალაპოტების გარღვევა;
- დასახლებული პუნქტების, კულტურული მიწების, ტყის მასივების, სამრეწველო საწარმოების, ხიდებისა და სხვა სახალხო-სამეურნეო ობიექტების დატბორვა, აგრეთვე მათი ჩამორეცხვა, დანგრევა ან დაზიანება და ამ ობიექტების ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმალური პირობების დარღვევა.

4. ჩამონადენისა და დონეების ფორმირების პირობების მიხედვით მიღებულია წყალდიდობის შემდეგი განაწილება:

- გაზაფხულის წყალმეტობა;
- წვიმისა და ნიაღვრის წყალმოვარდნა;
- ღვარცოფი.

5. მოსალოდნელი წყალდიდობა სიმძლავრისა და საფრთხის დონის მიხედვით პირობითად იყოფა სამ კატეგორიად:

- საშიში მოვლენა;
- განსაკუთრებით საშიში მოვლენა;
- სტიქიური უბედურება.

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შესაბამის ორგანიზაციებისათვის შეტყობინება ხდება მოცემული გრადაციის მიხედვით მოვლენის ხასიათის აღნიშვნით.

6. საშიში მოვლენა ხასიათდება შემდეგი ჰიდროლოგიურ-შემთხვევით და მათი შედეგებით: ყოველწლიური ან ხშირად განმეორებული ჩვეულებრივი წყალმოვარდნით, რაც განაპირობებს წყლის დონის აწევას და კალაპოტის უმნიშვნელო წარცხვას, რის შედეგადაც შეიძლება დაირღვეს ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების ნორმალური მუშაობა (ათვისებული მიწების დროებით დატბორვა, გზის ვაკისის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადაცემის ხაზების გამორეცხვა და დაზიანება, საქალაქო კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის მუშაობის ხანმოკლე შეფერხება და სხვ.).

7. განსაკუთრებით საშიში მოვლენა ხასიათდება შემდეგი ჰიდროლოგიური შემთხვევებით და მათი შედეგებით: წყალმოვარდნითა და ღვარცოფებით, რაც განაპირობებს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ჯგუფის ტერიტორიების, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სახალხო-სამეურნეო ობიექტების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობის ნაწილობრივ შეტბორვას და დატბორვას.

ამას შეიძლება მოჰყვეს შემდეგი შედეგები:

— ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა 110 კილოვოლტი და მეტი ძაბვის ელექტროგადაცემის, აგრეთვე სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზებზე 6 საათით და მეტად;

— ქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების, აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება ან შეწყვეტა 24 საათით და მეტად;

— ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი შენობების, კომუნალური საბინაო ფონდის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების, საწარმოო შენობა-ნაგებობების, სამშენებლო და სამრეწველო ობიექტების ნაწილობრივ დანგრევა და დაზიანება.

8. სტიქიური უბედურება ხასიათდება შემდეგი ჰიდროლოგიური შემთხვევებით და მათი შედეგებით: განსაკუთრებით საშიში და იშვიათად განმეორებული წყალმოვარდნითა და ღვარცოფებით, რაც იწვევს ათვისებული მიწების

მნიშვნელოვანი ფართობის დატბორვას, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, საწარმოო შენობა-ნაგებობათა და სხვა ობიექტების მასობრივ დანგრევასა და დაზიანებას, აგრეთვე ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის გადასახლებას საშიში ზონიდან და დაზიანებული სახლებიდან.

9. ეს დებულება ვრცელდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა ობიექტზე, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

II. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა ხელმძღვანელობის სისტემა

1. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა ორგანიზაციისათვის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში იქმნება სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიები საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკთა შემადგენლობით.

2. კომისიები იქმნება:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან, და ეწოდება წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან, და ეწოდება წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო კომისიები;

— სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, და ეწოდება წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული კომისიები;

— სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან, და ეწოდება წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო კომისიები;

— სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან, და ეწოდება წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიები.

3. საშიში მოვლენების დროს წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებსა და მისი შედეგების ლიკვიდაციას უშუალოდ ხელმძღვანელობენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები.

4. განსაკუთრებით საშიში მოვლენების დროს წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომისიები, რომლებიც კოორდინაციას უწყევენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიების მუშაობას.

საოლქო, რაიონული, საქალაქო და საუწყებო კომისიები წარუდგენენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ საგანგებო კომისიას ინფორმაციებს სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ მათი განხორციელების პროცესში.

5. სტიქიური უბედურების დროს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული, საქალაქო და საუწყებო კომისიების საქმიანობის ობე-

რეტიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს უშუალოდ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია.

6. ყველა კატეგორიის მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, დაინტერესებულ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე შესაბამისი რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შეატყობინებს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველო.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომისიები საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ტელეგრაფით შეატყობინებენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ საგანგებო და საუწყებო კომისიებს განსაკუთრებით საშიში მოვლენებისა და სტიქიური უბედურების შესახებ, აგრეთვე წყალდიდობის საწინააღმდეგო გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

7. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების განკარგულებანი, მითითებანი და გადაწყვეტილებანი ფორმდება ოქმებით.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო და საუწყებო კომისიების გადაწყვეტილებანი და მითითებანი შემსრულებლებს ეცნობებათ ტელეგრაფით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რეგარეშე კატეგორიის კავშირგაბმულობის არხებით აღნიშვნით „სტორმი“.

8. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების განკარგულებანი, გადაწყვეტილებანი და მითითებანი სტიქიური მოვლენების (წყალმოვარდნის) პერიოდში სავალდებულოა:

— წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომისიებისა ყველა სახეობის საშიში მოვლენების დროს — რაიონული, საქალაქო, საოლქო (ავტონომიური ოლქის), რესპუბლიკური (ასსრ), აგრეთვე რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) და საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებისათვის, რომლებიც განლაგებულია მოცემულ რაიონში, ქალაქში, ავტონომიურ ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში;

— წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისიისა ყველა კატეგორიის წყალდიდობის დროს — რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა უწყებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

განსაკუთრებულ შემთხვევებში სტიქიური უბედურების დროს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის უფროსის — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინაშე აყენებს საკითხს სამაშველო და გადაუდებელ ავარიულ-აღდგენით სამუშაოებში სამოქალაქო თავდაცვის გაუსამხედროებელ ფორმირებათა გამოყენების შესახებ.

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიების განკარგულებანი, მითითებანი და გადაწყვეტილებანი სავალდებულოა უწყებაში შესასრულებლად ყველა კატეგორიის წყალდიდობის დროს.

9. საკითხებს, რომლებიც იწვევენ უთანხმოებას წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო, საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომისიებს შორის, გადაწყვეტს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია.

10. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების წევრები და ამ კომისიების მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი პირები სარგებლობენ უფლებით — რიგგარეშე შეიძინონ ყველა სახეობის ტრანსპორტით მგზავრობის ბილეთები.

განსაკუთრებით საშიში მოვლენებისა და სტიქიური უბედურების დროს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების წევრებსა და ამ კომისიების მიერ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ მგზავრობისათვის სატვირთო მატარებლებით და სატრანზიტო სატვირთო ავტომანქანებით.

11. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო წყალდიდობის დროს წყლის დონის შესახებ სატელეგრაფო ინფორმაციის (კატეგორია „შტორმი“) გატარებას უზრუნველყოფს დაწესებულ საკონტროლო ვადებში.

III. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია

1. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია იქმნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი;

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი;

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი;

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი;

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი;

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი;

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი;

საქმთავარწყალმშენის უფროსი;

საქართველოს სსრ სახმომარაგების უფროსი;

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

2. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური საგანგებო კომისია წარმართავს, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ წყალდიდობისაგან დაცვას და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციას, აგრეთვე წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული, საქალაქო და საუწყებო კომისიების მუშაობას, და ამ მიზნით:

— პერიოდულად ამოწმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა და ღონისძიებათა გეგმების შესრულების მიმდინარეობას და საჭირო შემთხვევებში აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ გადანაწილდეს გეგმები სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, რაიონებსა და ქალაქებს შორის;

— საჭირო შემთხვევებში აღძრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ გამოყოს დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი და დაფინანსება წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა, მოსახლეობის გადასახლების ღონისძიებათა განსახორციელებლად და ა. შ.;

— სტიქიური უბედურების დროს იღებს გადაწყვეტილებებს წყალდიდობის საწინააღმდეგო გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სპეციალისტთა, შრომითი რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მობილიზაციის შესახებ;

— ამტკიცებს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს მიერ შემუშავებულ სქემასა და შეტყობინების წესს მოსალოდნელი საშიში მოვლენების, განსაკუთრებით საშიში მოვლენებისა და სტიქიური უბედურების, აგრეთვე მდინარეთა რეჟიმის, თოვლის დნობის პროგნოზების და სხვა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემების შესახებ;

— საჭირო შემთხვევებში ისმენს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული, საქალაქო და საუწყებო კომისიების ინფორმაციებს.

3. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ საგანგებო კომისიას აქვს სპეციალურად რეგისტრირებული ტელეფონები (არანაკლებ ორისა) წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონულ, საქალაქო და საუწყებო კომისიებთან დასაკავშირებლად, და ამ ტელეფონებთან წესდება საშიშროების პერიოდში პასუხისმგებელ პირთა სადღეღამისო მორიგეობა.

აღნიშნული ტელეფონების ნომრები ეცნობებათ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონულ, საქალაქო და საუწყებო კომისიებს და კავშირგაბმულობის განყოფილებებს.

IV. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო კომისიები

1. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო კომისიები იქმნება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით და

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით შემდეგი შემადგენლობით:

— ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი;

— ავტონომიური რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს უფროსი;

— ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი;

— ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი, ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი;

— მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი;

— აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს უფროსი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველოს უფროსი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებული საგზაო განყოფილების უფროსი;

— საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზონალური ინსპექციის უფროსი;

— საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი.

2. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო კომისიები წარმართავენ, კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო და საუწყებო კომისიების საქმიანობას თავიანთი მოქმედების ზონაში, და ამ მიზნით:

— პერიოდულად ამოწმებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა და ღონისძიებათა გეგმების შესრულების მიმდინარეობას და საჭირო შემთხვევებში აყენებენ საკითხს რაიონებსა და ქალაქებს შორის გეგმების გადაწვილების შესახებ;

— განსაკუთრებით საშიში მოვლენებისა და სტიქიური უბედურების დროს იღებენ გადაწყვეტილებებს წყალდიდობის საწინააღმდეგო გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სპეციალისტთა, შრომითი რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მობილიზაციის შესახებ.

3. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო კომისიებს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონულ, საქალაქო და საუწყებო კომისიებთან

დასაკავშირებლად აქვთ სპეციალურად რეგისტრირებული ტელეფონები, რომლებთანაც საშიშროების პერიოდში მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეობენ პასუხისმგებელი პირები;

აღნიშნული ტელეფონების ნომრები ეცნობებათ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამის რაიონულ, საქალაქო და საუწყებო კომისიებს და კავშირგაბმულობის განყოფილებებს.

V. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები

1. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები იქმნება სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

2. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული კომისიების შემადგენლობაში შედიან შემდეგი თანამდებობის პირები:

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსი;

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსი ან წარმომადგენელი;

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების უფროსი;

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების უფროსი;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონული განყოფილების უფროსი;

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ზონალური ინსპექციის უფროსი;

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი.

3. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო კომისიის შემადგენლობაში შედიან შემდეგი თანამდებობის პირები:

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების უფროსი;

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი;

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების უფროსი;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო განყოფილების უფროსი;

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ინსპექციის უფროსი;

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი.

4. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები კოორდინაციასა და კონტროლს უწყევენ იმ უწყებათა, საპროექტო და სხვა ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ წყალდიდობისაგან დაცვისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს, ამასთან თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ ამ დებულების II განაყოფის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით, და ამ მიზნით:

— პერიოდულად ამოწმებენ თავიანთი რეგიონის ფარგლებში უწყებების მიერ განსახორციელებელ წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა და ღონისძიებათა გეგმების შესრულების მიმდინარეობას;

— მობილიზაციას უწყევენ და გზავნიან წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებზე სპეციალისტებს, კვალიფიციურ მუშებს, მექანიზატორებს, ავტოტრანსპორტს, მიწასათხრელ მექანიზმებს, სამშენებლო მანქანებს, მცურავ საშუალებებსა და სხვა მოწყობილობას, რაც საჭიროა ავარიის საწინააღმდეგო, აღდგენითი და სამშველო ღონისძიებების განსახორციელებლად;

— საშიშროების პერიოდში აწესებენ სადღეღამისო მორიგეობას რაიონისა და ქალაქის ყველა ორგანიზაციაში, რომლებიც დაკავშირებული არიან წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებთან, აგრეთვე საშიშ ზონაში არსებულ უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, და უზრუნველყოფენ მეთვალყურეობას წყლის დონისა და წყალმოვარდნის მიმდინარეობისადმი;

— სისტემატურად ამოწმებენ დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მომზადებას წყალდიდობის წყლების გასატარებლად, მათგან დასაცავად და შესაძლო უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციოდ;

— პერიოდულად ამოწმებენ წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებთან დაკავშირებულ სამეურნეო ორგანიზაციებში, საშენი მასალების, მოწყობილობის, სპეცტანსაცმლის, მცურავი და გასანათებელი საშუალებების საჭირო მარაგის არსებობას;

— საჭირო შემთხვევებში აყენებენ სამინისტროებისა და რესპუბლიკური ორგანიზაციების წინაშე საკითხს მათს ქვედანაყოფებში არსებული მდგომარეობის შესახებ ზომების მისაღებად, აგრეთვე ინფორმაციას უგზავნიან საოლქო კომისიებს.

5. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონულ და საქალაქო კომისიებს კავშირი აქვთ მეზობელი რაიონებისა და ქალაქების კომისიებთან, კოორდინაციას უწყევენ მათთან ერთად წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებსა და ღონისძიებებს მდინარეთა და წყალსადინართა მომიჯნავე უბნებზე.

6. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები საჭირო შემთხვევებში უზრუნველყოფენ ადამიანების გაყვანასა და ქო-

ნების გატანას შესაძლო დატბოვის, წარეცხვისა და ნიაღვარ-ღვარცოფების გავლის ზონებიდან.

7. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული, საქალაქო და საუწყებო კომისიები წყალდიდობის შემდეგ ამოწმებენ დატბორილ მიწებსა და სხვა სახალხო-სამეურნეო ობიექტებს, განსაზღვრავენ წყალდიდობის შედეგად გამოწვეულ ზარალს, სახავენ მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს და ამის შესახებ უგზავნიან ცნობას უშუალოდ ან წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო კომისიების მეშვეობით შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს სამუშაოთა განსახორციელებლად.

VI. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიები

1. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიები იქმნება საქართველოს სსრ სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან და უწყებებთან მინისტრის, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ან უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის, უწყების, ორგანიზაციის პასუხისმგებელი მუშაკები.

2. საშიშროების პერიოდში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისია აწესებს სადღეღამისო მორიგეობას ცენტრალურ აპარატში, საქვეუწყებო ორგანიზაციებში, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე, ამასთან აღნიშნულ ობიექტებზე უზრუნველყოფენ განუწყვეტელ დაკვირვებას წყლის დონესა და წყალდიდობის მიმდინარეობაზე; ახორციელებენ წყალდიდობის საწინააღმდეგო გადაუდებელ ღონისძიებებს და მისი შედეგების ლიკვიდაციას, ამასთან ხელმძღვანელობენ ამ დებულების II განაყოფის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით.

3. სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საქვეუწყებო ორგანიზაციები ახორციელებენ წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებსა და ღონისძიებებს საუწყებო ინსტრუქციებისა და წესების, აგრეთვე წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიების მითითების შესაბამისად. წყალდიდობის საწინააღმდეგო მთელ მუშაობას ადგილებზე სამეურნეო ორგანიზაციები ახორციელებენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომისიებთან კონტაქტით და საშიშროების პერიოდში ოპერატიულად ემორჩილებიან მათ.

4. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიებს უშუალო კავშირი აქვთ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ საგანგებო კომისიასთან და პერიოდულად აწვდიან მას ინფორმაციას წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა და ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ.

VII. წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. წყალდიდობის საწინააღმდეგო გეგმიან სამუშაოთა განსახორციელებლად საქართველოს სსრ ბიუჯეტით ყოველწლიურად გათვალისწინებულია შესაბამის ასიგნებათა გამოყოფა საოპერაციო ხარჯებიდან.



2. წყალდიდობის საწინააღმდეგო გეგმიან ღონისძიებათა განსახორციელებლად მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და დაფინანსება გამოეყოფათ მხოლოდ იმ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ ამ სამუშაოებს, და ვათვალისწინებულა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტითა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით.

3. წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა განსახორციელებლად და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ დამატებითი ასიგნებანი შეიძლება გამოიყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცალკეული გადაწყვეტილებებით მინისტრის, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, უწყების ხელმძღვანელის შუამდგომლობათა საფუძველზე, რომლებიც დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი გაანგარიშებითა და კომისიების გადაწყვეტილებებით და წინასწარ შეუთანხმდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

4. ცალკეულ შემთხვევებში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიები წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომისიების მონაწილეობით წარუდგენენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ საგანგებო კომისიას წინადადებას წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი საშენი მასალების გამოყოფის შესახებ.

5. სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საქვეუწყებო ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებს, იქმნება მასალების, ინვენტარისა და მოწყობილობის ხელუხლებელი მარაგი გადაუდებელ, ავარიის საწინააღმდეგო და აღდგენით სამუშაოთა საწარმოებლად.

ხელუხლებელი მარაგი იქმნება მოცემული ორგანიზაციისათვის დაწესებული ნორმატივების გარდა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის ან უწყების ხელმძღვანელის ბრძანებით.

ამავე ბრძანებით განისაზღვრება ხელუხლებელი მარაგის ნომენკლატურა, აგრეთვე მისი შენახვის, ხარჯვისა და შევსების წესი.

VIII. დაზიანებულ ნაგებობათა აღდგენა და ზარალის ანაზღაურება

1. წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები, რაც ვათვალისწინებულა ამ დებულების I-განყოფის მე-7 პუნქტით, ხორციელდება იმ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და ადგილობრივი ორგანოების ძალებითა და სახსრებით, რომელთა ბალანსზეც ირიცხებოდა ობიექტების ნაგებობანი, რომლებმაც წყალდიდობის ზემოქმედება განიცადეს. ამასთან გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და ადგილობრივი ორგანოები არ ელოდებიან სპეციალურ გადაწყვეტილებებსა და მითითებებს.

17.08/14

2. წყალდიდობის შედეგად საკოლმეურნეო-კოოპერაციული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მოქალაქეთათვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებენ საქართველოს სსრ სახელმწიფოს ორგანოები არსებული წესების თანახმად.

14 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილებით დიდი სამამულო ომის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთათვის დაწესებული შეღავათების მოქმედი არმიის თავისუფლად დაქირავებულ შემადგენლობაზე გავრცელების შესახებ“ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 27 თებერვლის № 220 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

„სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ნოემბრის № 907 დადგენილებით დიდი სამამულო ომის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთათვის დაწესებული შეღავათების მოქმედი არმიის თავისუფლად დაქირავებულ შემადგენლობაზე გავრცელების შესახებ“ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 27 თებერვლის № 220 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. გავრცელდეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილებით დიდი სამამულო ომის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთათვის დაწესებული შეღავათები საბჭოთა არმიის; სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების თავისუფლად დაქირავებული შემადგენლობის პირებზე, რომელთაც ეკავათ საშტატო თანამდებობანი ჯარის ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, რომლებიც შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში დიდ სამამულო ომის პერიოდში ან ამ პერიოდში იმყოფებოდნენ ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ითვლება მოქმედი არმიის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთათვის დაწესებული შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნად ნამსახურობის წლებად.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ პირებს შეღავათები მიეცემათ შეღავათების უფლების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე, რომლის ფორმასაც შეიმუშავენ თავდაცვის სამინისტრო სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან შეთანხმებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 27 თებერვლის № 220 დადგენილებით:

დ. შატაშვილი

ა) ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ პირთათვის შეღავათების მიცემის უფლების დამადასტურებელ მოწმობათა გაცემა დაეკისრათ — შესაბამისად — თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს;

დაწესდა, რომ გადაწყვეტილებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ნოემბრის № 907 დადგენილებით დაწესებული შეღავათების ზემოაღნიშნულ პირთათვის მინიჭების უფლების შესახებ მიიღებენ თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიები იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ მათს მუშაობას მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში.

განისაზღვროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 აპრილის № 305 დადგენილებით დაწესებული შეღავათების ზემოაღნიშნულ პირთათვის მინიჭების უფლების თაობაზე გადაწყვეტილებათა მიღების ანალოგიური წესი;

ბ) ნება დაერთოთ თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 27 თებერვლის № 220 დადგენილების რეალიზაციისათვის მუშაობის შესრულების პერიოდში, მაგრამ არა უგვიანეს 1982 წლის 1 ივლისისა, მისცენ დანამატი თანამდებობრივი სარგოს 30 პროცენტის ოდენობით სამხედრო ოლქების, სამხედრო კომისარიატების, თავდაცვის სამინისტროს არქივების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების შესაბამისი ორგანოების მოსამსახურეებს, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ ამ სამუშაოს.

4. ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1981 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შივატაძე

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. კატარიაძე

15

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ.

საქართველოს კბ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. შუპარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 10 მარტი № 248

დამტკიცებულია
 საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტი
 და საქართველოს სსრ მინისტრთა
 საბჭოს 1981 წლის 10 მარტის № 248
 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემია მიენიჭებათ მაღალიდგობის და მაღალმხატვრული, პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ჟღერადობის, რევოლუციური პათოსით, კომუნისტური იდეალებისადმი, პარტიისა და ხალხის საქმისადმი ერთგულების გრძნობით გამსჭვალული ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ზრდიან მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის ერთი პრემია 1.000 მანეთის ოდენობით მიენიჭებათ ახალგაზრდა (35 წლამდე ასაკის) მწერლებს ყოველწლიურად ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც შექმნილია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, მინიჭების წლის ჩათვლით.

შენიშვნა: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება ნაწარმოებები, რომლებსაც ადრე მიენიჭებული აქვთ საკავშირო და რესპუბლიკური პრემიები. აგრეთვე მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში შექმნილი რჩეული ნაწარმოებები.

3. ნაწარმოებთა განხილვა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მინიჭება ეკისრება საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ნაწარმოებებს წარადგენენ შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების გამგეობები ან პრეზიდიუმები, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები, გამომცემლობები, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების კრებები.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი მიიღებს ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 მაისისა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნეს ნაწარმოებები, რომლებსაც საზოგადოებრიობა გაეცნო არა უგვიანეს 6 თვისა პრემიის მინიჭებამდე. ნაწარმოებები შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ პრესაში დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა ნუსხა ავტორთა აღნიშვნით გამოქვეყნდება პრესაში არა უგვიანეს თვე-ნახევრისა პრემიის მინიჭებამდე.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა საზოგადოებრივი განხილვის მასალები დროულად უნდა გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

თავიანთი აზრი წარდგენილ ნაწარმოებთა შესახებ შეუძლიათ აცნობონ ცალკეულმა პირებმა ან პირთა ჯგუფმა.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებებს წინასწარ განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას კომიტეტის სხდომაზე განსახილველად ნამუშევართა შემდგომი დაშვების შესახებ.

10. კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ ძალაში შევა

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება გამოქვეყნდება პრესაში ივლისის დამდეგს — საქართველოში ვლადიმერ მაიაკოვსკის დღეების ჩატარების პერიოდში.

11. პირებს, რომლებმაც პრემია დაიმსახურეს, მიენიჭებათ წოდება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატი“ და გადაეცემათ დიპლომი და სამკერდე ნიშანი.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ნაწარმოებთა წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი.

16 მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდების დასაბუთებლად ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მუდმივ ყურადღებას უთმობენ რა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ყოველმხრივ განვითარებას, ამასთანავე გარკვეულ მუშაობას ეწევიან მისი წარმოების გადიდებისათვის კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებშიც.

„კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობების და კოლექტიური მეზღვეობისა და მეზღვეობის შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 დადგენილების მიღების შემდეგ მოქალაქეთა დამხმარე მეურნეობების განვითარებაში დადებითი ცვლილებები მოხდა. ამ მუშაობაში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს აბაშისა და მახარაძის რაიონებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქფრინველმრეწვემა“, სადაც სახელმეურნეო საფუძველზე წყდება პირად დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდების საკითხები. რესპუბლიკაში ფუნქციონირებს საქართველოს სსრ მეზღვეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო.

ამავე დროს ჯერ კიდევ საკმაოდ სრულად არ არის გამოყენებული მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის, განსაკუთრებით ხორცისა და რძის, წარმოების გადიდების შესაძლებლობანი. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ჯერ კიდევ არ

1) დანართი არ მოიყვანება

გამოუტანიათ სათა ნაღო დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მითითებებიდან, ჯეროვნად არ აფასებენ მოქალაქეთა დამხმარე მეურნეობების როლს სასურსათო რესურსების შეგების საქმეში.

მთლიანად როდი კმაყოფილდება კოლმეურნეთა, მეშათა და მოსამსახურეთა მოთხოვნებიანი მოზარდულ პირუტყვსა და ფრინველზე. ბევრი ადგილობრივი საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ დროულად გამოუყონ სათიბ-საძოვარი ნაკვეთები მოქალაქეებს, რომელთაც ჰყავთ პირადი საკუთრების პირუტყვი, მისცენ ტრანსპორტი დამზადებული საკვების გადასაზიდად, გაუწიონ დახმარება პირუტყვის ძოვების ორგანიზაციაში.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ყველგან არ გაუშლიათ საჭირო ორგანიზატორული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, საკმარისად არ უწყობენ ხელს იმ საქმეს, რომ სოფლად თითოეულ ოჯახს ჰქონდეს ბოსტანი და თავის მეურნეობაში იყოლოს პირუტყვი და ფრინველი, რომ რაც შეიძლება მეტ ოჯახს ჰყავდეს ძროხა. 1980 წლის მონაცემების თანახმად, სოფლის მეურნეობის თითქმის 30 პროცენტს არ ჰყავდა არავითარი პირუტყვი, 37 პროცენტს — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 43 პროცენტს — ძროხა და ფურკამეჩი, 63 პროცენტს — ღორი, 84 პროცენტს — ცხვარი. ასეთი ტენდენცია დიდი ხანია გრძელდება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის № 27 თანდართული დადგენილება „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ზილობოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს ყოველმხრივ გააანალიზონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 მაისის № 363 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, აღმოფხვრან მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მეზღვეო-

ბისა და მეზობტნობის და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის გაძღოლის ორგანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებანი კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლის პირობების გასაუმჯობესებლად, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და მიყიდვის გადიდების საქმეში მოქალაქეთა მეურნეობების შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების დაინტერესების გასაძლიერებლად.

3. ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დაუდონ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითს საფუძველზე კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც მათ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და კეთილსინდისიერად მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში, აგრეთვე პენსიონერებს ხელშეკრულებანი პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდა-შესყიდვის და ნამეტი რძის, მატყლის, კვერცხისა და მემცენარეობის პროდუქციის შესყიდვის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით შესყიდული პროდუქციის ღირებულება აანაზღაურონ დათქმულ ფასებში, მაგრამ არა უმეტეს დაწესებული სახელმწიფო შესასყიდი ფასებისა.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მოკლევადიანი კრედიტები, რათა დროულად გაუსწორონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს ანგარიში პირად და მხმარე მეურნეობებში სახელმწიფოებო პირობებით გამოზრდილი და შესყიდული პირუტყვისა და ფრინველისათვის და შესყიდული ნამეტი მატყლის, კვერცხის, რძისა და მემცენარეობის პროდუქციისათვის, წინათ გაცემული სესხების გამო ანგარიშსწორების მდგომარეობის მიუხედავად.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა უზრუნველყონ მოზარდული პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდა, სარგავი და სათესი მასალის გამოყვანა და მოსახლეობისათვის მიყიდვა იმ ოდენობით, რაც დააკმაყოფილებს მოქალაქეთა პირადი და მხმარე მეურნეობების მოთხოვნილებას მათზე, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან და სამომხმარებლო და კოოპერაციის ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის და მემცენარეობის პროდუქციის მოყვანის გათვალისწინებით.



5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი გოჭის, ერთდღიანი წიწილისა და ბოცვრის გასასუქებელ სულაღობაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით სარებროდუქტორო მეურნეობათა მშენებლობის, მოქმედის გაფართოების და საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ფერმების რებროდუქტორებად გარდაქმნის შესახებ.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში მეზოცვრეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მეზოცვრეობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ უზრუნველყონ იმდენი სანაშენე ბოცვრის გამოზრდა, რაც საჭიროა მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ცეკავშირის გამგეობამ მოაწყოს ბოცვრის ტყავის შესყიდვა მეზოცვრეობის რესპუბლიკური გაერთიანებისა და მოსახლეობისაგან.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს:

— განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში არსებული პირუტყვისა და ფრინველის საკვებით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად;

— გამოიყონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში, და პენსიონერებს, რომელთაც პირად დამხმარე მეურნეობებში ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა, — სათიბი და პირუტყვის საძოვარი ნაკეთები შესაძლებლობისამებრ ხანგრძლივი ვადით, გამოიყენონ ამ მიზნით დადგენილი წესით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სახელმწიფო მარაგისა და სახელმწიფო ტყის ფონდის, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა არასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიწები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა საწარმოებმა და ორგანი-

ზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მოქალაქეებს ამ სავარგულების პროდუქციის
ლობის ამალგებაში.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფ-
ლო-სამეურნეო საწარმოებს:

— გამოუყონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალა-
ქეებს, რომლებსაც ამ მეურნეობებთან, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერა-
ციის ორგანიზაციებთან დადებული აქვთ ხელშეკრულებანი მეცხოველეობის
პროდუქციის წარმოების თაობაზე, — დამატებითი მიწის ნაკვეთები საკვებ-
კულტურების მოსაყვანად როგორც საკარმიდამო მიწების ფონდის ხარჯზე,
ისევე საჭიროების შემთხვევაში მეურნეობათა მიერ დროებით გამოუყენებელი
მიწების ხარჯზე;

— გაუწიონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალა-
ქეებს ყოველმხრივი დახმარება საკარმიდამო და დამატებით გამოყოფილ
მიწის ნაკვეთებზე საკვები კულტურების მოყვანაში.

8. მიღებულ იქნეს პარტიის რაიკომებისა და სახალხო დეპუტატთა რაიონ-
ული საბჭოების აღმასკომების წინადადება საზოგადოებრივ და საკარმიდამო
მეურნეობებს შორის კოოპერაციის შემდგომი გაფართოების გზით პირუტყვისა
და ფრინველის, აგრეთვე რძის პროდუქტების ზეგვეგმითი შესყიდვის შესახებ
და დამატებით გამოეყოს რაიონებს ამ მიზნით კომბინირებული საკვები (4 კი-
ლოგრამი საკვები 1 კილოგრამ ხორცზე და 1,5 კილოგრამი საკვები 1 კილოგრამ
რძეზე), დანართის თანახმად.

9. იმ მიზნით, რომ გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქციის ზეგვეგმითი
წარმოება მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაციის გზით,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ
სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტმა შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

— ერთი თვის ვადაში — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და
სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის კომბინირებული საკვების დამა-
ტებით გამოყოფის შესახებ;

— მიმდინარე წლის ბოლომდე — რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების)
მიხედვით მოქალაქეთა საკარმიდამო მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პრო-
დუქციის წარმოებისა და დამზადების მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედისა და
წლების მიხედვით დაყოფით დავალებათა დაგზავნის შესახებ, მათ შორის 1981
წლისათვის — მიმდინარე წლის 1 მაისამდე.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის
ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბ-
ლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკო-
მებმა განახორციელონ ღონისძიებანი საკოლმეურნეო ბაზრების გაფართოებისა
და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, რათა შეუქმნან მოქალაქეებს
საჭირო პირობები სოფლის მეურნეობის არსებული ნამეტი პროდუქციის გასა-
ყიდად.



11. საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებებმა „საქჩიპი“ და „სამტრესტმა“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დაუწესონ საქვეუწყებო საწარმოებს დავალებანი 1981-1983 წლებში მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების საჭირო ქსელის შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისაგან პირუტყვის, ფრინველის, რძის, მატყლის, კვერცხის, ჩაის, ციტრუსების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, კენკრისა და სხვა პროდუქტების დროულად მიღებასა და გადამუშავებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში ზემოაღნიშნული მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო სახსრების, აგრეთვე ტარისა და შესაფუთავი მასალების გამოყოფა და მიწოდება.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაონ და ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დამატებითი ღონისძიებანი საბალესაბოსტნე ინვენტარის, ტარის, შესაფუთავი მასალების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მცირე მექანიზაციის საშუალებების წარმოებისა და მოსახლეობისათვის მიყიდვის გასადიდებლად.

დაეკისროთ საქსახსოფლტექნიკის ორგანიზაციებს მოქალაქეთა კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მცირე მექანიზაციის საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება.

13. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ:

— განიხილონ დადგენილი წესით საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა თხოვნა კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ და მიიღონ ზომები ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად;

— უზრუნველყონ, რომ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დადგენილი წესით მიეცეთ კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთები სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან, ტყით დაუფარავე ან ნაკლებმნიშვნელოვანი ტყის ნარგავებით დაკავებული, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მწვანე და საგარეუბნო ზონებში, დასახლებულა

პუნქტების ტერიტორიის პერსპექტიული ვაფართოების გათვალისწინებით და, როგორც გამოჩაყლისი, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამოუყენებელი მიწადაქსაქსული, მცირე-კონტურიანი ნაკვეთები და ნაკლებპროდუქტიული სავარგულები.

14. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ, რომ დროებითი სარგებლობისათვის მიეცეთ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა არასასოფლოსამეურნეო საწარმო-ორგანიზაციათა გამოუყენებელი მიწებიდან, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ფარგლებში გამოუყენებელი მიწებიდან ამ ნაკვეთებზე კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად. ასეთი ნაკვეთები საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს მიეცეთ დადგენილი წესით იმ ვადით, რომლის განმავლობაში ეს ნაკვეთები გამოყენებული არ იქნება პირდაპირი დანიშნულებისამებრ, საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განსაზღვრონ ზემოაღნიშნული მიზნებისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ფართობი და ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ წინადადებანი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მიიღონ დამატებითი ზომები სოფლის მოსახლეობისა და მოყვარულ მეზღვეთათვის აგურის, ხე-ტყის, ღორის, ხრეშის, ქვიშისა და სხვა ადგილობრივი საშენი მასალების მიყიდვის გასადიდებლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მეზღვეობის ამხანაგობებისათვის ასაწყობი საბაღე სახლების წარმოების შესახებ.

ცეკავშირის გამგეობამ შემოზიდოს ქვეყნის სხვა რესპუბლიკებიდან საქონელვაიცლის ოპერაციების წესით ასაწყობი საბაღე სახლები მეზღვეობის ამხანაგობათა წევრებისათვის მისაყიდად.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმშენმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და განსაზღვრონ, ადგილობრივ თავისებურებათა და პირადი დამხმარე მეურნეობის გაძღოლის საქმეში მოსახლეობის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, საცხოვრებელ სახლებთან სამეურნეო ნაგებობათა ფართობების ზღვრული ლიმიტი და ნომენკლატურა და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადება-

ნი, აგრეთვე წინადადებანი სოფლად საბინაო მშენებლობის სტრუქტურისა და ღირებულების შესახებ, რაც ხორციელდება საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, შემდგომში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სახმშენისათვის წარსადგენად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ნება დართონ, რომ დასახლებულ პუნქტებში აშენდეს კოლხეპრაციულ საწყისებზე მეცხოველეობის სადგომები მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის მოვლა-შენახვისათვის.

17. დაეკისროთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს სამუშაოთა კოორდინაცია მოქალაქეთა მიერ პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლის უზრუნველსაყოფად და როგორც პირადი დამხმარე მეურნეობებისათვის, ისევე მეზღვეობის ამხანაგობებისათვის აგრონომიული, ზოოვეტერინარული და სხვა დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შემოიღონ მმართველობის ორგანოების დაწესებული საშტატო რიცხოვნობისა და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში მოქალაქეთა მიერ პირადი დამხმარე მეურნეობების, აგრეთვე კოლექტიური მეზღვეობისა და მეზღვეობის გაძღოლის ორგანიზაციის სპეციალისტთა თანამდებობანი.

ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შემოიღონ საჭიროების კვალობაზე ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დაწესებული საშტატო რიცხოვნობისა და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის ან სპეციალისტის თანამდებობანი საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა და კოლმეურნეობის წევრთა მიერ პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლის საკითხებზე, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტლებას მოითხოვენ, წარმოუდგინონ შეთანხმებული წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მეზღვერეთა, მეფუტკრეთა ნებაყოფლობით საზოგადოებებს (ამხანაგობებს) და სხვა საზოგადოებებს.

18. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლი მოქალაქეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების, კოლექტიური ბაღები-

სა და ბოსტნების ფიტოსანიტარიული მდგომარეობისადმი, აგრეთვე მოქალაქეებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით ამ ნაკეთობებზე და ბაღებში მცენარეთა მვენებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება.

19. პირად დამხმარე მეურნეობათა, კოლექტიური ბაღებისა და ბოსტნების მომსახურების საქმეში კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და საქსახსოფლტექნიკის სისტემაში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საჭირო ტექნიკის გასაქირავებელი პუნქტები.

საქსახსოფლტექნიკამ და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მოამზადონ შესაბამისი წინადადებანი და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ ისინი განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

20. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა სისტემატურად განაზოგადონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დამამზადებელი ორგანიზაციების, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე სოციალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლის შეძენილი გამოცდილება, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში მოქალაქეთა საუკეთესო პირადი დამხმარე მეურნეობების წახალისების სხვადასხვა ფორმები, მოაწყონ შესაბამისი გამოფენები, დათვალიერებანი, კონკურსები და ბაზრობები.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობისა და საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს განაცხადების მიხედვით საჭირო დამხმარე სახელმძღვანელოები პირადი დამხმარე მეურნეობების მქონე მოქალაქეებისა და მებაღეობის ამხანაგობებისათვის.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა რეგულარულად გააშუქონ კოლმეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა მიერ პირადი დამხმარე მეურნეობების, აგრეთვე კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საკითხები.

21. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქარ-

თველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პირად დამხმარე მეურნეობაში წარმოებული (სახელმწიფოსათვის მისაყიდი) პროდუქციისათვის შრომითი დანახარჯები, დარიცხვის ნორმები და მათი აღრიცხვის ფორმები.

22. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების, ქალაქების, დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა:

— განახორციელონ მოსახლეობაში საჭირო ორგანიზატორული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა და გააცნონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანა მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დამატებითი ვადიდებისათვის;

— ყველგან შექმნან ისეთი საზოგადოებრივი კლიმატი, რომ კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები და სხვა მოქალაქენი გრძნობდნენ, რომ პირად დამხმარე მეურნეობაში პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდით, მებოსტნეობა-მებაღეობის გაძლიერებით ისინი სასარგებლო სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. კატარიძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 15 აპრილი, № 298

17 საქართველოს სსრ იხმორიის, კულტურისა და ზუნევის კვლ-
თა დაცვისა და გამოყენების უმჯდომეი გაუმჯობესების ღ-
ნისძიებათა უმსახევი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრ-
თა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის ის-
ტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეში
ძირეული ძვრები მოხდა.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“
საქართველოს სსრ კანონის და ამ საკითხებზე საქართველოს კვ ცენტრალური
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა შე-
საბამისად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა
და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო

1) დანართი არ მოიყვანება

სამმართველომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, შესაბამისმა სახელმწიფო, სამეცნიერო დაწესებულებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იმ ღონისძიებათა კომპლექსის შესასრულებლად, რომლებიც ხელს უწყობენ რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობის პროგრამის განხორციელებას.

გაიზარდა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო-ორგანიზატორული და საწარმოო საქმიანობის დონე. თუ 1977 წელს ერთდროულად მიმდინარეობდა 45 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები, 1980 წელს ეს სამუშაოები ხორციელდებოდა 150 ობიექტზე. შესაბამისად გადიდდა გამოყოფილი სახსრებიც, რაც ამჟამად 3 მილიონ მანეთს აღწევს. შესამჩნევად ამაღლდა ძეგლთა აღრიცხვის, კონსერვაციის, რესტავრაციისა და ადაპტაციის მეცნიერული დონე.

აბსებითად გაიზარდა ძეგლების როლი მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში. გადიდდა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალების მნიშვნელობა როგორც მასობრივი დასვენების ადგილებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი საბჭოური ტრადიციებისა და ჩვეულებების, სახალხო ზემოებათა დამკვიდრებას. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ პრესა, რადიო, ტელევიზია, შეფი ორგანიზაციები.

ამასთანავე ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები.

გაზრდილ მოთხოვნებს არ შეესაბამება ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს შესაძლებლობანი. მისი მატერიალურ-ტექნიკური, სამეცნიერო და საპროექტო ბაზის სუსტი აღჭურვილობის გამო სარესტავრაციო სამუშაოთა ხარისხი ჯერ კიდევ საკმარისად მაღალი არ არის; ნელა ინერგება ტექნიკური საშუალებანი და მუშაობის უახლესი მეთოდები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული სამმართველო მთავარ ყურადღებას უთმობს არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლებს და ნაკლები ენერგია და სიღრმით ეკიდება რევოლუციურ-ისტორიულ, ბუნების ძეგლებს.

ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას როდი უთმობს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესებას. ხშირად დასახლებული ადგილების განაშენიანების პროექტებში არ ითვალისწინებენ ძეგლების როლს ქალაქმშენებლობაში და უგულვებელყოფენ მათი რესტავრაციისა და ადაპტაციის პერსპექტიულ გეგმებს. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება არ ასრულებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს ქალაქ თბილისის, თელავისა და სიღნაღის დაცვის ზონების შესახებ, არ

იყენებს ძეგლებს დაწესებულებებად და სავაჭრო-საყოფაცხოვრებო საწარმოებად.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის საწინააღმდეგოდ, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან შეუთანხმებლად, ამ სამმართველოს ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის არასაკმარისი სიფიზილის გამო ზოგიერთ ძეგლზე სრულდება სამუშაოები, რაც გარკვეულ ზიანს აყენებს მათი შესწავლის, კონსერვაციისა და რესტავრაციის საქმეს.

აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულის სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 31 მაისის № 382 დადგენილებას „საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ ქალაქ სოხუმიში აფხაზეთი ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის შექმნის ნაწილში. შერჩეული არ არის ადგილი და შემუშავებული არაა ამ პარკის ექსპოზიციის გეგმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს ალკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების რესპუბლიკურმა ორგანოებმა, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ:

— მნიშვნელოვნად აამაღლონ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის, რესტავრაციის, გამოყენებისა და პროპაგანდის, ამ დარგში ორგანიზატორული და სამეცნიერო-საწარმოო მუშაობის დონე;

თა აღმოსაფხვრელად;

— მიიღონ ქმედითი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რევოლუციურ მოვლენათა ძეგლებისა და ადგილების, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური შეგობრობისა და ერთიანობის დაცვისა და პროპაგანდას;

— ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საზოგადოებრიობის შემდგომ ჩაბმას ეროვნული საგანძურის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვე-

ტად, მხარი დაუჭირონ დაწესებულებებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლებისა და სასოგადოებრივი ორგანიზაციების ინციპტივას — შეფობა გაუწიონ და მოუარონ ძეგლებს.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უშუალო დაქვემდებარებაში და დაერქვას მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, ამასთან აღნიშნული სამმართველოს მუშაკებს შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურების მოქმედი სისტემა.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ:

— წარმოუდგინოს 1982 წლის დამლევისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, იმ ძეგლთა სიები, რომლებიც სახელმწიფო დაცვას ექვემდებარება, ამასთან განსაზღვროს საერთაშორისო, სრულიად საქავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლთა კატეგორიები;

— განსაზღვროს ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალების საქმიანობის სფეროში შემავალი რეგიონების დაცული ძეგლების სიები;

— შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 1 ივლისისათვის ძეგლთა რესტავრაციისა და მუზეუმებად, საგამოფენო დარბაზებად, ბიბლიოთეკებად და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად მათი გამოყენების პერსპექტიული გეგმები;

— საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1981 წლის ბოლომდე ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის ზონები სახელმწიფოს მიერ დაცული ყველა მუზეუმ-ნაკრძალისათვის და მიიღოს დამატებითი ზომები ზონების მოვლა-პატრონობის რეჟიმის განუხრელი დაცვისათვის;

— განსაზღვროს შენობებიდან, რომლებიც არქიტექტურის ძეგლებს წარმოადგენენ, იმ ორგანიზაციების გამოყვანის ვადები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ძეგლთა და მათი ტერიტორიის ჯეროვან მოვლა-პატრონობასა და დაცვას;

— მკაცრი კონტროლი გაუწიოს სარესტავრაციო სამუშაოთა ხარისხს, სარესტავრაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების, შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიურად გამოყენებას, არ დაუშვას მათი დაქსაქსვა მრავალ ობიექტზე;

— გააძლიეროს კონტროლი ტურისტული მარშრუტების გავლის ადგილებში განლაგებულ ძეგლთა ტერიტორიების მოვლა-პატრონობისადმი, განახორციელოს ღონისძიებანი მოიჯარე და შეფი ორგანიზაციების მონაწილეობით ამ ძეგლთა ტერიტორიის კეთილმოსაწყობად;

— განახორციელოს 1981 წელს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმში, უფლისციხის, დავით-გარეჯის, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალებში ყველა ის ღონისძიება, რომლებსაც ითვალისწინებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი: 1975 წლის 20 ნოემბრის № 535 „დავით-გარეჯის კულტურის ძეგლთა მდგომარეობისა და მათი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ“; 1967 წლის 20 დეკემბრის № 754 „ძველი ქართული კულტურის უნიკალური ძეგლის — ვარძიის წესრიგში მოყვანის, გამაგრების, რესტავრაციისა და შემდგომი შესწავლის ღონისძიებათა შესახებ“; 1979 წლის 27 მარტის № 192 „ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 5 ნოემბრის № 1544 განკარგულება;

— გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ ძეგლთა კეთილმოწყობისა და პროფილაქტიკური რემონტის სამუშაოებისათვის სახსრები გამოიყოს ადგილობრივი ბიუჯეტების ქარბი შემოსავლის ხარჯზე ბიუჯეტის შესრულების წესით;

— უზრუნველყოს მოიჯარეთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახსრების და დაფინანსების სხვა წყაროების გამოყენება ძეგლთა რესტავრაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა შესასრულებლად;

— შექმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ხალხური რეწვის და საწარმოთა, ორგანიზაციათა, რელიგიური კულტების შესრულების ადგილების საკუთრებაში ან სარგებლობაში და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებულ მხატვრულ, ისტორიულ და სხვა ფასეულობათა გამოვლენისა და აღრიცხვის ქვედანაყოფები.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ერთად განსაზღვროს რაიონული დაგეგმარების პროექტების შემუშავებისას დასახლებული პუნქტების განვითარების პერსპექტივები ამ ადგილების ისტორიული მნიშვნელობის, მათი დაგეგმარების თავისებურებებისა და არსებულ ნაგებობათა ისტორიულ-არქიტექტურული ფასეულობის გათვალისწინებით.

5. დამტკიცდეს 1981-1985 წლებში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა რესტავრაციის სამუშაოთა პერსპექტიული გეგმა, № 1 დანართის თანახმად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, მოყოლებული 1981 წლიდან, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტების პროექტების ფორმირებისას გაითვალისწინონ ფინანსური სახსრების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და მოწყობილობის დანიშნულებისამებრ გამო-

ყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სარესტავრაციო და სხვა სამუშაოთა დამტკიცებული მოცულობის შესაბამისად.

ბე-ტყის მასალების, მათ შორის მავარი ჯიშებისა და ზომივარძელი მერქნის, მთელი ფონდების დასაქონლება განხორციელდეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს საწარმოების მეშვეობით.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ დამატებით გამოუყონ 1981 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას მექანიზმები, ავტოსატრანსპორტო საშუალებანი და მოწყობილობა № 2 დანართის თანახმად.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნოების საწარმოო ბაზის მშენებლობის სამუშაოთა დამთავრება 1982 წლის 1 ივლისისათვის.

9. საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ გადაურიცხოს 1981 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ბუნების ძეგლთა ექსპლუატაციით მიღებული მოგების 10 პროცენტი, როგორც იჯარის ქირა.

10. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, თელავისა და სიღნაღის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან ერთად „ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 თებერვლის № 141 დადგენილებისა და „ქალაქების თელავისა და სიღნაღის ისტორიული ანსამბლების დაცვა-აღდგენის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 2 ივნისის № 361 დადგენილების შესაბამისად შეიმუშაონ და წარმოადგინონ 1981 წლის 1 სექტემბრისათვის ან

ქალაქების ისტორიულ ზონებში შემავალ ძეგლთა ადაპტაციის პერსპექტიულ ეტაპობრივი გეგმები.

11. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს განაცხადების მიხედვით გზამკვლევების, ბუკლეტებისა და სხვა პროდუქციის გეგმიანი გამოცემა წელიწადში 15-მდე სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახის მოცულობით.

12. შეიქმნას 1981 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სისტემაში დამტკიცებული შრომის გეგმების, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ხარჯზე:

— ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გელათის ფილიალის ბაზაზე — ქუთაის-გელათის ხელოვნების მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც დაეკისროს ქუთაისის, ტყიბულისა და წყალტუბოს საქალაქო ზონების ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა გამოვლენის, აღრიცხვის, შესწავლისა და დაცვის ფუნქციები;

— ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე — ვანის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც დაეკისროს ვანის რაიონის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა აღრიცხვისა და დაცვის ფუნქციები.

13. ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის სამუშაოთა მოცულობისა და პროფილის გაფართოებასთან დაკავშირებით დაერქვას მას ვარძიის ხელოვნების მუზეუმ-ნაკრძალი.

14. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნას 1982 წლის დამდგისათვის ხელოვნების ნაწარმოებთა სარესტავრაციო რესპუბლიკური ცენტრი.

15. გაგრძელდეს 1 წლით მოქმედების ვადა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 აპრილის № 287 განკარგულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო-საწარმოო გაერთიანების ზედნადები ხარჯების შესახებ.

16. ხალხის კულტურული საგანძურის ნიმუშთა პროპაგანდის გაუმჯობესებისა და ხალხური მხატვრული რეწვის განვითარების მიზნით საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ:

— ყოველწლიურად მოაწყოს რესპუბლიკის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში გამოფენა-ანგარიშები ძეგლთა დაცვისა და გამოყენებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ;

— „რესპუბლიკაში ფოტომხატვრული და პოლიგრაფიული სამხატვრო პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 464 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 11 აგვისტოს № 1067 განკარგულების ნაწილობრივ შესაცვლელად მოაწყოს სამეგრედე ნიშნების, ფოტომხატვრული ნაკეთობების, ფერადი სლაიდებისა და ნაბეჭდი სუვენირების დამზადება;

— მოაწყოს ქართული ფერდაგის, ხელით ნაქსოვი სხვა შალის ნაწარმისა და კერამიკულ ნაკეთობათა წარმოება, აგრეთვე ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება;

— შექმნას რეგიონალური საწარმოო უბნები აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქ თელავში, წყალტუბოსა და გორში ხალხური რეწვის ტრადიციების გათვალისწინებით.

17. კომპეტენციის ამღლებისა და ორგანიზაციულ შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება უფლებებითა და მოვალეობებით გაუთანაბრდეს რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნას“.

18. შეიქმნას საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან ხალხური რეწვის ლაბორატორია, ამასთან განისაზღვროს საჭირო ხელფასის ფონდი და აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი 20 საშტატო ერთეულისათვის.

19. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა რესტავრაციის სამმართველო გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სისტემაში საქართველოს ძეგლთა რესტავრაციისა და ადაპტაციის საპროექტო ინსტიტუტად დამოუკიდებელ ბალანსზე.

20. თანამედროვე საჭიროებისათვის არქიტექტურის ძეგლთა მეცნიერულად დასაბუთებული, უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, რაც მოითხოვს არა ცალკეული ობიექტების, არამედ მთლიანად რეგიონების დეტალური დაგეგმარების პროექტების შემუშავებას, დაცვის ზონების მქონე ქალაქ-ნაკრძალების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შეუთანხმონ ძეგლების გამოყენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს.

საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
 ბ. შვიპარაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
 ჯ. კაბარიაძე.

18 „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სპეციალიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 102 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

„პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 102 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ე:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-2 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 ივნისის № 371 დადგენილებისა „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“;

— 25-ე პუნქტი საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 ნოემბრის № 820 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესების, მექანიზატორთა კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 იანვრის № 102 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

22-ე პუნქტის პირველი აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 392 დადგენილებისა „საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 444 დადგენილებით, სწავლების ვადის, ატესტატების გაცემისა და უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლების ნაწილში;

— მე-7 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ივნისის № 569 დადგენილებისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და კადრების შენარ-

ჩუნების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 18 ოქტომბრის № 767 დადგენილებით.

საქართველოს კვ
 ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

ქ. თბილისი, 1981 წ. 21 აპრილი, № 326

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

19 რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის და- ცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის დათვალიე- რების ერთიანი დღის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ შრომის პირობების დაცვის გაუმჯობესების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად რესპუბლიკის საწარმოებში აშენდა და რეკონსტრუირებულია ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საგარდერობო სადგომი, დიდძალი სვენტილაციო სისტემა და დანადგარი, საშხაპე, პირსაბანი, ქალთა პირადი ჰიგიენის ოთახები და სხვა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი.

ბევრ საწარმოში ამაღლდა წარმოების კულტურა, გაუმჯობესდა სანიტარიულ-ჰიგიენური ვითარება საამქროებში და საწარმოო უბნებზე.

მაგრამ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში კვლავ მაღალია საწარმოო ტრავმატიზმის დონე.

მუშა-მოსამსახურეთა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნის და საწარმოო ტრავმატიზმის პროფილაქტიკის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შემოდებულ იქნეს 1981 წლის მარტიდან რესპუბლიკის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის დათვალიერების ერთიანი დღე—ყოველთვიურად პირველი კვირის ოთხშაბათი.



2. დაწესდეს, რომ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის დათვალიერების ერთიან დღეს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები ჩაატარებენ უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესებისა და ნორმების შესრულების მასობრივ შემოწმებას იმ ვარაუდით, რომ შემდგომ აღმოფხვრან გამოვლენილი დარღვევები.

3. დაევალოთ პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის დათვალიერების ერთიან დღეს ჩაატარონ საწარმოთა ერთობლივი შემოწმებანი პროფკავშირთა შრომის ტექნიკური ინსპექციებისა და სამინისტროთა და უწყებათა შრომის დაცვის დარღობრივი სამსახურების ძალებით, ამასთან მიიზიდონ შტატგარეშე აქტივი.

ყოველთვიურ შემოწმებათა შედეგები განიხილონ გაერთიანებულ თათბირებზე, რომლებზედაც მიიწვიონ შემოწმებულ საწარმოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

კვარტალურ შემოწმებათა შედეგები განიხილონ სამინისტროთა, უწყებათა კოლეგიებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების გაერთიანებულ სხდომებზე.

4. პასუხისმგებლობა ამ დადგენილების შესრულებისათვის დაეკისროთ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს.

5. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესაბამის განყოფილებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარაიძე.**
 საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 26 მარტი, № 201

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20 საქართველოს სსრ საზინაო მუშაუნაობის მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის საზღვრებში არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის და კ. დ. პაფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად საქართველოს სსრ

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავა საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის მართვის სქემები.

აღნიშნული სქემები ითვალისწინებენ როგორც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, ისევე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების საბინაო ფონდის მომსახურების გაუმჯობესებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას სახელმწიფო საბინაო ფონდის მოვლისა და რემონტის სრულყოფის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, საბინაო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების, ავტომატიზაციის საშუალებათა უსწრაფესად დანერგვის და სახლების საინჟინრო მოწყობილობის დისპეტჩერიზაციის, შრომის მექანიზაციისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსური დანერგვის, აგრეთვე საბინაო მეურნეობის სისტემაში დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის გზით.

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 827 დადგენილების მე-2 პუნქტის შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის საბინაო მეურნეობის მართვის სქემები.*

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად ზემოაღნიშნული სქემების საფუძველზე დადგენილი წესით შექმნას:

ა) საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება, ამასთან გააუქმოს აღნიშნული სამინისტროს საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველო;

ბ) საბინაო მეურნეობის ტრესტები ქალაქების თბილისისა და ქუთაისის თითოეულ რაიონში, ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, რუსთავსა და გორში, ამასთან გააუქმოს ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე სოხუმისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოები.

*) სქემები არ იბეჭდება.



ქალაქების თბილისისა და ქუთაისის რაიონების საბინაო მეურნეობის ტრესტების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის შეინარჩუნოს თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოები;

გ) საბინაო-საექსპლუატაციო უბნები დამოუკიდებელ ბალანსზე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სადაც საექსპლუატაციო საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 35-დან 150-მდე ათას კვადრატულ მეტრს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომუნალურ საწარმოთა კომბინატებთან, სადაც საექსპლუატაციო საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 5-დან 35-მდე ათას კვადრატულ მეტრს.

აღნიშნული ორგანიზაციები შექმნას ლიკვიდირებული საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისა და სახლმმართველობების ბაზაზე.

დაწესდეს, რომ 5 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საბინაო ფონდის ექსპლუატაციის მართვას ახორციელებენ კომენდანტები.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შემდგომში შექმნას რესპუბლიკის ქალაქებში, სადაც საექსპლუატაციო საცხოვრებელი ფართობი შეადგენს:

— 150 ათას კვადრატულ მეტრსა და მეტს — საბინაო მეურნეობის ტრესტები;

— 5-დან 150-მდე ათას კვადრატულ მეტრს — საბინაო-საექსპლუატაციო უბნები დამოუკიდებელ ბალანსზე;

4. შეიქმნას საბინაო მეურნეობის ტრესტების სამსახურები:

— ქალაქ თბილისში — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო ტრესტისა და ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომების ლიკვიდირებული სარემონტო-სამშენებლო უბნების ბაზაზე;

— დანარჩენ ქალაქებში — საბინაო ორგანიზაციათა არსებული საწარმო-ტექნიკური ბაზებისა და სახელოსნოების ბაზაზე.

5. თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოები, აგრეთვე ახალშექმნილი საბინაო ორგანიზაციები დაექვემდებარონ საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანებასა და სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

6. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების შესახებ, დებულებანი თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის

სამმართველოების შესახებ, სანიმუშო დებულებანი საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ და დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის შესახებ, აგრეთვე საბინაო მეურნეობის ტრესტების, საბინაო მეურნეობის ტრესტების საბინაო-საექსპლუატაციო უბნების, დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნებისა და მათი ბუღალტერიების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სხვა სპეციალისტთა ტიპობრივი შტატები.

7. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— შექმნან საბინაო მეურნეობის სათანადო ორგანიზაციები და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები, განსაზღვრონ მათი კატეგორიები, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა, სხვა სპეციალისტთა და მუშათა საშტატო რიცხოვნობა ექსპლუატაციაში არსებული საბინაო ფონდის მოცულობის შესაბამისად, მიუხედავად მისი უწყებრივი კუთვნილებისა;

— განახორციელონ საბინაო მეურნეობის სტრუქტურული რეორგანიზაცია საბინაო მეურნეობაში დასაქმებულ მმართველობის აპარატის მუშაკთა არსებული საშტატო რიცხოვნობის, მათი შენახვის ასიგნებების, საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტის ხარჯების ფარგლებში;

— საბინაო მეურნეობის მართვის სტრუქტურის რეორგანიზაციის შემდეგ შესაბამისად შეცვალონ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომების კომუნალურ საწარმოთა კომბინატების შრომის ანაზღაურების წესები;

— უზრუნველყონ ახალშექმნილი საბინაო ორგანიზაციების მეშვეობით, დამტკიცებული დებულებების თანახმად, საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მომსახურება, მიმდინარე რემონტი, სახლთმფლობელობათა ტერიტორიების ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობა და სხვა ღონისძიებათა განხორციელება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მოვლა-შენახვის გასაუმჯობესებლად.

დაეკისროს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ახალშექმნილი საბინაო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის ფუნქციები, ხოლო სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს — მათი მუშაობისადმი სისტემატური და ოპერატიული ხელმძღვანელობისა და ყოველდღიური კონტროლის ფუნქციები;



— განახორციელონ 1981 წლის ბოლომდე ღონისძიებანი საბინაო-ფონდის კაპიტალური რემონტის სამუშაოთა შესასრულებლად საქვეუწყებო სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების დასპეციალებისათვის.

8. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაასპეციალოს საბინაო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო ტრესტი საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის სამუშაოთა შესასრულებლად, ამასთან გაათავისუფლოს აღნიშნული ფუნქციებისაგან ქალაქ თბილისის სხვა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები.

9. გამოიყოს სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოსაგან მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების სექტორი, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფორმირების სექტორი, თვითნებური ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სექტორი, და ისინი უშუალოდ დაექვემდებარონ სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების სექტორის და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფორმირების სექტორის გაერთიანება და მათი გარდაქმნა სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოქალაქეთა აღრიცხვის, საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ფორმირების განყოფილებად.

10. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გაუთანაბრონ საცხოვრებელ ფართობს სეაჯრო, სასაწყობო, ადმინისტრაციული (სამსახურებრივი) და სხვა სადგომების ფართობი, კომპლექსის სირთულისა და მისი მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით, 1:1 შეფარდებით.

11. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ:

— გაადიდოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროების საბინაო მეურნეობის განყოფილებათა აპარატის რიცხოვნობა 6 საშტატო ერთეულამდე აღნიშნულ სამინისტროთა სისტემის საწარმო-ორგანიზაციების მმართველობის აპარატის მუშაკთა საშტატო რიცხოვნობისა და მათი შენახვის ასიგნებათა ხარჯზე;

— გამოყოს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოსაგან მოქალაქეთა აღრიცხვის კონტროლისა და საცხოვრებელი ფართობის განაწილების განყოფილება, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის განყოფილება, ბარაკებისა და სარდაფის საცხოვრებელი სადგომების ლიკვიდაციის კონტროლის განყოფილება, და შექმნას მათ ბაზაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგემო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისადმი ხელმძღვა-

ნელობისა და კონტროლის სამმართველო, ამასთან დააკისროს აღნიშნულ სამმართველოს ზემოხსენებულ განყოფილებათა ფუნქციები;

— ამ დადგენილების შესრულების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 1 ივლისამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჩარქვიანი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარიანი**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 2 მარტი, № 150

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენი-
ლებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილების თანახმად, არის სპეციალიზებული სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყველა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის საბინაო ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მოვლისა და მიმდინარე რემონტის განსახორციელებლად.

2. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების შემადგენლობაში სტრუქტურულ ქვედანაყოფებად შედიან თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო მეურნეობის სამმართველოები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საბინაო მეურნეობის ტრესტები, დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნები.

გაერთიანებაში შედიან აგრეთვე საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო რესპუბლიკური მნიშვნელობის შემდეგი ორგანიზაციები:

— რესპუბლიკური სპეციალიზებული საპროექტო კანტორა „საქბინრემპროექტი“;

— საბინაო მეურნეობის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია;

— საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა სალიფტე მეურნეობის ექსპლუატაციისა და რემონტის რესპუბლიკური საწარმოო სამმართველო.

გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა, გაერთიანებაში შეიძლება შევიდნენ: საბინაო მეურნეობის სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტთა და მუშათა მოსამზადებელი სასწავლო კომბინატი, რესპუბლიკური საწარმოო-ტექნიკური ბაზა და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნება შემდგომ.

გაერთიანების სტრუქტურაში შედის: საგეგმო-საწარმოო, შრომისა და ხელფასის, კაპიტალური მშენებლობისა და საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის, ტექნიკური და საექსპლუატაციო, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ხელმძღვანელობის განყოფილებანი, ცენტრალური ბუღალტერია.

3. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ქვედანაყოფები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი საწარმოები, და რომელსაც ამავე დროს ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები, ახორციელებს პირველთა მიმართ და თვით გაერთიანების მიერ უშუალოდ შესრულებული საწარმოო საქმიანობის მიმართ სამრეწველო საწარმოს უფლება-მოვალეობებს, ხოლო დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მართვის ორგანო.

4. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება და მის შემადგენლობაში შემავალი საბინაო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფები (საბინაო მეურნეობის სამმართველოები და ტრესტები, დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნები) წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვთ საკუთარი ძირითადი საშუალებანი და საბრუნავი სახსრები, არიან დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვთ საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება და მის შემადგენლობაში შემავალი საბინაო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და კოლეგიის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

6. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატის შენახვა ხორციელდება საქვეუწყებო ორგანიზაციათა სახსრების ანარიცხების ხარჯზე.

7. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება ცენტრალიზებულს ხდის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადამეტებით მისთვის გამოყოფილ 10-პროცენტიათა ანარიცხების სახსრებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, ძირითადი ფონდების განვითარების (საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობის გარდა) და საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანს-

პორტო და მომარაგების ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებისათვის, საცხოვრებელი სახლების შესარემონტებლად საშენი მასალები-სა და დეტალების დამამზადებელი საწარმოების, აგრეთვე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა სახელოსნოებისა და სასაწყობო სადგომების დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, მათი სარემონტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის შესაავსებლად.

II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების ძირითადი ამოცანებია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროების, უწყებებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და მოვლის გაუმჯობესება, მოსახლეობის მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა.

2. დასახული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანება ორგანიზაციისა და კონტროლს უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაობას შემდეგ დარგებში:

— საბინაო ფონდის მოვლა- და კაპიტალური რემონტი;

— საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დაგეგმვა და კონტროლი სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვისა და ხარისხისადმი;

— საბინაო ფონდისა და საბინაო ორგანიზაციების ბალანსზე არსებული სახლისპირა ტერიტორიების ჯგეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა;

— საცხოვრებელი სახლების საინჟინრო მოწყობილობის სისტემის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;

— საბინაო ფონდის კეთილმოწყობის დონის ამაღლება;

— საბინაო ფონდის მოვლისა და რემონტისათვის შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირება;

— საბინაო მეურნეობის მართვის სრულყოფა რესპუბლიკის მთელი საბინაო ფონდის ცენტრალიზაციის (საწარმოთა ფონდის ჩათვლით) და სტრუქტურულ ქვედანაყოფთა სპეციალიზაციის საფუძველზე;

— სტრუქტურული ქვედანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო სიმძლავრეთა განვითარება და განმტკიცება;

— რესპუბლიკის საბინაო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;

— შენობათა საინჟინრო მოწყობილობის მუშაობისადმი კონტროლის ავტომატიზაციისა და დისპეტჩერიზაციის დანერგვა;

— კადრების შერჩევა, განაწილება, სწავლება და აღზრდა;

— საცხოვრებელი სადგომების დაქირავებისა და არასაცხოვრებელი სად-



გომების იჯარის თაობაზე ხელშეკრულებათა დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაცია;

— შრომის დაცვის ორგანიზაცია და კონტროლი უსაფრთხოების ტექნიკის ხაზით დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი.

3. აღნიშნული ძირითადი ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანებას ეკისრება შემდეგი ფუნქციების შესრულება:

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის და საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროების, უწყებებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის ექსპლუატაციის ორგანიზაცია;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ახალაშენებული საცხოვრებელი სახლების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ბალანსზე გადასაცემი სამინისტროთა და უწყებათა საბინაო ფონდის საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის საბინაო ფონდის მიღების დაგეგმვა და კონტროლი;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ბალანსზე არსებული ან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტის დაგეგმვისა და შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— საბინაო ფონდის გამოკვლევის, კაპიტალური რემონტის პერსპექტიული და წლიური დაგეგმვის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ბალანსზე არსებული, აგრეთვე სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, დაფინანსებისა და ხარისხიანად შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია. ამასთან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისა და აღნიშნული რემონტის შესრულების სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯზე;

— საბინაო ფონდის საინჟინრო მოწყობილობის ავარიული მომსახურების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— სახლისპირა ტერიტორიების სანიტარიული მოვლის, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— საბინაო მეურნეობისათვის კაღრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება;

— საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობასთან მუშაობის, მათ შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის, ორგანიზაციისა და ჩატა-

რების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება;

— სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის, აგრეთვე პირადი საკუთრების უფლებით არსებული საბინაო ფონდის სწორი ექსპლუატაციისადმი კონტროლის განხორციელება;

— მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის ჩაბმა საბინაო ფონდის მართვაში, მისი დაცულობისა და გეროვანი წესრიგით მოვლის უზრუნველყოფაში;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ორგანოებთან ერთად სისტემატური მუშაობის განხორციელება საცხოვრებელ სახლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სამართალდარღვევათა ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

III. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების მართვა

1. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანებას სათავეში უდგას დირექტორი, რომელიც ერთმართველობის საფუძველზე ამ დებულების შესაბამისად ხელმძღვანელობს გაერთიანებისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას და პასუხისმგებელია ყველა იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომლებიც აღნიშნულ გაერთიანებას ეკისრება.

2. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების დირექტორს უფლება აქვს:

— წარმოადგინოს გაერთიანების ინტერესები ყველა დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე;

— გამოსცეს ბრძანებები, მითითებანი და ინსტრუქციები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

— წარადგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დებულებანი (წესდებანი) გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი ქვედანაყოფების შესახებ;

— განაგოს ფულადი სახსრები და მატერიალური ფასეულობანი, გახსნას და დახუროს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, შეასრულოს სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული, იურიდიული მოქმედებანი, რაც საჭიროა გაერთიანების საქმიანობის განსახორციელებლად.

IV. საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების დებულების შეცვლა და მისი საქმიანობის შეწყვეტა

საქართველოს სსრ საბინაო მეურნეობის გაერთიანების დებულებას შეცვლის და მის საქმიანობას შეწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1981 წლის 2 მარტის № 150 დად-
 გენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო
 სამმართველოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილების თანახმად, არის სპეციალიზებული სამეურნეო-გარეო-საბინაო ორგანიზაცია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მოვლის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის განსახორციელებლად.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს შემადგენლობაში სტრუქტურულ ქვედანაყოფებად შედიან: ქალაქ თბილისის რაიონების საბინაო მეურნეობის ტრესტები, რომლებიც ექვემდებარებიან აგრეთვე ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომებს, და მათი საბინაო-საექსპლუატაციო უბნები დამოუკიდებელ ბალანსზე.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოში შედიან აგრეთვე საერთო-საქალაქო დანიშნულების შემდეგი ორგანიზაციები:

— საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო ტრესტი;

— ფასადების სარემონტო-სარესტავრაციო სამმართველო;

— სალიფტე მეურნეობის სამმართველო;

— ცენტრალური სარემონტო-მექანიკური ორგანიზაცია;

— კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და მოსამზადებელი კურსები;

— ცენტრალური საავარიო სამსახური;

— საწარმოო კომბინატი.

გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე საბინაო ფონდის რემონტისა და ექსპლუატაციის ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნება შემდგომ.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სტრუქტურაში შედის: საწარმო-ტექნიკური, საგემო-ეკონომიკური განყოფილებები, ბულატერია, საკონტროლო-სარევიზო, საბონენტო, არასაცხოვრებელი სადგომების აღრიცხვისა და განაწილების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სახელმწიფო საბინაო ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის ექსპლუატაციის, ტექნიკური ზედამხედველობის, ახალაშენებული საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიღების განყოფილებები.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ქვედანაყოფები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი საწარმოები, და რომელსაც ამავე დროს ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები, ახორციელებს პირველთა მიმართ და თვით სამმართველოს მიერ უშუალოდ შესრულებული საწარმოო საქმიანობის მიმართ სამრეწველო საწარმოს უფლება-მოვალეობებს. ხოლო დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მართვის ორგანო.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო და მის შემადგენლობაში შემავალი საბინაო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვთ საკუთარი ძირითადი საშუალებანი და საბრუნავი სახსრები, არიან დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვთ საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო და მის შემადგენლობაში შემავალი საბინაო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და კოლევგის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით და ამ დებულებით.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატის შენახვა ხორციელდება საქვეუწყებო ორგანიზაციათა სახსრების ანარიცხების ხარჯზე.

7. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო ცენტრალიზებულს ხდის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადამეტებით მისთვის გამოყოფილ 10-პროცენტთან ანარიცხების სახსრებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, ძირითადი ფონდების განვითარების (საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობის გარდა)



და საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანსპორტო და მომარაგების ნიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებისათვის, საცხოვრებელი სახლების შესარემონტებლად საშენი მასალებისა და დეტალების დამამზადებელი საწარმოების, აგრეთვე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა სახელოსნოებისა და სასაწყობო სადგომების დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, მათი სარემონტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის შესავსებად.

II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების იმ საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და მოვლის გაუმჯობესება, რომელიც მიღებულია სახელმეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის, და მოსახლეობის მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა.

2. დასახული ამოცანების შესასრულებლად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა მუშაობას შემდეგ დარგებში:

- საბინაო ფონდის მოვლა, მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;
- საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დაგეგმვა და კონტროლი სამუშაოთა შესრულების ვადებისა და ხარისხისადმი;
- საბინაო ფონდისა და საბინაო ორგანიზაციების ბალანსზე არსებული სახლისპირა ტერიტორიების ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- საცხოვრებელი სახლების საინჟინრო მოწყობილობის სისტემის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;
- საბინაო ფონდის კეთილმოწყობის დონის ამაღლება;
- საბინაო ფონდის მოვლისა და რემონტისათვის შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირება;
- საბინაო მეურნეობის მართვის სრულყოფა ქალაქის მთელი საბინაო ფონდის ცენტრალიზაციის (საწარმოთა ფონდის ჩათვლით) და სტრუქტურულ ქვედანაყოფთა სპეციალიზაციის საფუძველზე;
- სტრუქტურული ქვედანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო სიმძლავრეთა განვითარება და განმტკიცება;
- ქალაქის საბინაო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;
- შენობათა საინჟინრო მოწყობილობის მუშაობისადმი კონტროლის ავტომატიზაციისა და დისპეტჩერიზაციის დანერგვა;
- კადრების შერჩევა, განაწილება, სწავლება და აღზრდა;

— საცხოვრებელი სადგომების დაქირავებისა და არასაცხოვრებელ სადგომების იჯარის თაობაზე ხელშეკრულებათა დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაცია;

— შრომის დაცვის ორგანიზაცია და კონტროლი უსაფრთხოების ტექნიკის ხაზით დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი.

3. აღნიშნული ძირითადი ამოცანების შესაბამისად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ეკისრება შემდეგი ფუნქციების შესრულება:

— ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის და სამინისტროებისა და უწყებებისაგან, საწარმოების, ორგანიზაციებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის ექსპლუატაციის ორგანიზაცია;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ახალაშენებული საცხოვრებელი სახლების, ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ბალანსზე გადასაცემი სამინისტროთა და უწყებათა საბინაო ფონდის საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების საბინაო ფონდის სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღების დაგეგმვა და კონტროლი;

— ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ბალანსზე არსებული ან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტის დაგეგმვისა და შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— საბინაო ფონდის გამოკვლევის, კაპიტალური რემონტის პერსპექტიული და წლიური დაგეგმვის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ბალანსზე არსებული, აგრეთვე სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, დაფინანსებისა და ხარისხიანად შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია. ამასთან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისა და აღნიშნული რემონტის შესრულების სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯზე;

— საბინაო ფონდის საინჟინრო მოწყობილობის ავარიული მომსახურების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— სახლისპირა ტერიტორიების სანიტარიული მოვლის, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— საბინაო მეურნეობისათვის კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება;

— საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობასთან მუშაობის, მათ შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის, ორგანიზაციისა და ჩატარების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება

— სამინისტროებისა და უწყებების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის, აგრეთვე პირადი საკუთრების უფლებით არსებული საბინაო ფონდის სწორი ექსპლუატაციისადმი კონტროლის განხორციელება;

— მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის ჩაბმა საბინაო ფონდის მართვაში, მისი დაცულობისა და ჭაროვანი წესრიგით მოვლის უზრუნველყოფაში;

— სახელმწიფოებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლების მოვლისა და ტექნიკური ექსპლუატაციის დარგში მუშაობის განხორციელება სახელმწიფო საბინაო ფონდის თანაბრად;

— სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ორგანოებთან ერთად სისტემატური მუშაობის განხორციელება საცხოვრებელ სახლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სამართალდარღვევათა ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

III. მართვა

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელიც ერთმმართველობის საფუძველზე ამ დებულების შესაბამისად ხელმძღვანელობს სამმართველოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას და პასუხისმგებელია ყველა იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომლებიც აღნიშნულ სამმართველოს ეკისრება.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

— წარმოადგინოს სამმართველოს ინტერესები ყველა დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე;

— გამოსცეს ბრძანებანი, მითითებანი და ინსტრუქციები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

— განავოს ფულადი და მატერიალური ფასეულობანი, განხნას და დახუროს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, შეასრულოს სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული, იურიდიული მოქმედებანი, რაც საჭიროა სამმართველოს საქმიანობის განსახორციელებლად.

IV. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს დებულების შეცვლა და მისი საქმიანობის შეწყვეტა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს დებულებას შეცვლის და მის საქმიანობას შეწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 2 მარტის № 150 დადგე-
ნილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურ-
ნეობის სამმართველოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილების თანახმად, არის სპეციალიზებული სამეურნეო-გარეშე-ორგანიზაცია ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მოვლის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის განსახორციელებლად.

2. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს შემადგენლობაში სტრუქტურულ ქვედანაყოფებად შედიან: ქალაქ ქუთაისის რაიონების საბინაო მეურნეობის ტრესტები და მათი საბინაო-საექსპლუატაციო უბნები დამოუკიდებელ ბალანსზე, აგრეთვე საწარმო-ტექნიკური ბაზა.

გარდა აღნიშნული ორგანიზაციებისა, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე საბინაო ფონდის რემონტისა და ექსპლუატაციის ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნება შემდგომ.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს აქვს: საწარმო-ტექნიკური, საგვეგმო-ეკონომიკური, ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებანი, ბუღალტერია.

3. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო, რომლის შემადგენლობაში შედიან საწარმოო ქვედანაყოფები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი საწარმოები, და რომელსაც ამავე დროს ექვემდებარებიან დამოუკიდებელი საწარმოები, ახორციელებს პირველთა მიმართ და თვით სამმართველოს მიერ უშუალოდ შესრულებული საწარმოო საქმიანობის მიმართ სამრეწველო საწარმოს უფლება-მოვალეობებს, ხოლო დაქვემდებარებული დამოუკიდებელი საწარმოების მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მართვის ორგანო.



4. ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო და მის შემადგენლობაში შემავალი საბინაო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფები (საბინაო მეურნეობის ტრესტები) წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვთ საკუთარი ძირითადი საშუალებანი და საბრუნავი სახსრები, არიან დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვთ საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

5. ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო და მის შემადგენლობაში შემავალი საბინაო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და კოლეგიის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით და ამ დებულებით.

6. ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატის შენახვა ხორციელდება საქვეუწყებო ორგანიზაციათა სახსრების ანაოციების ხარჯზე.

7. ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო ცენტრალიზებულს ხდის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადამეტებით მისთვის გამოყოფილი 10-პროცენტიანი ანაოციების სახსრებს, რომლებიც გათვალისწინებულია საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, ძირითადი ფონდების განვითარების (საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების მშენებლობის გარდა) და საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანსპორტო და მომარაგების ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებისათვის, საცხოვრებელი სახლების შესარემონტებლად საშენი მასალებისა და დეტალების დამამზადებელი საწარმოების, აგრეთვე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა სახელოსნოებისა და სასაწყობო სადგომების დაპროექტების, მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, მათი სარემონტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის შესავსებად.

II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია ქუთაისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო ფონდის, საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოლპერატივების იმ საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და მოვლის გაუმჯობესება, რომელიც მიღებულია სახელმეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის, და მოსახლეობის მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა.

2. დასახული ამოცანების შესასრულებლად ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველო ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს სტრუქტურულ ქვადანაყოფთა მუშაობას შემდეგ დარგებში:

- საბინაო ფონდის მოვლა და მიმდინარე რემონტი;
- საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დაგეგმვა და კონტროლი სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვისა და ხარისხისადმი;
- საბინაო ფონდისა და საბინაო ორგანიზაციების ბალანსზე არსებული სახლისპირა ტერიტორიების ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა;

- საცხოვრებელი სახლების საინჟინრო მოწყობილობის სისტემის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;

- საბინაო ფონდის კეთილმოწყობის დონის ამაღლება;

- საბინაო ფონდის მოვლისა და რემონტისათვის შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირება;

- საბინაო მეურნეობის მართვის სრულყოფა ქალაქის მთელი საბინაო ფონდის ცენტრალიზაციის (საწარმოთა ფონდის ჩათვლით) და სტრუქტურულ ქვედანაყოფთა სპეციალიზაციის საფუძველზე;

- სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო სიმძლავრეთა განვითარება და განმტკიცება;

- ქალაქის საბინაო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა;

- შენობათა საინჟინრო მოწყობილობის მუშაობისადმი კონტროლის ავტომატიზაციისა და დისპეტჩერიზაციის დანერგვა;

- კადრების შერჩევა, განაწილება, სწავლება და აღზრდა;

- საცხოვრებელი სადგომების დაქირავებისა და არასაცხოვრებელი სადგომების იჯარის თაობაზე ხელშეკრულებათა დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაცია;

- შრომის დაცვის ორგანიზაცია და კონტროლი უსაფრთხოების ტექნიკის ხაზით დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი.

3. აღნიშნული ძირითადი ამოცანების შესაბამისად ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ეკისრება შემდეგი ფუნქციების შესრულება:

- ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის და საწარმოების, ორგანიზაციებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის ექსპლუატაციის ორგანიზაცია;

- სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ახალშენებული საცხოვრებელი სახლების და ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ბალანსზე გადასაცემი საწარმოთა და ორგანიზაციათა საბინაო ფონდის საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საბინაო ფონდის სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღების დაგეგმვა და კონტროლი;

— ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ბალანსზე არსებული ან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტის დაგეგმვისა და შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— საბინაო ფონდის გამოკვლევის, კაპიტალური რემონტის პერსპექტიული და წლიური დაგეგმვის, ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ბალანსზე არსებული, აგრეთვე სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, დაფინანსებისა და ხარისხიანად შესრულების სამუშაოთა ორგანიზაცია. ამასთან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისა და აღნიშნული რემონტის შესრულების სამუშაოთა დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯზე;

— საბინაო ფონდის საინჟინრო მოწყობილობის ავარიული მომსახურების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— სახლისპირა ტერიტორიების სანიტარიული მოვლის, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოთა ორგანიზაცია;

— საბინაო მეურნეობისათვის კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება;

— საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობასთან მუშაობის, მათ შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის, ორგანიზაციისა და ჩატარების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება;

— საწარმოების, ორგანიზაციებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის, აგრეთვე პირადი საკუთრების უფლებით არსებული საბინაო ფონდის სწორი ექსპლუატაციისადმი კონტროლის განხორციელება;

— მოსახლეობისა და საზოგადოებრიობის ჩაბმა საბინაო ფონდის მართვაში, მისი დაცულობისა და ჯეროვანი წესრიგით მოვლის უზრუნველყოფაში;

— სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო სამშენებლო კოოპერატივების სახლების მოვლისა და ტექნიკური ექსპლუატაციის დარგში მუშაობის განხორციელება სახელმწიფო საბინაო ფონდის თანაბრად;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ორგანოებთან ერთად სისტემატური მუშაობის განხორციელება საცხოვრებელ სახლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სამართალდარღვევათა ჩადენის თავიდან ასაცილებლად.

III. მმართველობის აპარატი

1. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელიც ერთმმართველობის საფუძველზე ამ დებულების შესაბამისად ხელმძღვანელობს სამმართველოსა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას და პასუხისმგებელია ყველა იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომლებიც აღნიშნულ სამმართველოს ეკისრება.

2. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

— წარმოადგინოს სამმართველოს ინტერესები ყველა დაწესებულებაში, საწარმოში, ორგანიზაციაში, სასამართლოსა და არბიტრაჟის ორგანოებში განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე;

— გამოსცეს ბრძანებანი, მითითებანი და ინსტრუქციები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

— განაგოს ფულადი და მატერიალური ფასეულობანი, გახსნას და დახუროს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები, შეასრულოს სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული, იურიდიული მოქმედებანი, რაც საჭიროა სამმართველოს საქმიანობის განსახორციელებლად.

IV. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს დებულების შეცვლა და მისი საქმიანობის შეწყვეტა

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს დებულებას შეცვლის და მის საქმიანობას შეწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილებით

სანიშნო დებულება

საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. რესპუბლიკის საბინაო მეურნეობაში ძირითადი ორგანიზაციები არიან საბინაო მეურნეობის ტრესტები (საექსპლუატაციო საცხოვრებელი ფართობი — 150 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი), რომლებიც შექმნილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 4 სექტემბრის № 740 დადგენილების და „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა

ტრთა საბჭოს 1979 წლის 19 დეკემბრის № 827 დადგენილების შესაბამისად და მოსახლეობის მომსახურების, საცხოვრებელი სახლების მოვლის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და საბინაო ფონდის ექსპლუატაციის რენტაბელობის ამაღლების მიზნით.

2. საბინაო მეურნეობის ტრესტი არის სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლების ტექნიკურ მოვლასა და მიმდინარე რემონტს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისაგან, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, სამინისტროებისა და უწყებებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯეროვან სანიტარიულ მოვლას.

3. საბინაო მეურნეობის ტრესტები იქმნება ქალაქებში, ქალაქის რაიონებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

4. საბინაო მეურნეობის ტრესტი თავის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს გეგმის შესაბამისად სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ასრულებს მოვალეობებს და სარგებლობს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, არის დამოუკიდებელ ბალანსზე და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

5. ტრესტის კატეგორია და სტრუქტურა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება მომსახურებული საცხოვრებელი ფართობის ოდენობის, წინააღმდეგობის საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების ან ტრესტის მიერ გაერთიანებული სახლთმმართველობების რაოდენობის გათვალისწინებით, საბინაო ფონდის ტერიტორიული განლაგების მიხედვით.

6. სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი ფართობი უთანაბრდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საცხოვრებელ ფართობს.

სავაჭრო, სასაწყობო, ადმინისტრაციული (სამსახურებრივი) და სხვა არასაცხოვრებელი სადგომების ფართობი უთანაბრდება საცხოვრებელ ფართობს, 1:1 შეფარდებით.

7. საბინაო მეურნეობის ტრესტი ექვემდებარება ზემდგომ საბინაო ორგანიზაციასა და ქალაქის ან რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს.

8. კატეგორიის შესაბამისად საბინაო მეურნეობის ტრესტის აპარატში შეიძლება შეიქმნას: საწარმოო-ტექნიკური, საგეგმო-ეკონომიკური, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების განყოფილებები, ბუღალტერია.

ცენტრალიზებული საქალაქო ბუღალტერიის არარსებობის შემთხვევაში იქმნება ტრესტის გაერთიანებული ბუღალტერია.

9. საბინაო მეურნეობის ტრესტის შემადგენლობაში შინაგანი სამეურნეო ანგარიშის უფლებებით შედიან საბინაო-საექსპლუატაციო უბნები, საწარმოო უბნები და საწარმოო სამსახურები: საერთო-სამშენებლო, სანტექნიკურ და სპეციალურ სამუშაოთა, მექანიზებული დაგვისა და კეთილმოწყობის, გაერთიანებული საავარიო-სადისპეტჩერო სამსახურები.

10. საწარმოო სამსახურები, ბრიგადები და რგოლები დაკომპლექტდება მიმდინარე რემონტის მუშებითა და მეეზოვეებით, დაწესებული ნორმების თანახმად სამსახურებისათვის გამოყოფილ მუშათა რაოდენობას განსაზღვრავს ტრესტის ხელმძღვანელობა. საწარმოო სამსახურებში რეკომენდებულია მიმდინარე რემონტის მუშათა 50-60 პროცენტის თავმოყრა.

11. საბინაო-საექსპლუატაციო უბნებს გამოეყოფათ, როგორც წესი, მეეზოვეთა და ნაგავსატარების მუშათა 70-80 პროცენტი, ხოლო მეეზოვეთა დანარჩენი ნაწილი გადაეცემა მექანიზებული დავისა და კეთილმოწყობის სამსახურს.

12. მუშათა, მეეზოვეთა და უმცროსი მომსახურე პერსონალის საერთო რიცხოვნობა განისაზღვრება მოქმედი ნორმატივების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1976 წლის 5 აპრილის № 93 და 1975 წლის 15 იანვრის № 12 დადგენილებებით — „საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტით დასაქმებული მუშებისათვის მომსახურების ტიპობრივი ნორმები“ და „სახლთმფლობელობათა სანიტარიული მოვლის სამუშაოებით დასაქმებული მუშებისათვის მომსახურების ტიპობრივი ნორმები“.

II. საბინაო მეურნეობის ტრესტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საბინაო მეურნეობის ტრესტის ძირითადი ამოცანებია სახელმწიფო საბინაო ფონდის ხარისხიანი მოვლისა და დაცულობის უზრუნველყოფა მისი სწორი ტექნიკური ექსპლუატაციის, გეგმიან-გამაფრთხილებელი მიმდინარე რემონტის ჩატარების, სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის საფუძველზე, აგრეთვე ტრესტის საქვეუწყებო სახლებში მცხოვრები მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, ტრესტი კონტროლს უწევს კაპიტალური რემონტის შესრულების ვადებსა და ხარისხს.

2. ძირითადი ამოცანების შესაბამისად საბინაო მეურნეობის ტრესტს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

— საწარმოო სამსახურებისა და საბინაო-საექსპლუატაციო უბნების თეორიური, კვარტალური და წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

— საბინაო ფონდის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმების შედგენა;

— საცხოვრებელი სახლების საერთო, ნაწილობრივ და რიგგარეშე დთვალეირებათა გრაფიკების შემუშავება დადგენილი ვადების შესაბამისად;

— საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ტერიტორიის დავის ორგანიზაცია, საყოფაცხოვრებო ნაგვისა და კვების ნარჩენების დროულად გატანის ორგანიზაცია და კონტროლი;

— მუშათა შრომის მაღალი ეფექტიანობის უზრუნველყოფა სამუშაოთა

გასწორება

კრებულის შინაარსში ნაცვლად სიტყვებისა „36. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში წარმოების მართვის დარგობრივი (სამჭრო) პრინციპის დანერგვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“ უნდა იკითხებოდეს სიტყვები „36. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს შექმნის შესახებ“.

ორგანიზაციის განუწყვეტელი სრულყოფის, ახალი ტექნიკისა და შრომის მეტ-ნიერული ორგანიზაციის დანერგვის საფუძველზე;

— ახალშენებული, კაპიტალურად შეკეთებული სახლების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების მუშაობაში და გეგმიან-გამაფრთხილებელი მიმდინარე რემონტის შემდეგ სახლების მიღებაში მონაწილეობა;

— ტრესტის გამგებლობაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა და კონტროლი ბინის, იჯარის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელთა აკრეფისადმი;

— ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განხორციელება მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— კონტროლი საბინაო ორგანოებისათვის დაკისრებული იმ ფუნქციების შესრულებისადმი, რომ დაიცვან მცხოვრები მოსახლეობის საპასპორტო რეჟიმი;

— საბინაო ფონდის მოვლის დათვალეირებათა სისტემატური ჩატარება მიკრორაიონებში დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით, შენობათა სადარბაზოებში და მთლიანად სახლებში მოზინადრეთა მორიგეობის ორგანიზაცია;

— საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში სალაპარაკო მოწყობილობათა დადგმის ორგანიზაცია სადისპეტჩერო პუნქტის მორიგესთან მოქალაქეთა პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით;

— ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაგზავნა, მათ შორის სადისპეტჩერო სამსახურის მეშვეობით, მილიციის ორგანოთა სამორიგეო ნაწილებისათვის საცხოვრებელ სახლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა ყველა ფაქტის შესახებ;

— მოსახლეობის მიღება, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა ტრესტის საქმიანობის ყველა საკითხზე, შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღება და კონტროლი მათი შესრულებისადმი;

— საბინაო-საექსპლუატაციო უბნების, საწარმოო სამსახურების, სამორიგეო სარემონტო (საავარიო) სამსახურის ძალებით საინჟინრო მოწყობილობის უწყისიერობათა ლიკვიდაციისათვის მოსახლეობის განაცხადების დროულად შესრულების უზრუნველყოფა;

— ტრესტისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის უზრუნველყოფა და მათი მოვლა-პატრონობა;

— კონტროლი საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი;

— უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება და კონტროლი ამ საქმეში;

— კონტროლის ორგანიზაცია იმისადმი, რომ ბინის დამქირავებლებმა და მოიჯარებებმა შეასრულონ დაქირავებისა და იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოვალეობანი;

— სახლების, სადარბაზოების, ბინების სანიმუშოდ მოვლისა და მაღალი



საყოფაცხოვრებო კულტურისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია მუშებსა და მოსახლეობაში.

III. საბინაო მეურნეობის ტრესტის მართვა

1. საბინაო მეურნეობის ტრესტს სათავეში უდგას ტრესტის მმართველი-რომელიც ერთმმართველობის საფუძველზე ამ დებულების შესაბამისად ახორციელებს ხელმძღვანელობას ტრესტის საქმიანობისადმი და პასუხისმგებელია ყველა იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომლებიც ტრესტს ეკისრება.

2. საბინაო მეურნეობის ტრესტის მმართველი, მისი მოადგილეები, მთავარი ინჟინერი, მთავარი ბუღალტერი თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან ზემდგომი საბინაო ორგანიზაციის ბრძანებით აღმასკომთან შეთანხმებით.

3. საბინაო მეურნეობის ტრესტის მმართველი და მისი მოადგილეები (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) წარმოადგენენ ტრესტს განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციასა და საწარმოში, განაგებენ მის ქონებას, დებენ ხელშეკრულებებს, გასცემენ მინდობილობებს.

4. საბინაო მეურნეობის ტრესტს აქვს სახლების, საინჟინრო სისტემებისა და ნაგებობების ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებითა და ნორმებით.

5. საბინაო მეურნეობის ტრესტი თავის საქმიანობას შეწყვეტს იმ ორგანოს დადგენილებით (გადაწყვეტილებით), რომელმაც მიიღო დადგენილება (გადაწყვეტილება) მისი შექმნის შესახებ.

6. დებულებას ქალაქის, რაიონის საბინაო მეურნეობის ტრესტის შესახებ ამტკიცებს ზემდგომი საბინაო ორგანიზაცია.

IV. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურები

1. საერთო-სამშენებლო, სანტექნიკურ და სპეციალურ სამუშაოთა, მექანიზებული დაგვისა და კეთილმოწყობის სამსახურები, აგრეთვე გაერთიანებული საავარიო-სადისპეტჩერო სამსახური წარმოადგენენ ტრესტის საწარმოო ქვედანაყოფებს და არიან შინაგან სამეურნეო ანგარიშზე.

2. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურების ძირითადი ამოცანებია საცხოვრებელი შენობებისა და სახლივითი საინჟინრო მოწყობილობის გვეგმიან-გამაფრთხილებელი და გაუთვალისწინებელი მიმდინარე რემონტის შესრულება, შინაკვარტალური ტერიტორიების მექანიზებული დაგვა და კეთილმოწყობა.

3. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურები სამუშაოებს ასრულებენ ტრესტის მიერ ღირებულებითი და ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით დამტკიცებული სამუშაო გეგმების შესაბამისად.

4. ძირითადი ფონდების ეფექტიანი გამოყენების მიზნით საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურებს თავიანთ შემადგენლობაში აქვთ ერთიანი საწარ-

მოო სახელოსნოები, გარაჟები, საწარმო-ტექნიკური ბაზა, რომლებიც პლექტებულია შესაბამისი მოწყობილობით.

5. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურების მუშაკთა რიცხოვნობას განსაზღვრავს ტრესტის ხელმძღვანელობა.

რეკომენდებულია საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურებს გამოეყოს მიმდინარე რემონტის მუშათა საერთო რაოდენობის 50-60 პროცენტი, მოქმედი ნორმატივების შესაბამისად განსაზღვრული მეეზოვეთა და სხვა მომსახურე პერსონალის საერთო რაოდენობის 20-30 პროცენტი.

6. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შტატი განისაზღვრება ტრესტის საშტატო განრიგით და შეიცავს უფროს ოსტატსა და ოსტატებს.

7. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურს სათავეში უდგას სამსახურის უფროსი, რომელიც შესასრულებელ სამუშაოთა შესაბამისად ემორჩილება ტრესტის მთავარ ინჟინერს ან მმართველის მოადგილეს.

8. საბინაო მეურნეობის ტრესტის სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და ყველა მანევრების მიხედვით გეგმის შესრულებისათვის, სამუშაოთა მაღალი ხარისხისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის უზრუნველყოფისათვის.

V. საბინაო მეურნეობის ტრესტის საბინაო-საექსპლუატაციო უბნები

ა. ზოგადი დებულებანი

1. საბინაო მეურნეობის ტრესტის საბინაო-საექსპლუატაციო უბანი არის საბინაო ფონდის ექსპლუატაციის ძირეული ორგანიზაცია;

2. საბინაო მეურნეობის ტრესტის საბინაო-საექსპლუატაციო უბნები საექსპლუატაციო საცხოვრებელი ფართობისა და მასთან გათანაბრებული არასაცხოვრებელი ფართობის რაოდენობის შესაბამისად განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიებს:

I კატეგორია — 70-დან 150 ათას კვადრატულ მეტრამდე;

II კატეგორია — 50-დან 70 ათას კვადრატულ მეტრამდე;

III კატეგორია — 35-დან 50 ათას კვადრატულ მეტრამდე.

3. საბინაო-საექსპლუატაციო უბნები იქმნება საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების (სახლომმართველობათა) ბაზაზე საცხოვრებელი სახლების ტერიტორიული განლაგების გათვალისწინებით.

4. საბინაო-საექსპლუატაციო უბანი მოქმედებს შინაგანი სამეურნეო ანგარიშის პრინციპებით, ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია საბინაო მეურნეობის ტრესტის წინაშე და აბარებს მას ანგარიშს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა დარგში.

5. საბინაო-საექსპლუატაციო უბანში მუშაობს მიმდინარე რემონტის მუშათა საერთო რაოდენობის 40-50 პროცენტი და საბინაო მეურნეობის ტრესტის მეეზოვეთა 70-80 პროცენტი.



ბ. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ძირითადი ამოცანებია საბინაო ფონდის მოვლა-შენახვის უზრუნველყოფა, შენობათა კონსტრუქციული ელემენტებისა და საინჟინრო მოწყობილობის დაცვა ტექნიკურად წესიერულ მდგომარეობაში, სახლების მიმდინარე რემონტის დროულად ჩატარება, სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯეროვანი სანიტარიული მოვლა და კეთილმოწყობა.

2. საბინაო-საექსპლუატაციო უბანი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

— უზრუნველყოფს საბინაო ფონდის ექსპლუატაციას საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად;

— ახორციელებს კონტროლს პროფილაქტიკური რემონტისადმი, რაც განაპირობებს შენობათა საინჟინრო მოწყობილობისა და კონსტრუქციული ელემენტების შეუფერხებელ მუშაობას;

— ორგანიზაციას უწევს და ატარებს საცხოვრებელი სახლების გეგმიან (საგზაფხულო და საშემოდგომო) დათვალიერებებს, შეიმუშავებს წინადადებებს საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტის გეგმების მიხედვით გეგმიან დათვალიერებათა შედეგების საფუძველზე, ახორციელებს შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მომსახურების პროფილაქტიკურ სამუშაოებს;

— ასრულებს სამუშაოებს მოსახლეობის განცხადების მიხედვით;

— უზრუნველყოფს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას;

— უზრუნველყოფს მწვანე ნარგავების დაცვა-შენარჩუნებას უბნის ტერიტორიაზე და მათ მოვლა-პატრონობას;

— უზრუნველყოფს სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯეროვან სანიტარიულ მოვლას;

— ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს საყოფაცხოვრებო ნაგვისა და კვების ნარჩენების გატანას;

— აწყობს თავისუფალ ტერიტორიებზე საბავშვო და სპორტულ მოედნებს;

— კონტროლს უწევს ბინის დამქირავებელთა მიერ საცხოვრებელი სადგომების დაქირავების ხელშეკრულებათა შესრულებას;

— ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს მოიჯარეთა მიერ ხელშეკრულებების შესრულებას;

— უზრუნველყოფს მეურნეობის ეკონომიურ, რენტაბელურ გაძღოლას;

— აფორმებს მოქალაქეთა ჩაწერას;

— ახორციელებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის ღონისძიებებს;

— ორგანიზაციასა და კონტროლს უწევს ბინისა და იჯარის ქირის აკრეფას;

— ახორციელებს კონტროლს საბინაო ფონდის შესახლების წესების დაცვისადმი, არ უშვებს ბინებისა და იჯარით მისაცემი სადგომების შესახლებას უორდეროდ;

— ახორციელებს მოსახლეობასთან მუშაობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით;

— ახორციელებს მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— გამოყოფს სადგომებს, მოწყობილობასა და ინვენტარს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვებთან მუშაობის ორგანიზაციისათვის;

— სახლის კომენდანტებთან ერთად აწყოებს მოსახლეობაში შეჯიბრებას სახლების, სადარბაზოების, ბინების სანიმუშოდ მოვლისა და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურისათვის.

გ. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის მართვა

1. საბინაო-საექსპლუატაციო უბანს სათავეში უდგას უფროსი.

2. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საბინაო მეურნეობის ტრესტის ბრძანებით.

3. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს ემორჩილება უბნის მთელი ადმინისტრაციული და საწარმოო პერსონალი.

4. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი მოვალეა:

— მონაწილეობა მიიღოს უბნის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა დარგის მიხედვით დაგეგმვაში, აღრიცხვასა და ანგარიშგების შედგენაში;

— უზრუნველყოს სამეურნეო-საფინანსო გეგმის, აგრეთვე კვების ნარჩენების, ლითონის ჯართისა და მეორეული ნედლეულის შეგროვების გეგმის შესრულება;

— უზრუნველყოს უბნის მეურნეობის ეკონომიური, რენტაბელური გაძღოლა, განახორციელოს მუშაობა საექსპლუატაციო ხარჯების სისტემატურა შემცირებისათვის, ბინისა და იჯარის ქირის დროულად შემოსვლისათვის;

— მოაწყოს საცხოვრებელი სახლების რეგულარული დათვალიერება, სახლის მოწყობილობის უწყესიერობისა და ავარიების ლიკვიდაცია;

— უხელმძღვანელოს გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტის თაობაზე განაცხადების შედგენას და წარუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საბინაო მეურნეობის ტრესტს;

— განახორციელოს მუშაობა კადრების აღზრდისათვის, უზრუნველყოს შრომის დისციპლინის დაცვა უბნის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიერ, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია კოლექტივში;

— უზრუნველყოს საბინაო ფონდის პასპორტიზაცია, საცხოვრებელი სადგომების დაქირავების ხელშეკრულებათა და არასაცხოვრებელი სადგომების იჯარის ხელშეკრულებათა დროულად დადება და ხელახლა დადება, ამ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება;

— აწარმოოს მოსახლეობის მიღება კანონით დადგენილი წესით, მისცეს ცნობებზე მომსახურებულ სახლმფლობელობებში მცხოვრებ მოქალაქეებს;

— უპასუხოს დაწესებულ ვადებში ბინის დამქირავებელთა საჩივრებსა და განცხადებებს და უზრუნველყოს მომსახურებულ სახლმფლობელობებში მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნების შესრულება;

— სახლის კომიტეტებთან ერთად უზრუნველყოს მობინადრეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია ბინების მოვლისა და სანიმუშო მდგომარეობისათვის, ბინის დამქირავებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საბინაო ფონდის სარემონტო რაზმეულების ორგანიზაცია საზოგადოებრივ საწყისებზე;

— უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობის სწორად გამოყენების აღრიცხვა, აგრეთვე საბასპორტო რეჟიმის დაცვა;

— უზრუნველყოს საბინაო ფონდის მოვლის დათვალეირებათა სისტემატურად ჩატარება მიკრორაიონებში დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით, მობინადრეთა მორიგეობის ორგანიზაცია შენობათა სადარბაზოებში და მთლიანად სახლებში;

— უზრუნველყოს სალაპარაკო მოწყობილობათა დადგმა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში სადისპეტჩერო პუნქტის მორიგესთან მოქალაქეთა პირდაპირი კავშირის დამყარების მიზნით;

— უზრუნველყოს ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაგზავნა, მათ შორის სადისპეტჩერო სამსახურის მეშვეობით, მილიციის ორგანოთა სამორიგეო ნაწილებისათვის საცხოვრებელ სახლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა ყველა ფაქტის შესახებ.

5. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს უფლება აქვს:

— მოითხოვოს დადგენილ ვადებში ბინის დამქირავებელთა სახსრების ხარჯზე საცხოვრებელი სადგომებისა და საერთო სარგებლობის ადგილების მიმდინარე რემონტის შესრულება საბინაო ფონდის სარგებლობისა და მოვლის წესებით გათვალისწინებული ნუსხის და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის სათანადო გადაწყვეტილებების შესაბამისად;

— გადაასახლოს საბინაო მეურნეობის ტრესტის მითითებით მოქალაქენი ავარიული საბინაო ფონდიდან.

6. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის.

დ. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატი

1. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატი არის ხელმძღვანელი და უშუალო ორგანიზატორი მისთვის მიჩენილი 25-40 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შენობათა ჯგუფის სწორი ტექნიკური ექსპლუატა-

ციისა საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად.

2. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის ძირითადი ამოცანაა მისთვის მიჩენილი საბინაო ფონდის მოვლისა და სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯგეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა.

3. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საბინაო მეურნეობის ტრესტის ბრძანებით.

4. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატს ემორჩილებიან მიმდინარე რემონტის მუშები, მეეზოვეები, დამლაგებლები, ნავაგსატარების მუშები და სხვა მომსახურე პერსონალი.

5. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის ძირითადი მოვალეობანი და უფლებანი განისაზღვრება ოსტატის შესახებ ტიპობრივი დებულების შესაბამისად და მტკიცდება საბინაო მეურნეობის ტრესტის ხელმძღვანელობის მიერ.

VI. საწარმოო სამსახურების სტრუქტურა

საბინაო მეურნეობის ტრესტის საერთო-სამშენებლო, სანტექნიკურ და სპეციალურ სამუშაოთა სამსახურებს სათავეში უდგანან შესაბამისი სამსახურების უფროსები, რომელთაც ექვემდებარებიან უფროსი ოსტატები და ოსტატები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტის ჩამტარებელ მუშებს.

საბინაო მეურნეობის ტრესტის მექანიზებული დაგვისა და კეთილმოწყობის სამსახურს სათავეში უდგას სამსახურის უფროსი, რომელსაც ექვემდებარებიან მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციისა და რემონტის უფროსი ოსტატი და მუშები, მოწყობილობის ექსპლუატაციისა და რემონტის ოსტატი და მუშები, მექანიზებული დაგვის ოსტატი და მუშები.

ოსტატები ექვემდებარებიან უფროს ოსტატებს.

საბინაო მეურნეობის ტრესტის გაერთიანებულ საავარიო-სადისპეტჩერო სამსახურს სათავეში უდგას სამსახურის უფროსი, რომელსაც ექვემდებარებიან უფროსი დისპეტჩერი, დისპეტჩერები და საავარიო და გადაუდებელი რემონტის მუშები.

საბინაო-საექსპლუატაციო უბნის სტრუქტურაში, ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების გარდა, შედიან საგანაცხადო რემონტის, სანიტარიული მოვლისა და ტერიტორიის დაგვის ოსტატები და მუშები.



სანიმუშო დებულება

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. დამოუკიდებელ ბალანსზე საბინაო-საექსპლუატაციო უბანი იქმნება 35 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი და მასთან გათანაბრებული არასაცხოვრებელი ფართობის არსებობისა და წარმოადგენს სპეციალიზებულ ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბინაო ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კო-ოპერატივებისა და საწარმო-ორგანიზაციებისაგან სახელშეკრულებო საწყისებზე მომსახურებისათვის მიღებული საბინაო ფონდის ექსპლუატაციას.

2. დამოუკიდებელ ბალანსზე საბინაო-საექსპლუატაციო უბნები იქმნება ქალაქებში, ქალაქის რაიონებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ლიკვიდირებული საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისა და სახლმმართველობების ბაზაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

3. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნები ახორციელებენ საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე გეგმის შესაბამისად, ასრულებენ მოვალეობებს და სარგებლობენ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებებით, არიან იურიდიული პირები.

4. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნები საექსპლუატაციო საცხოვრებელი ფართობისა და მასთან გათანაბრებული არასაცხოვრებელი ფართობის რაოდენობის შესაბამისად განეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიებსა და შრომის ანაზღაურების ჯგუფებს:

I კატეგორია, V ჯგუფი — 70-დან 150 ათას კვადრატულ მეტრამდე;

II კატეგორია, VI ჯგუფი — 50-დან 70 ათას კვადრატულ მეტრამდე;

III კატეგორია, VII ჯგუფი — 35-დან 50 ათას კვადრატულ მეტრამდე.

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის მუშათა, მეეზოვეთა და უმცროსი მომსახურე პერსონალის საერთო რიცხოვნობა განისაზღვრება მოქმედი ნორმატივების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის 1976 წლის 5 აპრილის № 93 და 1975 წლის 15 იანვრის № 12 დადგენილებით — „საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტით დასაქმებული მუშებისათვის მომსახურების ტიპობრივი ნორმები“ და „სახლთმფლობელობათა სანიტარიული მოვლის სამუშაოებით დასაქმებული მუშებისათვის მომსახურების ტიპობრივი ნორმები“.

5. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებიან ზემდგომ საბინაო ორგანიზაციას და შესაბამისი სახალხო დებუტატთა საბჭოს (ქალაქის, რაიონის, ქალაქის რაიონის ან ქალაქის ტიპის დაბის) აღმასკომს.

II. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ძირითადი ამოცანებია სახელმწიფო საბინაო ფონდის ხარისხიანი მოვლისა და დაცულობის უზრუნველყოფა მისი სწორი ტექნიკური ექსპლუატაციის, გეგმიან-გამაფრთხილებელი მიმდინარე რემონტის ჩატარების, სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის საფუძველზე, აგრეთვე საბინაო-საექსპლუატაციო უბნის საქვეუწყებო სახლებში მცხოვრები მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, საბინაო-საექსპლუატაციო უბანი კონტროლს უწევს კაპიტალური რემონტის შესრულების ვადებსა და ხარისხს.

2. ძირითადი ამოცანების შესაბამისად დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ საბინაო-საექსპლუატაციო უბანს ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

— თვიური, კვარტალური და წლიური სამეურნეო-საფინანსო გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

— საბინაო ფონდის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის გეგმების შედგენა;

— საცხოვრებელი სახლების საერთო, ნაწილობრივი და რიგგარეშე დათვალიერებათა გრაფიკების შემუშავება დადგენილი ვადების შესაბამისად;

— საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ტერიტორიის დაგვის ორგანიზაცია, საყოფაცხოვრებო ნაგვისა და კვების ნარჩენების დროულად გატანის ორგანიზაცია და კონტროლი;

— მუშაკთა შრომის მაღალი ეფექტიანობის უზრუნველყოფა სამუშაოთა ორგანიზაციის განუწყვეტელი სრულყოფის, დაგვის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, ახალი ტექნიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დაწერგვის საფუძველზე;

— ახალაშენებული, კაპიტალურად შეკეთებული სახლების საექსპლუატაციოდ მიმღები სახელმწიფო კომისიების მუშაობაში და გეგმიან-გამაფრთხილებელი მიმდინარე რემონტის შემდეგ სახლების მიღებაში მონაწილეობა;

— საბინაო-საექსპლუატაციო უბნის გამგებლობაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა და კონტროლი ბინის, იჯარის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელთა აკრეფისადმი;

— ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განხორციელება მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— კონტროლი საბინაო მეურნეობის ორგანოებისათვის დაკისრებული იმ ფუნქციების შესრულებისადმი. რომ დაიცვან მცხოვრები მოსახლეობის საპასპორტო რეჟიმი; მოქალაქეთა ჩაწერის გაფორმება;

— მოსახლეობის მიღება, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა საბინაო-საექსპლუატაციო უბნის საქმიანობის ყველა საკითხზე, შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღება და კონტროლი მათი შესრულებისადმი;

— საინჟინრო მოწყობილობის უწყისეობის ლიკვიდაციის თაობაზე მოსახლეობის განაცხადების დროულად შესრულების უზრუნველყოფა;

— საბინაო-საექსპლუატაციო უბნისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის უზრუნველყოფა და მათი მოვლა-პატრონობა;

— კონტროლი საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი;

— უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება და კონტროლი ამ საქმეში.

— კონტროლის ორგანიზაცია იმისადმი, რომ ბინის დამქირებლებმა და მოიჯარებებმა შეასრულონ დაქირავებისა და იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოვალეობანი;

— სახლების, სადარბაზოების, ბინების სანიმუშოდ მოვლისა და მაღალი საყოფაცხოვრებო კულტურისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია მუშებსა და მოსახლეობაში;

— კონტროლი საბინაო ფონდის სწორად შესახლებისადმი, ბინებისა და იჯარით გასაცემი სადგომების უორდეროდ შესახლების თავიდან აცილებისადმი;

— საბინაო ფონდის დათვალიერებათა სისტემატური ჩატარება მიკრორაიონებში დანაშაულთა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით, შენობათა სადარბაზოებში და მთლიანად სახლებში მობინადრეთა მორიგეობის ორგანიზაცია;

— საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში სალაპარაკო მოწყობილობათა დადგმის ორგანიზაცია სადისპეტჩერთ პუნქტის მორიგესთან მოქალაქეთა პირდაპირი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით;

— ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაგზავნა, მათ შორის სადისპეტჩერთ სამსახურის მეშვეობით, მილიციის ორგანოთა ნაწილებისათვის საცხოვრებელ სახლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა ყველა ფაქტის შესახებ.

III. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის მართვა

1. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ საბინაო-საექსპლუატაციო უბანსათავეში უდგას უფროსი, რომელიც ერთმმართველობის საფუძველზე ახორციელებს ხელმძღვანელობას უბნის საქმიანობისადმი და პასუხისმგებელია ყველა იმ ამოცანის შესრულებისათვის, რომლებიც საბინაო-საექსპლუატაციო უბანს ეკისრება.

2. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი და მისი მთავარი ინჟინერა თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ზემდგომი ორგანიზაციის ბრძანებით.

3. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს ემორჩილება უბნის მთელი აღმინისტრაციული და საწარმოო პერსონალი, მათ შორის ოსტატები, რომლებ-

ბიც ხელმძღვანელობენ მიმდინარე რემონტის მუშებს, მეეზოვეებსა და სხვა მუშებს.

4. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებულ საბინაო-საექსპლუატაციო უბანს აქვს სახლების, საინჟინრო სისტემებისა და ნაგებობების ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებითა და ნორმებით.

5. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი მოვალეა:

— განახორციელოს მუშაობა უბნის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ყველა დარგის მიხედვით დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების შედგენისათვის;

— უზრუნველყოს სამეურნეო-საფინანსო გეგმის, აგრეთვე კვების ნარჩენების, ლითონის ჯართისა და მეორეული ნედლეულის შეგროვების გეგმის შესრულება;

— უზრუნველყოს უბნის მეურნეობის ეკონომიური, რენტაბელური გაძღოლა, განახორციელოს მუშაობა საექსპლუატაციო ხარჯების სისტემატური შემცირებისათვის, ბინისა და იჯარის ქირის დროულად შემოსვლისათვის;

— მოაწყოს საცხოვრებელი სახლების რეგულარული დათვალიერება, სახლის მოწყობილობის უწყისიერობისა და ავარიების ლიკვიდაცია;

— უხელმძღვანელოს გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტის გეგმის შედგენას და უზრუნველყოს მისი შესრულება;

— განახორციელოს მუშაობა კადრების აღზრდისათვის, უზრუნველყოს შრომის დისციპლინის დაცვა უბნის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერთექნიკური მუშაკების მიერ, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია კოლექტივში;

— უზრუნველყოს საბინაო ფონდის პასპორტიზაცია, საცხოვრებელი სადგომების დაქირავების ხელშეკრულებათა და არასაცხოვრებელი სადგომების იჯარის ხელშეკრულებათა დროულად დადება და ხელახლა დადება, აგრეთვე ამ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება;

— აწარმოოს მოსახლეობის მიღება კანონით დადგენილი წესით, მისცეს ცნობები მომსახურებულ სახლთმფლობელობებში მცხოვრებ მოქალაქეებს;

— უპასუხოს დაწესებულ ვადებში ბინის დამქირავებელთა საჩივრებსა და განცხადებებს და უზრუნველყოს მომსახურებულ სახლთმფლობელობებში მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნების შესრულება;

— სახლის კომიტეტებთან ერთად უზრუნველყოს მოზინადრეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია ბინების მოვლისა და სანიმუშო მდგომარეობისათვის, ბინის დამქირავებელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის, საბინაო ფონდის სარემონტო რაზმეულების ორგანიზაცია საზოგადოებრივ საწყისებზე;

— უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობის სწორად გამოყენების აღრიცხვა, აგრეთვე საპასპორტო რეჟიმის დაცვა.

6. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს უფლება აქვს:

— მოითხოვოს დადგენილ ვადებში ბინის დამჭირავებელთა სახსრების ხარჯზე საცხოვრებელი სადგომებისა და საერთო სარგებლობის ადგილების მიმდინარე რემონტის შესრულება საბინაო ფონდის სარგებლობისა და მოვლის წესებით გათვალისწინებული ნუსხის და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის, სათანადო გადაწყვეტილებების შესაბამისად;

— გადასახლოს მოქალაქენი ავარიული საბინაო ფონდიდან.

7. საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის.

IV. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატი

1. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატი არის ხელმძღვანელი და უშუალო ორგანიზატორი მისთვის მიჩენილა 25-40 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შენობათა ჯგუფის სწორი ტექნიკური ექსპლუატაციისა საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებისა და ნორმების შესაბამისად.

2. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის ძირითადი ამოცანაა მისთვის მიჩენილი საბინაო ფონდის მოვლისა და სახლთმფლობელობათა ტერიტორიის ჯეროვანი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა.

3. ოსტატი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ბრძანებით.

4. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატს ემორჩილებიან მიმდინარე რემონტის მუშები, მეეზოვეები, დამლაგებლები, ნაგავსატარების მუშები და სხვა მომსახურე პერსონალი.

5. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ოსტატის ძირითადი მოვალეობანი და უფლებანი განისაზღვრება ოსტატის შესახებ ტიპობრივი დებულების შესაბამისად და მტკიცდება ზემდგომი საბინაო ორგანიზაციის მიერ.

V. დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის საქმიანობის შეწყვეტა

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბანი თავის საქმიანობას შეწყვეტს იმ ორგანოს დადგენილებით (გადაწყვეტილებით), რომელმაც მიიღო დადგენილება (გადაწყვეტილება) მისი შექმნის შესახებ.



ტიკოზბრივი უბათბები

საბინაო მეურნეობის ტრესტების ხელმძღვანელი, ინჟინერი-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურებისა

სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საცხოვრებელი ფართობი (ათასი. კვ. მ.)			
	600-ზე მეტი 1200-მდე	450-ზე მეტი 600-მდე	300-ზე მეტი 450-მდე	150-ზე მეტი 300-მდე
	კატეგორია			
	I	II	III	IV
	შრომის ანაზღაურების ჯგუფი			
	II	III	III	IV
ტრესტის მმართველი	1	1	1	1
მთავარი ინჟინერი	1	1	1	1
ტრესტის მმართველის მოადგილე	1	1	1	1
უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი	1	1	1	0-1
იურიკონსულტი	1	1	1	0-1
ინსპექტორი	1	1	1	0-1
მდივანი-მემაწაწე	1-2	1	1	1
შიკრიკ-დამლაგებელი	1	1	1	1
საწარმოო-ტექნიკური განყოფილება				
განყოფილების უფროსი	1	1	1	0-1
უფროსი ინჟინერი	2	2	2	0-1
ინჟინერი	3-4	3-4	2-3	0-3
საგეგმო-ეკონომიკური განყოფილება				
განყოფილების უფროსი — ტრესტის მმართველის მოადგილე	1	1	1	1
უფროსი ინჟინერი	1	1	—	—
უფროსი ინჟინერი შრომისა და ხელფასის დარგში	1	1	1	1
ინჟინერი	2	2-1	1-2	2
ეკონომისტი	1	1	1-2	1
მატერიალური-ტექნიკური მომარაგების განყოფილება				
განყოფილების უფროსი	1	1	1	1
უფროსი ინჟინერი	0-1	—	—	—
უფროსი საქონელმცოდნე	1	0-1	0-1	—
ინჟინერი	1	—	—	—
საქონელმცოდნე	1	1	1	1
ცენტრალური საწყობის გამგე	1	1	1	1
აგენტ-ექსპედიტორი	1	1	1	1

სტრუქტურულ ქვედანაყოფთა და თანამდებობათა დასახელება	საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვ. მ.)			
	600-ზე მეტი 1200-მდე	450-ზე მეტი 600-მდე	300-ზე მეტი 450-მდე	150-ზე მეტი 300-მდე
	კატეგორია			
	I	II	III	IV
	შრომის ანაზღაურების ჯგუფი			
	II	III	III	IV
საწარმოო სამსახურები				
საერთო-სამშენებლო სამუშაოთა სამსახური				
სამსახურის უფროსი	1	1	1	1
უფროსი ოსტატი	1-2	1	1	0-1
ოსტატი	2	2	1-2	1
მექანიზებული დაგვისა და კეთილმოწყობის სამსახური				
სამსახურის უფროსი	1	1	1	1
უფროსი ოსტატი	1	1	1	0-1
ოსტატი	3	2	1-2	1
სანტექნიკურ სამუშაოთა სამსახური				
სამსახურის უფროსი	1	1	1	1
უფროსი ოსტატი	1	1	1	0-1
ოსტატი	2-8	2-3	1-2	1
გაერთიანებული სადისპეტჩერო სამსახური				
სამსახურის უფროსი	1	1	—	—
უფროსი დისპეტჩერი	1	1	—	—
დისპეტჩერი	2	2	—	—
ს უ ლ	13-48	40-43	30 37	20-31

შენიშვნები: 1. გაერთიანების III და IV კატეგორიის საბინაო მეურნეობის ტრესტებში სადისპეტჩერო სამსახური შეიძლება შეიქმნას ტრესტის სამსახურებისა და საბინაო-საექსპლუატაციო უბნების შტატების ხარჯზე.

2. უფროსი ოსტატები და ოსტატები ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვენობაში არ შედიან.



დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 2 მარტის № 150 დადგე-
ნილებით

ტიპობრივი შტაბები

საბინაო მეურნეობის ტრესტის ბუღალტერიისა

თანამდებობათა დასახელება	საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვ. მ.)			
	600-ზე მეტი 1200-მდე	450-ზე მეტი 600-მდე	300-ზე მეტი 450-მდე	150-ზე მეტი 300-მდე
მთავარი ბუღალტერი	1	1	1	1
მთავარი ბუღალტრის მოადგილე	1	1	1	1
საანგარიშსწორებო ჯგუფის უფროსი ბუღალტერი	1	1	1	1
ბინის ქირის უფროსი ბუღალტერი	1	—	—	—
იჯარის უფროსი ბუღალტერი	1	—	—	—
მატერიალური აღრიცხვის უფროსი ბუღალტერი	1	1	0-1	—
საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ხაზით მომუშავე უფროსი ბუღალტერი	5-6	4-5	0-4	2
ბინისა და იჯარის ქირის უფროსი ბუღალტერი	—	1	1	1
საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ხაზით მომუშავე ბუღალტერი	4-6	4-5	4	2
მოანგარიშე	6-8	4-5	4	4
მოლარე	1	1	1	2
ს უ ლ	22-27	18-21	13-18	13

- შენიშვნები:**
1. საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ხაზით მომუშავე ბუღალტერთა და უფროს ბუღალტერთა რიცხოვნობა საორიენტაციოა და განისაზღვრება საბინაო-საექსპლუატაციო უბნების რაოდენობის შესაბამისად.
 2. მოანგარიშეთა და მოლარეთა რიცხოვნობა საორიენტაციოა და განისაზღვრება ბინის დამქირავებელთა პირადი ანგარიშების რაოდენობის შესაბამისად.
 3. ბინის დამქირავებელთა ყოველი 1000 პირადი ანგარიშისათვის ბუღალტერიის შტატში დამატებით შემოღებულ იქნება მოანგარიშის თანამდებობა. მექანიზებული აღრიცხვისას მოანგარიშის თანამდებობა შემოღებულ იქნება ბინის დამქირავებელთა ყოველი 300 პირადი ანგარიშისათვის. თუ შტატში 3 და მეტი მოანგარიშეა, ერთი მათგანი დაინიშნება უფროსად. მოლარისათვის პირადი ანგარიშების ნორმაა 500, მექანიზებული აღრიცხვისას—1500.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 2 მარტის № 150 დადგე-
ნილებით

ტიკოზბრივი უბანები

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნის
ბუღალტერიისა

თანამდებობათა დასახელება	საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვ. მ.)		
	70-ზე მეტი 150-მდე	50-ზე მეტი 70-მდე	35-დან 50-მდე
	კატეგორია		
	I	II	III
უფროსი ბუღალტერი (მთავარი ბუღალტრის უფლებებით)	1	1	1
ბინისა და იჭარის ქირის ბუღალტერი	0-1	—	—
ბუღალტერი	2	2	1
მონაგარიშე	2	2	2
მოლარე	1	1	1
სულ	6-7	6	

- შენიშვნები:**
1. ბინის დამქირავებელთა ყოველი 1000 პირადი ანგარიშისათვის დამატებით შემოღებულ იქნება მონაგარიშის თანამდებობა. მექანიზებული აღრიცხვისას მონაგარიშის თანამდებობა შემოღებულ იქნება ბინის დამქირავებელთა ყოველი 3000 პირადი ანგარიშისათვის. თუ შტატში 3 და მეტი მონაგარიშეა, ერთი მათგანი დაინიშნება უფროსად.
 2. მოლარისათვის პირადი ანგარიშების ნორმაა 500, მექანიზებული აღრიცხვისას — 1500.



დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 2 მარტის № 150 დადგენილებით

ტიპობრივი უბათები

ზაბინაო მეურნეობის ტრესტების საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისა

თანამდებობათა დასახელება	საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვ. მ.)					
	70-ზე მეტი 150-მდე	50-ზე მეტი 70-მდე	35-ზე მეტი 50-მდე	20-ზე მეტი 35-მდე	10-ზე მეტი 20-მდე	5-ზე მეტი 10-მდე
	კატეგორია					
	I	II	III	IV	V	VI
შრომის ანაზღაურების ჯგუფი						
	I	II	III	IV	V	VI
უბნის უფროსი	1	1	1	1	1	1
უფროსი ინჟინერი	1	0-1	—	—	—	—
ინჟინერი	2	1-2	1	1	1	1
ოსტატები ((იმ ვარაუდით, რომ ერთი ოსტატი შოდილობს 25-40 ათას კვადრატულ მეტრზე)	2-4	2	1-2	0-1	—	—
პედაგოგ-ორგანიზატორი	1	1	1	1	0-1	—
პასპორტისტი	2	2	2	1-2	1	1
სულ	9-11	7-9	6-7	4-6	3-4	3

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1981 წლის 2 მარტის № 150 დადგე-
 ნილებით

ტიკობრივი უბნები

დამოუკიდებელ ბალანსზე არსებული საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ხელ-
 მძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისა

თანამდებობათა დასახელება	საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვ. მ.)		
	70-ზე მეტი 150-მდე	50-ზე მეტი 70-მდე	35-დან 50-მდე
	კატეგორია		
	I	II	III
	შრომის ანაზღაურების ჯგუფი		
	V	VI	VII
უბნის უფროსი	1	1	1
მთავარი ინჟინერი	1	1	—
უფროსი ინჟინერი	0-1	—	—
ინჟინერი	1-2	1	1-2
ოსტატი	2-5	2	1-2
პასპორტისტი	2	1-2	1
ეკონომისტი	1-2	1	1
პედაგოგ-ორგანიზატორი	1	1	1
აგენტ-ექსპედიტორი	1	1	1
მექუპნავე	1	0-1	—
მდივან-მემანქანე	1	1	0-1
შეკრიკ-დამლაგებელი	0-1	—	—
ს უ ლ	12-19	10 12	7-10

21

მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვასა და მშენებლობათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე დროულად გადასვლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 4 იანვრის № 5 თანდართული დადგენილება „მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა სახალხო მეურნეობის დარგების, მრეწველობის დარგების და დარგთა შემადგენლობაში მიმართულებების მიხედვით მშენებლობის ერთნაირი სახეობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების შემუშავების დავალებათა მიღებისას უზრუნველყონ, რომ შეიმუშაონ და წარუდგინონ 1982 წლის 1 ივლისამდე საქართველოს სსრ სახმშენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების შესაბამისი ინდექსების პროექტები.

საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად განიხილოს აღნიშნული ინდექსების პროექტები და 1982 წლის 15 აგვისტომდე წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მას შემდეგ, რაც მიიღებენ სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის დამტკიცებულ მითითებებს ახალი ფასების მიხედვით მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშების და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების განსაზღვრის წესის შესახებ, 1982 წლის ბოლომდე უზრუნველყონ 1984 წელს გარდამავალი მშენებლობების მანქანებისა და მოწყობილობის და 1984 წელს ახლად დასაწყები მშენებლობების მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშება და 1983 წლის 1 თებერვლამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმშენს მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების პროექტები სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების შედეგების ამსახველ მონაცემებთან ერთად.

საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებთან ერთად განიხილოს აღნიშნული ინდექსების პროექტები და 1983 წლის 20 თებერვლამდე წარმოუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მითითებებისა და დამტკიცებული ინდექსების საფუძველზე 1983 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ 1984 წელს გარდამავალი მშენებლობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და 1984 წელს ახლად დასაწყები მშენებლობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშება.

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა 1982 წლის 1 დეკემბრისათვის შეატყობინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინასწარი მონაცემები ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების შემოღებასთან დაკავშირებით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დონის ცვლილების შესახებ კაპიტალურ დაბანდებათა იმ ლიმიტების სტრუქტურის მიხედვით, რომლებიც დაწესდება 1984 და 1985 წლებისათვის საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით განიხილონ და განაზოგადონ აღნიშნული მონაცემები და წარმოუდგინონ ისინი 1982 წლის 20 დეკემბრისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა სამშენებლო სამინისტროების და არასპეციალიზებული მშენებლობებისათვის შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით უზრუნველყონ 1981 წლის 1 ოქტომბრამდე მონაცემების მომზადება ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ფრანკო-სამშენებლო მოედნის ობიექტისპირა საწყობი სახარჯთაღრიცხვო ფასებში აღსარიცხი ამ მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვის პირობებისა და მანძილის შესახებ.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა და ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ ინსტიტუტ „გიპროლესტრანსის“ საქართველოს ფილიალთან ერთად საპროექტო-საძიებო სამუშაოთა საერთო ლიმიტების ხარჯზე უზრუნველყონ, რომ: — შეემუშაონ და წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი მასალების, ნაკეთობებისა



და კონსტრუქციების სახარჯთაღრიცხვო ფასების კრებულები სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების, აგრეთვე ტვირთზიდვის ტარიფების გათვალისწინებით;

— შეუსაბამონ მშენებლობის ადგილობრივ პირობებს ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გამოყენებით შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა ერთიანი რაიონული ერთეული ფასდებანი და წარმოუდგინონ ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 ნოემბრამდე;

— შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციების მონაწილეობით 1983 წლის 1 აპრილამდე ხელახლა დამტკიცონ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის პრეისკურანტები.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

— გადაიანგარიშონ და დამტკიცონ:

არასაერთო დანიშნულების რეინიგვის შტოების მოვლის სახარჯთაღრიცხვო ფასების კალკულაციები — 1982 წლის 1 აპრილამდე;

ელექტროენერჯის, ორთქლის, წყლისა და შეკუმშული ჰაერის დამატებითი ერთეული ფასდებანი, სახარჯთაღრიცხვო ფასების კალკულაციები — 1982 წლის 1 ნოემბრამდე;

— 1983 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ 1984 წელს გარდამავალი და 1984 წელს ახლად დასაწყები ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება სამშენებლო სამუშაოთა ახალი ერთეული ფასდებების, მოწყობილობის მონტაჟის სახარჯთაღრიცხვო ნორმების (ფასდებების), გამსვლილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმების, პრეისკურანტების, ზედნაღები ხარჯებისა და საგეგმო დაგროვებათა ნორმების მიხედვით, აგრეთვე ამ ხარჯთაღრიცხვების ხელახლა დამტკიცება საიჯარო ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

— განაზოგადონ ობიექტების ხარჯთაღრიცხვების მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების მონაცემები და 1983 წლის 10 აგვისტომდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს კრებსითი/მონაცემები მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ღონისა და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორებმა განიხილონ აღნიშნული კრებსითი მონაცემები, შეუდარონ ისინი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების დამტკიცებულ ინდექსებს და შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 20 აგვისტომდე.

9. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ განიხილონ საკითხი ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების მიწოდებისათვის ანგარიშსწორებისას ფრანკო-სამშენებლო მოედანი ერთიანი ფასების გამოყენების შესახებ და 1981 წლის 1 ივლისამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმშენს წინადადებანი რესპუბლიკაში ამ ფასების შემოღების თაობაზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის დაწესდეს მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლისას ერთიანი დონის სახარჯთაღრიცხვო ფასები.

საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორების მონაწილეობით განიხილოს ფრანკო-სამშენებლო მოედანი ერთიანი ფასების გამოყენების შესახებ წარდგენილი წინადადებანი და 1981 წლის 20 ივლისამდე აცნობოს შედეგები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ახალი სახარჯთაღრიცხვო ფასების შემუშავების უკეთ ორგანიზაციის მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ სახმშენთან მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის საუწყებათაშორისო კომისია, დანართის თანახმად გათვალისწინებული შემადგენლობით.

დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულ მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის საუწყებათაშორისო კომისიას საწყისი მონაცემების შეგროვებასთან, გაანალიზებასთან და დამუშავებასთან, სატრანსპორტო ხარჯების კალკულირებასთან, ადგილობრივი საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ფასების შემუშავებასთან და სამშენებლო სამუშაოთა ერთიანი რაიონული ერთეული ფასდებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა.

11. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და რესპუბლიკის სხვა სამშენებლო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ, რომ წარუდგინონ ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტს“:

— წინადადებანი სამშენებლო ჩვუფების დაწესების შესახებ—ორი კვირის ვადაში;

— 1979 და 1980 წლების (ცალ-ცალკე) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საგეგმო მოცულობანი სამშენებლო ჩვუფების მიხედვით — ერთი თვის ვადაში;

— ადგილობრივ საშენ მასალებზე მოთხოვნილების განგარიშება სამშენებლო ჩვუფების მიხედვით — 1981 წლის 30 მარტამდე;

— მონაცემები ადგილობრივ მასალებზე მოთხოვნილების დაფარვის წყაროების შესახებ შესაბამისი ჩვუფების მიხედვით, რესპუბლიკაში მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების გათვალისწინებით — 1981 წლის 1 ივლისამდე;

— უწყისები ადგილობრივი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების მიღების წყაროების, მათი მიტანის მანძილისა და ხერხების შესახებ (სატრანსპორტო სქემა) ჯგუფების მიხედვით — 1981 წლის 1 აგვისტომდე.

12. ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ წარუდგინოს საქართველოს სსრ სახმშენთან არსებულ მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის საუწყებთაშორისო კომისიას:

— რესპუბლიკის რუკა-სქემა მასზე სამშენებლო ჯგუფების აღნიშვნით — 1981 წლის 15 მარტამდე;

— 1 მილიონი მანეთი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ადგილობრივი მასალების ხარჯვის მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრულია ცალ-ცალკე ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, მუშათა დაბებსა და სოფლად მშენებლობისათვის, — 1981 წლის 30 მარტამდე;

— თითოეული სახეობის ადგილობრივი მასალების წარმოებისა და მოხმარების საბალანსო გაანგარიშებანი, შეთანხმებული საგეგმო ორგანოებთან და წამყვან სამშენებლო ორგანიზაციებთან, — 1981 წლის 15 აპრილამდე;

— კრებსითი უწყისი ადგილობრივი მასალების მიღების წყაროების, მათი მიტანის მანძილისა და ხერხების შესახებ (სატრანსპორტო სქემა) ჯგუფების მიხედვით, შეთანხმებული საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან, — 1981 წლის 1 სექტემბრამდე.

13. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სახმშენს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს 1981-1984 წლებში:

— შეასრულონ საერთო-საკავშირო სახარჯთაღრიცხვო ნორმათა და ფასდებათა გადასინჯვისა და შემუშავების სამუშაოები საპროექტო სამუშაოთა დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე;

— შეასრულონ შემოტანილი და ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვის პირობებისა და მანძილის შესახებ მონაცემების დადგენასთან, ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების სახარჯთაღრიცხვო ფასების კრებულების შემუშავებასთან, ერთიანი რაიონული ერთეული ფასდებების გამოყენებასთან, მშენებლობის ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლების, პრეისკურანტებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაანგარიშებასთან, აგრეთვე საერთო-საკავშირო ნორმათა და ფასდებათა კრებულებში გაუთვალისწინებელი ცალკეული ნორმებისა და ერთეული ფასდებების შემუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები კაპიტალური დაბანდებებისათვის განკუთვნილ საერთო ასიგნებათა ხარჯზე;

— მიიწვიონ შეთავსების წესით ცალკეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე პენსიონერები (მათთვის პენსიის შენარჩუნებით) ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად, საკონსულტაციოდ და ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით დასამუშავებელი მასალების ექსპერტიზისათვის;

— გამოიყენონ საჭიროების კვალობაზე მიწვეულ სპეციალისტთა და შტატის მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად შრომის სანარდო, ცალკეულ შემთხვე-

ევბში კი — აკორდული ანაზღაურება მთლიანად სამინისტროს ან უწყებისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

14. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს 1982 წლის ბოლომდე ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავებული საფასურებისა და კრებულების შეკვეთის საწყისებზე გამოცემა 250 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1982 წელს სასტამბო ქაღალდის შესაბამისი ფონდის გამოყოფა საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ სახმშენის განაცხადების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ჩიჩქავია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარიძე.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 2 მარტი, № 152

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 5

1981 წლის 4 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

მუშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლის შესახებ

კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვასა და მშენებლობათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე დროულად გადასვლის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1984 წლის 1 იანვრიდან, კაპიტალური მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა განისაზღვროს:

1984 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმების საფუძველზე, რომლებიც ასახავენ ტექნიკის, ტექნოლოგიისა და სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს, უზრუნველყოფენ მშენებლობაში საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურებას და მიზნად ისახავენ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებას;

1982 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების და ელექტროენერჯისა და თბოენერჯის ტარი-

ფების, აგრეთვე 1982 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ტვირთზიდვის ტარიფების საფუძველზე;

1980 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მშენებლობაში მუშათა შრომის ანაზღაურების ნორმებისა და სატარიფო განაკვეთების საფუძველზე;

1982 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებული მომარაგება-ვასალების ორგანიზაციათა ფასნამატების ახალი ოდენობის საფუძველზე;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 მარტის № 183 დადგენილებით დამტკიცებული სამორტიზაციო ანარიცხების ნორმების საფუძველზე;

მშენებლობაში ზედნადები ხარჯებისა და საგეგმო დაგროვებათა ახალი ნორმების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ მშენებლობის მართვის სრულყოფას, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 23 იანვრის № 54 დადგენილებით განსაზღვრულ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანების ტარიფებს.

მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებზე, ფასებსა და ტარიფებზე გადასვლა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზარალის მიუყენებლად.

2. სსრ კავშირის სახმშენმა:

ა) შემუშაოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით და დაამტკიცოს 1981 წლის 1 მარტამდე მითითებანი 1984 წელს გარდამავალი მშენებლობებისათვის სახალხო მეურნეობის დარგების, მრეწველობის დარგების და დარგთა შემადგენლობაში მიმართულებების მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების (მათ შორის ნავთობის, გაზისა და თერმული წყლების ღრმა სადაზვერვო და საექსპლუატაციო ბურღვის დანახარჯების) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და 1984 წელს ახლად დასაწყები მშენებლობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშების გამარტივებული წესის შესახებ;

ბ) დაუწესოს 1981 წლის 1 აგვისტომდე სამინისტროებსა და უწყებებს დავალებანი სახალხო მეურნეობის დარგების, მრეწველობის დარგების და დარგთა შემადგენლობაში მიმართულებების მიხედვით მშენებლობის ერთნაირი სახეობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების შესამუშავებლად, აგრეთვე უზრუნველყოს კონტროლი ამ ინდექსების დროულად შემუშავებისადმი.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ, რომ შემუშაონ და წარუდგინონ 1982 წლის 1 სექტემბრამდე სსრ კავშირის სახმშენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების შესაბამისი ინდექსების პროექტები.

სსრ კავშირის სახმშენმა განიხილოს აღნიშნული ინდექსების პროექტები და დაამტკიცოს ისინი 1983 წლის 1 მარტამდე.

3. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, სსრ კავშირის მშენბანკმა და სსრ კავშირის სახბანკმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1981 წლის 1 მარტამდე მითითებანი:

1984 წელს გარდამავალი მშენებლობებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და 1984 წელს ახლად დასაწყები მშენებლობებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების ახალი ფასების მიხედვით გადაანგარიშების წესის შესახებ, რომლებსაც აღნიშნული ღირებულება დამტკიცებული აქვთ 1976 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებში, გაითვალისწინონ ამ მითითებებში, რომ გადაანგარიშება უნდა მოხდეს, როგორც წესი, 1982 წლის 1 იანვრიდან სამოქმედო შემოღებულ საბითუმო ფასებში პირდაპირი გადაანგარიშების გზით;

მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების განსაზღვრის წესის შესახებ, რაც საჭიროა მანქანებისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადაანგარიშებისათვის.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1983 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყონ 1984 წელს გარდამავალი მშენებლობებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და 1984 წელს ახლად დასაწყები მშენებლობებისათვის მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშება და წარუდგინონ 1983 წლის 1 მარტამდე სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სსრ კავშირის მშენბანკს მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეტანილი მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების და მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებში შეუტანელი მანქანებისა და მოწყობილობის ღირებულების ცვლილების ინდექსების პროექტები სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების შედეგების ამსახველ მონაცემებთან ერთად.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის მშენბანკმა განიხილონ აღნიშნული ინდექსების პროექტები და დაამტკიცონ ისინი 1983 წლის 1 აპრილამდე.

4. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული მითითებებისა და ინდექსების საფუძველზე 1983 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ 1984 წელს გარდამავალი მშენებლობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და 1984 წელს ახლად დასაწყები მშენებლობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთების გადაანგარიშება.

5. დაწესდეს, რომ 1984 წელს გარდამავალი მშენებლობებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ნაშთები, მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო მოწყობილობის ნაშთები განისაზღვრება 1983 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამუშაოთა ფაქტიური შესრულების და 1983 წლის სამუშაოთა გეგმის შესრულების საფუძველზე.

აიკრძალოს მშენებლობათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშებისას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში რაიმე ისეთ ცვლილებათა შეტანა, რომლებიც დაკავშირებული არაა მშენებლობაში ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების გამოყენებასთან.

დაევალოს შემკვეთ გეგმითიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ხელახლა დამტკიცონ შესაბამისი მითითებებისა და ინდექსების საფუძველზე გადაანგარიშებული საწარმოთა და შენობა-ნაგებობათა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და დაეკისროთ მათ პასუხისმგებლობა გადაანგარიშების სისწორისათვის.

დაეკისროთ სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის მშენბანკსა და სსრ კავშირის სახბანკს კონტროლი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების სისწორისადმი.

6. სსრ კავშირის სახმშენმა 1982 წლის პირველ კვარტალში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინასწარი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ოდენობით შეიცვლება ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმების შემოღებასთან დაკავშირებით სამშენებლო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შესაძარ სამუშაოთა შეპირისპირებად ფასებში მოქმედ სახარჯთაღრიცხვო ნორმებთან შედარებით.

7. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1983 წლის 1 იანვრისათვის შეატყობინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წინასწარი მონაცემები ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების შემოღებასთან დაკავშირებით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დონის ცვლილების შესახებ კაპიტალურ დაბანდებათა იმ ლიმიტების სტრუქტურის მიხედვით, რომლებიც დაწესდება 1984 და 1985 წლებისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმით.

სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით განიხილონ და განაზოგადონ აღნიშნული მონაცემები და წარმოუდგინონ 1983 წლის 1 თებერვლისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინასწარი მონაცემები მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დონის ცვლილების და ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების გამოყენებისას სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა რენტაბელობის საგეგმო დონის შესახებ.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1983 წლის 1 მარტამდე მითითებანი კაპიტალური მშენებლობის 1982-1985 წლების გეგმების მაჩვენებელთა გადაანგარიშების წესის შესახებ, ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სხვა სამუშაოთა და დანახარჯების, აგრეთვე მანქანებისა და მოწყობილობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების ინდექსების მიხედვით.

9. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით დაამთავროს 1982 წლის პირველ კვარტალში სამშენებლო სამუშაოთა ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმების შემუშავება და დამტკიცება.

10. 1982 წლის 1 იანვრიდან მრეწველობაში ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების გამოქვედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მშენებანკმა და სსრ კავშირის სახბანკმა სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით:

ა) განსაზღვრონ მშენებლობაში დამატებითი ხარჯების დაფინანსების წესი და წყაროები 1982-1983 წლებისათვის;

ბ) შეიმუშაონ და წარმოუდგინონ 1981 წლის 1 ოქტომბრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ სახლების მშენებლობის დამატებითი დანახარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.

11. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროების, სსრ კავშირის მშენებანკის, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

მითითებანი ადგილობრივი და შემოტანილი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვის პირობებისა და მანძილის ამსახველი საწყისი მონაცემების განსაზღვრის წესის შესახებ;

მითითებანი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ახალი სახარჯთაღრიცხვო ფასების შემუშავების წესის შესახებ.

12. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა განსაზღვრონ სსრ კავშირის მშენებანკის, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით და წარუდგინონ 1981 წლის 1 ივნისისათვის სსრ კავშირის სახმშენს საშუალო რაიონული სახარჯთაღრიცხვო ფასების კრე-

ბულის შემუშავებისათვის საჭირო მონაცემები ძირითადი შემოტანილი საშენობის მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვის პირობებისა და მანძილის შესახებ ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მოკავშირე რესპუბლიკების (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) და სპეციალიზებული (მათ შორის სახაზო) მშენებლობების მიხედვით. ძირითადი შემოტანილი საშენობის მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ნომენკლატურას სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების აღნიშვნით, რომლებსაც ეკისრებათ ხსენებული მონაცემების წარდგენა, განსაზღვრავს სსრ კავშირის სახმშენი, ხოლო სპეციალიზებულ (მათ შორის სახაზო) მშენებლობათა ნუსხებს — სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

13. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სამშენებლო სამინისტროების და არასპეციალიზებული მშენებლობებისათვის შემკვეთი სამინისტროების მონაწილეობით, ხოლო სსრ კავშირის შემკვეთმა სამინისტროებმა და უწყებებმა საჭირო შემთხვევებში სპეციალიზებული (მათ შორის სახაზო) მშენებლობებისათვის სამშენებლო სამინისტროების მონაწილეობით უზრუნველყონ, რომ:

ა) მოამზადონ 1981 წლის 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირის მშენბანკის ან სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა მონაწილეობით ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ფრანკო-სამშენებლო მოედნის ობიექტისპირა საწყობი სახარჯთაღრიცხვო ფასებში აღსარიცხი ამ მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვის პირობებისა და მანძილის შესახებ;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1982 წლის 1 ივლისამდე ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების სახარჯთაღრიცხვო ფასების კრებულები სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების, აგრეთვე ტვირთზიდვის ტარიფების გათვალისწინებით.

სახარჯთაღრიცხვო ფასების აღნიშნული კრებულები დამტკიცდება:

არასპეციალიზებული მშენებლობებისათვის — იმ წესით, რომელსაც განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები შესაბამის სამშენებლო სამინისტროებთან და ძირითად შემკვეთ სამინისტროებთან შეთანხმებით; სპეციალიზებული (მათ შორის სახაზო) მშენებლობებისათვის — სსრ კავშირის შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების მიერ, შესაბამის საიჯარო ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

გ) შეუსაბამონ მშენებლობის ადგილობრივი პირობებს ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გამოყენებით შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა ერთიანი რაიონული ერთეული ფასდებანი; დაამტკიცონ 1982 წლის 1 ნოემბრამდე ეს ფასდებანი შესაბამის სამშენებლო სამინისტროებთან შეთანხმებით;

დ) გადაიანგარიშონ და დაამტკიცონ:

არასაერთო დანიშნულების რკინიგზის შტოების მოვლის სახარჯთაღრიცხვო ფასების კალკულაციები — 1982 წლის 1 აპრილამდე;

ელექტროენერჯის, ორთქლის, წყლისა და შეკუმშული ჰაერის დამატებითი ერთეული ფასდებანი, სახარჯთაღრიცხვო ფასების კალკულაციები — 1982 წლის 1 ნოემბრამდე.

14. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაოს ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმების, საბითუმო ფასებისა და ტარიფების საფუძველზე და დაამტკიცოს:

შემოტანილი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების საშუალო რაიონული სახარჯთაღრიცხვო ფასების კრებული და სამშენებლო მანქანების მანქანა-საათის საფასარი — 1982 წლის 1 მარტამდე;

მშენებლობისათვის ტვირთების გადაზიდვის სახარჯთაღრიცხვო ფასების კრებული — 1981 წლის 1 ივლისამდე;

სამშენებლო სამუშაოთა ერთიანი რაიონული ერთეული ფასდებების კრებულები და მოწყობილობის მონტაჟის სახარჯთაღრიცხვო ნორმების (ფასდებების) კრებულები — 1982 წლის 1 ივლისამდე;

15. სსრ კავშირის სახმშენმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

მითითებანი ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების მიხედვით შენობა-ნაგებობათა მშენებლობის პრეისკურანტების, შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კონსტრუქციებისა და სამუშაოთა სახეობების გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმების კრებულების, მრეწველობის დარგების მიხედვით საწარმოო შენობათა ინვენტარისა და ინსტრუმენტის და საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობათა მოწყობილობისა და ინვენტარის დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ნორმების კრებულების, მშენებლობის ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლების კრებულების გადაანგარიშების წესის შესახებ — 1981 წლის 1 ოქტომბრამდე;

მითითებანი სამშენებლო სამუშაოთა ახალი ერთეული ფასდებების, მოწყობილობის მონტაჟის სახარჯთაღრიცხვო ნორმების (ფასდებების), პრეისკურანტებისა და გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმების მიხედვით იმ საბითუმო ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშების წესის შესახებ, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ანგარიშსწორება შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის, — 1982 წლის 1 ივლისამდე.

16. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების მიხედვით გადაანგარიშება და ხელახლა დაამტკიცონ:

შენობა-ნაგებობათა მშენებლობის პრეისკურანტები — 1983 წლის 1 აპრილამდე;

შენობა-ნაგებობების, აგრეთვე კონსტრუქციებისა და სამუშაოთა სახეობების გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმები, მრეწველობის დარგების მიხედვით საწარმოო შენობათა ინვენტარისა და ინსტრუმენტის და საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობათა მოწყობილობისა და ინვენტარის დანახარჯების სახარჯთაღრიცხვო ნორმების კრებულები — 1983 წლის 1 იანვრამდე.

17. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

1983 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ 1984 წელს გარდამავალი და 1984 წელს ახლად დასაწყები ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება სამშენებლო სამუშაოთა ახალი ერთეული ფასდებების, მოწყობილობის მონტაჟის სახარჯთაღრიცხვო ნორმების (ფასდებების), გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმების, პრეინკურანტების, ზედნადები ხარჯებისა და საგეგმო დაჯიშვებითა ნორმების მიხედვით, აგრეთვე ამ ხარჯთაღრიცხვების ხელახლა დამტკიცება საიჯარო ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

განაზოგადონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებული პროგრამის თანახმად საობიექტო ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების მონაცემები მენაშენეთა და საიჯარო ორგანიზაციათა მიხედვით და 1983 წლის 15 აგვისტომდე წარუდგინონ სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მშენბანკს კრებსითი მონაცემები მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დონისა და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის ცვლილების შესახებ.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის მშენბანკმა განიხილონ აღნიშნული კრებსითი მონაცემები, შეუდარონ ისინი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ცვლილების დამტკიცებულ ინდექსებს და შედეგების შესახებ მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის მეოთხე კვარტალში.

18. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა გადაიანგარიშონ ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების მიხედვით მშენებლობის ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლების კრებულები და ხელახლა დაამტკიცონ ისინი 1983 წლის 1 მარტამდე.

19. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ამ დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული ინდექსების დამტკიცების შემდეგ 6 თვის ვადაში გადაიანგარიშოს ამ ინდექსების საფუძველზე სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის დარგების, მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, საბურღ სამუშაოთა, მოწყობილობის დანახარჯებისა და სხვა დანახარჯების ფაქტიური მოცულობანი, აგრეთვე საიჯარო სამუშაოთა მოცულობანი და მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულებისა და მოგების სანგარიშგებო მონაცემები სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით 1976 — 1980 წლებისათვის (თვითღირე-

ბულებისა და ძოვების გარდა) და 1981-1982 წლებისათვის, და ამ გადაანგარიშების შედეგები აცნობოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

1983 წლისათვის აღნიშნული გადაანგარიშების მონაცემები აცნობოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1984 წლის 1 ივლისამდე.

20. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სსრ კავშირის მშენბანკის, სსრ კავშირის სახბანკის, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 1982 წლის 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ახალი ნორმებისა და საგეგმო დაგროვებათა ახალი ნორმების პროექტები.

21. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განიხილონ საკითხი ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების მიწოდებისათვის ანგარიშსწორებისას ფრანკო-სამშენებლო მოედანი ერთიანი ფასების გამოყენების შესახებ და 1981 წლის 1 აგვისტომდე წარუდგინონ სსრ კავშირის სახმშენს წინადადებანი იმ ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში აღნიშნული ფასების შემოღების თაობაზე, სადაც არის შესაბამისი საწარმო-ეკონომიკური პირობები, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ ამ რაიონებისათვის დაწესდეს მშენებლობაში ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლისას ერთიანი დონის სახარჯთაღრიცხვო ფასები.

სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროების, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის მონაწილეობით განიხილოს:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებანი და მათთან შეთანხმებით დაადგინოს 1981 წლის 1 ოქტომბრამდე იმ რაიონების ნუსხა, რომლებშიც შემოღებულ იქნება აღნიშნული ფასები;

იმ რაიონებში, სადაც არ არის ფრანკო-სამშენებლო მოედანი ერთიანი ფასების მიხედვით ანგარიშსწორებაზე გადასვლისათვის საჭირო საწარმო-ეკონომიკური პირობები, ზონალური სახარჯთაღრიცხვო ფასების ნაცვლად ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების საოლქო საბაზისო სახარჯთაღრიცხვო ფასების შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი.

22. ნება დაერთოთ სსრ კავშირის სახმშენს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეასრულონ 1981-1983 წლებში საერთო-საკავშირო სახარჯთაღრიცხვო ნორმათა და ფასდებათა გადასინჯვისა და შემუშავების სამუშაოები საპროექტო სამუშაოთა დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით, აგრეთვე შემოტანილი და ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების



გადაზიდვის პირობებისა და მანძილის შესახებ მონაცემების დადგენასთან, ადგილობრივი საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების სახარჯთაღრიცხვო ფასების კრებულების შემუშავებასთან, მშენებლობის ადგილობრივ პირობებთან ერთიანი რაიონული ერთეული ფასდებების მისადაგებასთან, მშენებლობის ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლების, პრესკურანტებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაანგარიშებასთან, აგრეთვე საერთო-საკავშირო ნორმათა და ფასდებათა კრებულებში გათვალისწინებული ცალკეული ნორმებისა და ერთეული ფასდებების შემუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოები — კაპიტალური დაბანდებებისათვის განკუთვნილ საერთო ასიგნებათა ხარჯზე და მათთვის დაწესებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა საერთო მოცულობის ფარგლებში. კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით დაფინანსებული ხარჯები აღნიშნული მიზნებისათვის (სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაანგარიშების სამუშაოთა გარდა) უნდა მიეკუთვნოს იმ დანახარჯებს, რომლებიც არ აღიდეგს ძირითადი ფონდების ღირებულებას.

23. გავრცელდეს საპროექტო ორგანიზაციათა მუშაკებზე, რომლებიც ასრულებენ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, ტიპობრივი პროექტების შემუშავებისათვის პრემირების წესი, რაც დადგენილია ამ ორგანიზაციების მუშაკთათვის.

24. ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებს, უწყებებსა და მათ საქვეუწყებო ორგანიზაციებს მიიწვიონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად და ახალ სახარჯთაღრიცხვო ნორმებსა და ფასებზე გადასვლასთან დაკავშირებით დასამუშავებელი მასალების ექსპერტიზისათვის პენსიონერები (მათთვის პენსიის შენარჩუნებით) იმ წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 სექტემბრის № 862 დადგენილება საწარმოთა და შენობანაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზით დასაქმებულ მუშაკთათვის.

25. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს 1982-1983 წლებში სსრ კავშირის სახმშენს ყოველწლიურად 60 ათასი მანეთი ამ დადგენილების შესაბამისად სამუშაოთა შესრულებისათვის მიწვეულ შტატგარეშე (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სახმშენს გასწიოს 1981 წელს აღნიშნული მიზნებისათვის დანახარჯები 60 ათას მანეთამდე ოდენობით საწარმო-ორგანიზაციათა იმ ზეგვეგითი მოგებიდან, რაც უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში.

26. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით გადიდდეს სსრ კავშირის სახმშენის ცენტრალური აპარატის მუშაკთა რაოდენობა 9 ერთეულით, მათ შორის 2 მთავარი სპეციალისტი, ვადით 1984 წლის 1 ივლისამდე.

27. სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს 1983 წლის 1 ივლისამდე ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავებული კრებულებისა და საფასურების კორექტურა, რედაქტირება და გამოცემა (1.350-მდე ნაბეჭდი თაბახის მოცულო-

ბით). ცალკეული კრებულებისა და საფასარების გამოცემის ვადებსა და ტირაჟს განსაზღვრავს სსრ კავშირის სახმწიფო სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა პროექტებში სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისათვის სასტამბო ქალაქის გამოყოფა ზემოაღნიშნული კრებულებისა და საფასარების გამოცემისათვის საჭირო ოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ნ. ბიზნოვი**.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. სმირტიშკოვი**.

22 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„119. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის“ თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა“.

დაწესდეს, რომ ეს პირობები ვრცელდება ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ სამუშაოდ მიღებულ პირებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ნ. პითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარი**.



23

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად მუშამოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„120. სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც განლაგებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარიძე**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 16 მარტი, № 162

24

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 23 სექტემბრის № 499 დადგენილება „საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარიძე**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 16 მარტი, № 162



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო სამეურნეობათაშორისო სარწყავი, საშრობი, გამაწყლოვანებელი ქსელებისა და სასოფლო-გლეხური წყალსადენების, სასოფლო-დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასაცავად მდინარეთა ნაპირებთან და ხეობებთან აშენებული ეროზიასაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების ექსპლუატაციას.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა მელიორირებული მიწების მდგომარეობისათვის, სამელიორაციო სისტემებისა და ნაგებობების ექსპლუატაციის ტექნიკური ღონისათვის, აგრეთვე რწყვის სეზონის დროს გეგმით გათვალისწინებული მოცულობით სარწყავი წყლის მიწოდებისათვის.

2. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— სრულყოფილ სამელიორაციო სისტემათა და ნაგებობათა ექსპლუატაციის სამსახური, აამაღლოს წარმოების ეფექტიანობა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი, შეამციროს მათი თვითღირებულება და უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ზრდა, დანერგოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები მელიორირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით;

— უზრუნველყოს სასოფლო-გლეხური წყალსადენებისა და საძოვრების გამაწყლოვანებელი სისტემების შეუფერხებელი მუშაობა მოსახლეობის, მეცხოველეობის ფერმებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი სამრეწველო ობიექტების წყალზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

— უზრუნველყოს მდინარეებზე და ხეობებში ეროზიასაწინააღმდეგო ნაგებობათა ექსპლუატაცია, აგრეთვე განასოციელოს ნაპირგამაგრების ღონისძიებანი;

— უზრუნველყოს შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელების მომსახურება მეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე და მათ ხარჯზე;

— დანერგოს სამინისტროს სისტემაში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მაღალკვალიფიციური კადრებით, შექმნას მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებისათვის ხელშემწყობი პირობები, დააწინაუროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი შრომაში;

— გააუმჯობესოს სამინისტროს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შექმნას შრომის უსაფრთხო პირობები.

3. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო საქვეუწყებო ორგანიზაციებს ხელმძღვანელობს სამინისტროს სტრუქტურულ სამმართველოთა და განყოფილებათა მეშვეობით.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მისი ტერიტორიული საექსპლუატაციო სამმართველოები, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, სასოფლო ჯგუფური წყალსადენების მთავარი სამმართველო („მთავარსოფლწყალმომარაგება“), სახელმწიფო სამელიორაციო ინსპექცია, ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიცია, თბილისის წყალსაცავების სამმართველო და სხვა საწარმოები შეადგენენ საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ერთიან სისტემას.

4. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო:

ა) ახორციელებს სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას სამელიორაციო და წყალსამეურნეო ღონისძიებათა ტექნიკური დონის სრულყოფის სადარგთაშორისო საკითხების შესამუშავებლად და გადასაწყვეტად, კერძოდ:

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქმთავარ-წყალმშენის მიერ რესპუბლიკაში მიწების მელიორაციის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისას, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიწების მელიორაციის წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების შემუშავებისას შეაქვს თავისი წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამელიორაციო სისტემათა ტექნიკური მდგომარეობისა და წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, რწყვის მოწინავე მეთოდების, სისტემათა ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის დანერგვას;

— საქმთავარწყალმშენის მიერ მიწების მორწყვისათან, დაშრობასთან და სასოფლო-სამეურნეო ათვისებასთან, საძოვრების გაწყლოვანებასთან, აგრეთვე მოქმედი სარწყავი, საშრობი და გამაწყლოვანებელი სისტემების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ სამშენებლო სამუშაოთა განხორციელებისას თვალყურს ადევნებს სამუშაოთა ხარისხს და სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადებს;

ბ) ახორციელებს სამელიორაციო და წყალსამეურნეო ობიექტების რემონტის ინდუსტრიალიზაციის, ამ ობიექტებზე სარემონტო-საექსპლუატაციო სამუშაოთა ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებებს, უზრუნ-

ველყოფის სამშენებლო ინდუსტრიის ბაზებისა და სამელიორაციო სისტემათა ექსპლუატაციის სამსახურის განვითარებას;

გ) აფინანსებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს, განიხილავს მათს ანგარიშებსა და ბალანსებს, ატარებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, ახორციელებს პირველადი აღრიცხვის შემდგომი სრულყოფისა და გამოთვლითი ტექნიკის უახლეს საშუალებათა ფართოდ დანერგვის ღონისძიებებს;

დ) ორგანიზაციას უწევს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ამასთან აღწევს ამ წერილებში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე იღებს ზომებს სამინისტროს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობაში არსებული იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია მშრომელთა წერილებში.

5. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით და სსრ კავშირის უმადლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებით და საქართველოს სსრ უმადლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს მისი სრულყოფის წინადადებებს და წარუდგენს მათ დადგენილი წესით განსახილველად სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკონტროლო ციფრების საფუძველზე საქვეუწყებო მეურნეობის მიხედვით პროექტებს, პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს;

ბ) ახორციელებს სახელმწიფო სამეურნეობათაშორისო სარწყავი, საშრობი და გამაწყლოვანებელი ქსელების, სახელმწიფო სამელიორაციო ნაგებობებისა და ჭვავუფორი სასოფლო წყალსადენების ექსპლუატაციას;

გ) ახორციელებს წყალდიდობისა და ღვარცოფის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის საგარეულობის დასაცავად;

დ) თვალყურს ადევნებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შინააღმურნეო სარწყავი და საშრობი ქსელის მდგომარეობას და წყლის რა-

ციონალურ გამოყენებას მეურნეობებში, ამასთან ორგანიზაციულ და ტექნიკურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც ახორციელებენ შინასამეურნეო ქსელების ექსპლუატაციას, ხელშეკრულებათა საფუძველზე ასრულებს შინასამეურნეო ქსელების ტექნიკური მომსახურების სამუშაოებს;

ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებულ წყალსარგებლობის სასისტემო და სარაიონთაშორისო გეგმებს, უზრუნველყოფს წყალმოსარგებლებს წყლით სახელმწიფო სარწყავი სისტემებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსარწყავად, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, ენერგეტიკული და სხვა საჭიროებისათვის წყალსარგებლობის გეგმების საფუძველზე;

ვ) ახორციელებს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებებს;

ზ) ხელმძღვანელობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, შეიმუშავებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის პერსპექტიულ და მიმდინარე თემატიკურ გეგმებს, უზრუნველყოფს გამომგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

თ) უზრუნველყოფს სარწყავ, საშრობ და გამაწყლოვანებელ სისტემათა და ნაგებობათა კადასტრის წარმოებას; აანალიზებს კადასტრის მონაცემებს და იყენებს მათ სამელიორაციო და წყალსამეურნეო ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისას;

ი) მონაწილეობს სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების მუშაობაში;

კ) მონაწილეობს არსებული სარწყავი მიწების ყოველწლიურ აღრიცხვაში, რომელსაც ატარებენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციები, და ამ მიწების გამოყენების ყოველწლიურ აღრიცხვაში, რომელსაც ატარებენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანიზაციები, აანალიზებს აღრიცხვის შედეგებს და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინადადებებს მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შემდეგ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

8. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მი-

ნისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი პერსონალურად პასუხისმგებელია სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეთა, სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსთა, აგრეთვე სამინისტროს ქვედანაყოფების სხვა ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საწარმოების, ორგანიზაციებისა და მათი საწარმოო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობისათვის.

10. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შესასრულონ სამინისტროს სისტემის საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, და ამოწმებს მათს შესრულებას.

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად.

11. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, ისმენს სამინისტროს სამმართველოთა და განყოფილებათა ანგარიშებს და საქვეუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის თაობაზე წინადადებათა განსახილველად საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შედიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და წარმოების ნოვატორები, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

13. საქვეუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის წამოჭრილი დავის გადასაწყვეტად საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში იქმნება საუწყებო არბიტრაჟი, რომელსაც უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების შესახებ. არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს შეუძლია შეიტანოს ცვლილებანი ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს, აგრეთვე სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციათა სტრუქტურას, შტატებსა და დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი სამმართველოები და განყოფილებები მინისტრს შეუძლია გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

15. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

25 საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოკმედების უსრულების წესის შესახებ ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 28 ივნისის № 455 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოკმედების შესრულების წესის შესახებ“ და მისი მე-11 პუნქტის მე-3 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დოკუმენტების ასლებისა და მათი ამონაწერების ნამდვილობის დამოწმებისას მოქალაქეთა ვინაობა შეიძლება დადგინდეს აგრეთვე იმ მოწმობის მიხედვით, რომელიც გაცემულია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მათ სამუშაო ადგილზე, აგრეთვე სამამულო ომის ინვალიდებისა და ომის მონაწილეთა მოწმობებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პაბარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარია**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 18 მარტი, № 178

26 საპარტველოს მხარაღმართა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი საარდაქციო კოლეგიის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი საარდაქციო კოლეგია სასარგებლო მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის, სოციალისტური და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა შორის ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა განმტკიცების, საქართველოს სსრ მშრომელთა ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდისათვის, ხელს უწყობს რესპუბლიკის ლიტერატურულ-საგამომცემლო ორგანიზაციებს მხატვრული თარგმანის საქმის გაუმჯობესებასა და წარმართვაში. გარკვეული წვლილი შეაქვს კოლეგიის საქმიანობას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი საარდაქციო კოლეგიის მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

— მიეცეს მთავარ საარდაქციო კოლეგიას ლიტერატურის გამომცემის უფლება დებულებით განსაზღვრული პროფილის მიხედვით;

— ჩაითვალოს მიზანშეწონილად, შეიქმნას როგორც კოლეგიის სტრუქტურული ერთეულები, საგამომცემლო-სარდაქციო განყოფილება და ლიტერატურულ ურთიერთობათა სახლი მთავარი საარდაქციო კოლეგიის საშტატო

რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებებზე ფარგლებში;

— კოლეგიის გამოცემებზე აღინიშნოს მთავარი სარედაქციო კოლეგიის ემბლემა და გრიფი: „საქართველოს მწერალთა კავშირი. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია“;

— კოლეგიის მიერ სხვა საგამომცემლო დაწესებულებებთან ერთობლივი გამოცემების განხორციელებისას წიგნზე ასევე აღინიშნოს მთავარი სარედაქციო კოლეგიის სრული დასახელება;

— პერსპექტიული ლიტერატურული ძალების მოზიდვის, ახალგაზრდობასთან სასემინარო და ინდივიდუალური მუშაობის (მათ შორის — ენების შესწავლა, სპეციალური კონსულტაციები, ლიტერატურულ ურთიერთობათა განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი და სხვა) შემდგომი გაუნჯობებისა და გაფართოების მიზნით კოლეგიას მიეცეს უფლება საჭირო სამუშაოები შეასრულოს შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით — არასიობრივი შემადგენლობის საერთო ფონდიდან ანაზღაურების საფუძველზე;

— მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ სათანადო შემოქმედებით დავალებათა შესასრულებლად, საჭიროების შემთხვევაში კოლეგიის ხარჯზე, ლიტერატურული კონტაქტებისათვის განკუთვნილი სახსრებით განხორციელოს მთარგმნელთა, — მათ შორის მოწვეულ ლიტერატორ-მთარგმნელთა შემოქმედებით სახლებში გაზავნა, აგრეთვე საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 352 დადგენილებით გათვალისწინებული ვადებისა და მატერიალური ანაზღაურების ფარგლებში მთარგმნელთა შემოქმედებით მივლინებაში გაზავნა;

— ნება დაერთოს მთავარ სარედაქციო კოლეგიას აღმანახების — „საუნჯისა“ და „კავკასიონისათვის“ — საშუალოდ ერთ საავტორო თაბახში ჰონორარის გაცემისა მოძმე რესპუბლიკებში არსებული მთარგმნელობითი პერიოდული გამოცემების შესაბამისი ოდენობით. აღნიშნული გავრცელდეს უცხოელ ავტორებზეც;

— მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ უზრუნველყოს აღმანახ „კავკასიონის“ გამოცემა 1981 წლის ივლისიდან.

1-ლ პუნქტში აღნიშნული ფინანსური ხასიათის ღონისძიებანი განხორციელდეს ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

2- დამტკიცდეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თანდართული დებულება.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 იანვრის № 60 დადგენილებით დამტკიცებული დებულება აღნიშნული სარედაქციო კოლეგიის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ:

— 1981-1982 წლებში გამონახონ კოლეგიისათვის 60 ტონა ქაღალდის, შესაბამისი სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახების, ტირაჟების, ფურცელ-

ანაბეჭდებისა და საჰონორარო ფონდის გამოყოფის საშუალება, ხოლო 1983 წლიდან ქალაქის გამოყოფა გათვალისწინებულ იქნეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში;

— 1982 წლიდან გათვალისწინონ კოლეგიისათვის საჭირო ტრანსპორტის, ტექნიკის, გასამრავლებელი აპარატურისა და ავეჯის გამოყოფა წარდგენილი განაცხადებისა და შეთანხმების მიხედვით.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— უზრუნველყოს მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებული საგამომცემლო მასალის დაგეგმილ ვადებში გამოქვეყნება კოლეგიისათვის რესპუბლიკის გამომცემლობებში გამოყოფილი საგამომცემლო-სააღრიცხვო თაბახების დადგენილი ოდენობით (410 თაბახი), აგრეთვე ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კოლეგიასთან ერთობლივი გამოცემების განხორციელებას სახელმწიფო კრულებო საწყისებზე;

— უზრუნველყოს მთავარი სარედაქციო კოლეგიის საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილება შესაბამისი სასტამბო ლიმიტებით;

— გამოუყოს 1981 წელს მთავარ სარედაქციო კოლეგიას ოფსეტური საბეჭდი მანქანა „რომაიორ-314“.

5. საქსახსოფლტექნიკამ ყოველწლიურად, ფონდების განაწილებისას გათვალისწინოს მთავარი სარედაქციო კოლეგიისათვის სამარაგო ნაწილებისა და აგრეთვე გამოყოფა არსებული ნორმების მიხედვით.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

— გადაწყვიტოს ქალაქის ისტორიული ძეგლების დაცვის ნაწილში კოლეგიისათვის შესაფერისი სარესტავრაციო შენობის გამოყოფის საკითხი;

— გამოუყოს მთავარ სარედაქციო კოლეგიას 1982-1984 წლებში 72 ბინა მშენებარე საცხოვრებელ კოოპერატივებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნჯარიძე.**



დაგვიკავშირდით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 17 მარტის № 181 დადგენილებით

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის შესახებ

1. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 დეკემბრის № 700 დადგენილებით.

მთავარი სარედაქციო კოლეგია თავის შემოქმედებითა და მეცნიერულ-საორგანიზაციო მუშაობას წარმართავს ერთიანი პერსპექტიული გეგმით, რათა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მთარგმნელობითი მუშაობის გეგმაზომიერებას, მის იდეურ-პოლიტიკურ მიზანდასახულობას, საბჭოთა და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე თანმიმდევრულ გამოცემას, აგრეთვე, რესპუბლიკის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე.

— კოლეგიის კომპეტენციას განეკუთვნება მთარგმნელობითი მუშაობის ინფორმაციისა და კოორდინაციის საკითხები, რეკომენდაციები სათარგმნი ლიტერატურის გამოსაცემად, მხატვრული თარგმანის შემოქმედებითი და სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა, ლიტერატურული ურთიერთობანი, მთარგმნელთა მომზადება და მათი დაოსტატება.

2. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია არის საბიუჯეტო ორგანიზაცია და ხელმძღვანელობს რა არსებული დებულებით, მუშაობას წარმართავს შესაბამისი წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს მრგვალი ბეჭედი, ოთხკუთხა შტამპი ორგანიზაციის სრული დასახელებითა და მიმდინარე ანგარიში ბანკში.

თავის ვალდებულებათა მიხედვით კოლეგია პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი ისეთი ქონებით, რომლიდანაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გადახდევინება; საქართველოს მწერალთა კავშირის ვალდებულებებზე კოლეგია პასუხს არ აგებს.

3. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას აქვს ლიტერატურის გამოცემის უფლება კოლეგიის არსებული დებულებით განსაზღვრული პროცენტის მიხედვით. კოლეგიის გამოცემებზე აღინიშნება მთავარი სარედაქციო კოლეგიის ემბლემა და გრიფი: „საქართველოს მწერალთა კავშირი,

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი საარსებო დაქვეითო კოლეგია“.

4. მთავარი სარედაქციო კოლეგია სახელმწიფოებრივ საწყისებზე რესპუბლიკის გამომცემლობებში ერთობლივი გამოცემისათვის ამზადებს მხატვრულ და სამეცნიერო-მხატვრულ თარგმნით ლიტერატურას, სამეცნიერო-საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ კრებულებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 დეკემბრის № 738 დადგენილებით კოლეგიისათვის გამოყოფილი სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახების რაოდენობის ფარგლებში.

5. მთავარი სარედაქციო კოლეგია საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოსთან ერთად ორ წელიწადში ერთხელ ანიჭებს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიას საბჭოთა და საზღვარგარეთელი კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე, აგრეთვე ქართველი, აფხაზი და ოსი მწერლების ნაწარმოებების სხვა ენებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თარგმანებისათვის.

6. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ძირითადი უფლება-მოვალეობანია:

— შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად გაატაროს ერთიანი პოლიტიკა მთარგმნელობითი მოღვაწეობის სფეროში;

— მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკაში სათარგმნი ლიტერატურის საგამომცემლო გეგმების შედგენასა და პერსპექტიული გეგმების განხილვაში, მოამზადოს რეკომენდაციები მხატვრული ლიტერატურის ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე სათარგმნელად და პირუტყვ;

— განიხილოს შეფასების მიზნით და გამომცემლობებს გააცნოს დასკვნა ამა თუ იმ გამომცემლობის თემატიკურ გეგმაში გათვალისწინებული თხზულების განმეორებითი გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ;

— გაუწიოს შემოქმედებითი დახმარება რესპუბლიკისა და სხვა გამომცემლობებს ცალკეული მთარგმნელობითი სამუშაოს შესრულებაში. შესაბამისი დარგის მეცნიერთა, თარგმანის სპეციალისტთა და ენების მცოდნე პერსპექტიული ახალგაზრდა ლიტერატორების მოზიდვით განახორციელოს სამსახურებრივი დანიშნულებისათვის თარგმნითი, სამეცნიერო-საინფორმაციო, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული, ლიტერატურული პროცესებისა და ურთიერთობათა ამსახველი, სხვა ლიტერატურის მომზადება; ადგილობრივი და მოწვეული მწერლისა და მთარგმნელის დასახმარებლად საჭირო ტერმინოლოგიური და ლექსიკოლოგიური მასალების მომზადება — ერთდროული ანაზღაურებისა და შრომითი ხელშეკრულებით ანაზღაურების საფუძველზე; ანაზღაურება ხელშეკრულებით ხდება დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვით, ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულების შეუცვლელად.

— გამოსცეს ლიტერატურა შესაბამისი პროფილის მიხედვით: თარგმნითი მხატვრული და სამეცნიერო-მხატვრული (პოპულარული); სამეცნიერო-საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული; ლიტერატურულ ურთიერთობათა



ბათა და პროცესების ამსახველი; თარგმანის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე შესრულებული შრომები; სპეციალური კრებულები საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე, აღმანახები, პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენები; ქართული, აფხაზური და ოსური ლიტერატურის მსოფლიოს ხალხთა ენებზე თარგმანსთან და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, ცალკეულ შემთხვევაში, განახორციელოს ორიგინალური გამოცემები;

— მხატვრული თარგმანის სფეროში საკოორდინაციო საქმიანობის მიზანდასახულად წარმართვისათვის და ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ უსასყიდლოდ, კოლეგიის სახსრებით, გამოსაცემად მოამზადოს ქართული, აფხაზური და ოსური ლიტერატურის ნაწარმოებთა პუბლიცისტური, სამეცნიერო და, ცალკეულ შემთხვევაში, მხატვრული თარგმანები; აღნიშნულ ლიტერატურულ მასალას გაუწიოს სათანადო რეცენზირება და რედაქტირება, როგორც კოლეგიის თანამშრომლების, ასევე მოწვეული მაღალკვალიფიციური ძალების მეშვეობით; შერჩევა-შედგენითი, სარედაქტორო-სარეცენზიო და მხატვრული გაფორმების საშუალოთა ანაზღაურება გამონაკლისის სახით მოახდინოს ლიტერატურული პროდუქციის გამოცემისაგან დამოუკიდებლად, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუქმლელად.

— დაამყაროს მკვიდრო კონტაქტები ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელთა მოღვაწეობაც ამა თუ იმ სფეროში უკავშირდება ქართულ, აფხაზურ და ოსურ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა და აგრეთვე, საერთოდ, მხატვრული და სამეცნიერო-მხატვრული (პოპულარული) ლიტერატურის, თარგმანის თეორიისა და ისტორიის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, სამეცნიერო-საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მასალების თარგმანის პრობლემებს; ჩაატაროს მხატვრული ლიტერატურის პროცესების, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი თათბირები, შეხვედრები და კონფერენციები, მიიღოს მონაწილეობა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ განსახორციელებელ მსგავს ღონისძიებებში, აგრეთვე საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის განვითარებასთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავ ღონისძიებათა მომზადებასა და განხორციელებაში;

— შეისწავლოს და განაზოგადოს საბჭოთა და საზღვარგარეთული მთარგმნელობითი ხელოვნების გამოცდილება და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მხატვრული თარგმანის თეორიული პრინციპების შემუშავებას; ქართულ და რუსულ აღმანახებში — „საუნჯე“ და „კავკასიონი“ რეგულარულად გამოაქვეყნოს რეცენზიები, კრიტიკული და მიმოხილვითი ხასიათის მასალები ახალი თარგმანის შესახებ; მოამზადოს მსგავსი მასალები რესპუბლიკური და საკავშირო პერიოდული პრესისათვის, სამეცნიერო-საინფორმაციო, საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ კრებულებში და ლიტერატურული პროცესების ამსახველ პერიოდულ ბიულეტენებში გამოაქვეყნოს აგრეთვე საინფორმაციო მასალა სტატიები და წერილები ქართველ, აფხაზ და ოს ხალხთა მნიშვნელოვან ლიტერატურულ თარიღებზე, მათ მიღწევებზე სულიერი ცხოვრების სფეროში, ახალ

წიგნებზე და სხვა; გამოაქვეყნოს მასალები მხატვრული თარგმანის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე, რომლებშიც აისახება მთარგმნელობითი საქმის მდგომარეობა რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ;

— განახორციელოს შემოქმედებითი კონტაქტები მოძმე რესპუბლიკების იმ მთარგმნელებსა და ავტორებთან, რომელთა ნაწარმოებებსაც ისინი თარგმნიან; ხელი შეუწყოს მათ ორმხრივ მონაწილეობას ერთიან ლიტერატურულ-კულტურულ პროცესში; დაკანონებული წესით წარუდგინოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს ლიტერატურულ-შემოქმედებითი კონტაქტების განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ მთარგმნელებისა და ლიტერატორების საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოწვევას და ასევე მათ შემოქმედებით მივლინებებს საზღვარგარეთ;

— განახორციელოს მთავარი სარელაქციო კოლეგიის ხარჯზე ლიტერატურული კონტაქტებისათვის განკუთვნილი სახსრებით, საჭიროების შემთხვევაში, როგორც მოწვეული, ასევე ადგილობრივი მთარგმნელების, ლიტერატორების შემოქმედებით სახლებში გაგზავნა კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შესასრულებლად; აგრეთვე, იმავე სახსრებით განახორციელოს ადგილობრივი ქართველი, აფხაზი და ოსი მთარგმნელების შემოქმედებით მივლინებაში გაგზავნა, სამუშაოდან დროებით მოწყვეტით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 352 დადგენილებით გათვალისწინებული ვადებით და მატერიალური ანაზღაურების ფარგლებში, ამ აზნავეში აღნიშნული ღონისძიებებისათვის სახსრების ხარჯვა მოხდეს დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვით.

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შემოქმედ ახალგაზრდობასთან სასემინარო და ინდივიდუალურ მუშაობას; პერსპექტიული ლიტერატურული ძალების მონაწილეობით თარგმნილ ნაწარმოებთა კრებულების მომზადებასა და გამოცემას; ახალგაზრდა მთარგმნელებთან მუშაობაში — ენების შესწავლა, ინდივიდუალური, სასემინარო, საკონსულტაციო, — ჩააბას მაღალი კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების მქონე მოწვეული სპეციალისტები და ლიტერატორები; აღნიშნული სამუშაოები შეასრულოს საწარმოო-შემოქმედებითი აპარატის ძალებით და შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით — არასიობრივი შემადგენლობის საერთო ფონდიდან ანაზღაურების საფუძველზე;

— დაეხმაროს მთარგმნელებს შემოქმედებით მუშაობაში, გაუწიოს საჭირო კონსულტაციები, გააცნოს საარქივო მასალები და სათანადო ლიტერატურა; პეკარდის ბიბლიოთეკის ხაზით მომზადდეს რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების მაღალკვალიფიციური პეკარედული, სამეცნიერო და ცალკეულ შემთხვევაში, მოცემულ ნაწარმოებზე აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით გასაცნობი მხატვრული თარგმანი კოლეგიისა და მთარგმნელისათვის ხელმისაწვდომ ენაზე. ამ სახის თარგმანების ხარისხის ამაღლების მიზნით, როგორც წესი, გაუწიოს მათ სათანადო რეცენზირება და რელაქტირება; ან

სამუშაოთა შესრულებაში საწარმო-შემოქმედებითი აპარატის მუშაკებთან ერთად ფართოდ ჩააბას მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატორები; პრაქტიკულად დაეხმაროს მთარგმნელებს უცხო ენებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების შესწავლაში, მოამარაგოს მუშაობისათვის აუცილებელი საბჭოთა და საზღვარგარეთული ლიტერატურით;

— საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო კავშირში სისტემატურად განახორციელოს მუშაობა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა მომზადებასა და დაოსტატებაში;

— შეარჩიოს და რეკომენდაცია გაუწიოს მხატვრულ თარგმანზე მომუშავე სტუდენტების კანდიდატურებს მოძვე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გეგმაზომიერი გაცვლისათვის. მჭიდრო საქმიანი, შემოქმედებითი კონტაქტები განახორციელოს და სისტემატური, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრას.

7. მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილეებსა და სხვა თანამშრომლებს ნიშნავს კოლეგიის თავმჯდომარე. მთავარი სარედაქციო კოლეგია — კოლეგიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, კოლეგიის წევრები, უშუალოდ ხელმძღვანელობენ მხატვრული თარგმანის კოლეგიის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს, მათ შორის თბილისის ლიტერატურულ ურთიერთობათა სახლს, თამარაშენის ი. მაჩაბლის სახელობის შემოქმედებით სახლსა და სახლ-მუზეუმს.

8. მთავარ სარედაქციო კოლეგიას უფლება აქვს შექმნას ახალი და გადააჯგუფოს აპარატის მოქმედი სტრუქტურული ქვედანაყოფები ამ აპარატის საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

9. მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებულია მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მწერალ-მთარგმნელები და დაინტერესებულ დაწესებულებათა და უწყებათა წარმომადგენლები. კოლეგიისა და მისი საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება კოლეგიის დადგენილებებით. საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობის განახლება ხდება მთავარი სარედაქციო კოლეგიის სხდომის წინადადებით და ახალი წევრები მტკიცდება თვით საბჭოს სხდომაზე.

10. კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 3 დეკემბრის № 700, 1981 წლის 17 მარტის № 181 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975

წლის 15 დეკემბრის № 738, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 3 ივლისის დადგენილებებით განსაზღვრული ამ დაწესებულების ამოცანებისა და მოვალეობების ფარგლებში, გასცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს არსებული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, იძლევა განკარგულებებს, რომლებიც სავალდებულოა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის.

27 ადგილობრივი საავტომობილო გზების მუშაველობისა და მოვლა-პატრონობისათვის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დანახარჯების დაბეგმვისა და დაფინანსების წესის გაუმჯობესების შესახებ

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებით და „ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დანახარჯების დაბეგმვისა და დაფინანსების წესის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 აპრილის № 309 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობისათვის დადგენილი წესით ჩაბმულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საფინანსო ვეგმებში დანახარჯები ამ მიზნებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.

საწარმოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დაარიცხონ და გადასცენ საგზაო ორგანიზაციებს აონიშნული სახსრები შესაბამისად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკის 1980 წლის 29 მაისის მითითებისა „საგზაო სამუშაოებისათვის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა დანახარჯების დაბეგმვის, ამ სამუშაოებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების აღრიცხვისა და შენახვის წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 აპრილის № 309 დადგენილების თანახმად.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ-აღმოსავლეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა:

— უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების სახსრებისა და რესურსების დროულად და სრულად მიზიდვა ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობისათვის;

— გაითვალისწინონ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება უშუალოდ საგზაო სამუშაოთა შესასრულებლად ადგილობრივი რეზერვებისა და რესურსების მიხედვით.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შემუშავებისას ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსათვის საგზაო მშენებლობის განსახორციელებლად კაპიტალური დაბანდებების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და მექანიზმების გამოყოფა იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ამ მიზნით გათვალისწინებული დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით სახსრების სრულად გამოყენებას, ადგილობრივი გზების მშენებლობის ჩათვლით.

4. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ, რომ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობისათვის დადგენილი წესით ჩაბმულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საფინანსო გეგმებში ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული სახსრები არ შეიძლება მოხმარდეს ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულებასთან დაუკავშირებელ მიზნებს.

5. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ჩააბან დადგენილი წესით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, უწინარეს ყოვლისა, იმ საავტომობილო გზების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობისათვის, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარ-მიდამოებთან მისასვლელ გზებს წარმოადგენენ, ამასთან გაითვალისწინონ მაგარი და გაუმჯობესებული საფარის დაგება.

6. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 აპრილის № 309 დადგენილებით:

— მიღებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ, მოყოლებული 1981 წლიდან, შემცირდეს მთლიანად სახალხო მეურნეობაში კაპიტალური რემონტისათვის დარიცხული ამორტიზაციის თანხა 2,5 პროცენტით, ამასთან შე-

საბამისად გადიდდეს ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის საპროცენტო ზაციო ანარიცხების თანხა;

— 1986 წლის 1 იანვრამდე გავრძელდა მოქმედების ვადა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 ნოემბრის № 1278 დადგენილების მე-7 პუნქტის იმ ნაწილისა, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობისათვის მიზნობრივი ანარიცხების დაწესებას დამოუკიდებელ ბალანსზე გამოყოფილ ავტოსატრანსპორტო სახელმწიფო და კოოპერაციულ (საკოლმეურნეოს გარდა) ორგანიზაციათა და საწარმოთა საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის შემოსავლის 2 პროცენტის ოდენობით, იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული ანარიცხები შეტანილ იქნეს ტვირთბიდვის ტარიფებში;

„სსრ კავშირში საგზაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 599 დადგენილების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა.

7. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შეიტანოს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აპრილის № 262 დადგენილებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების შესახებ და 2 თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარია**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 მარტი, № 185

28 საქართველოს სსრ წყალმარაზველი საზოგადოებრივ-სამეცნიერო საზოგადოების მთლიანად გადაცემის შესახებ

წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისათვის მუშაობაში უწყებრივი დაქსაქსულობისა და პარალელიზმის ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მთლიანად გადასცენ ბალანსიდან ბალანსზე საქართველოს სსრ წყალმარაზველი საზოგადოების შესაბამის საქალაქო (რაიონულ) საბჭოებს სამაშველო სამსახური, აგრეთვე გადასცენ ამ მიზნისათვის გათვალისწინებული ფულადასიგნებანი 1981 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მომავალში გაითვალისწინოს ბიუჯეტის პროექტებში ასიგნებათა გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით სამაშველო სამსახურის დასაფინანსებლად საქართველოს სსრ წყალმშენებელი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსათვის, რომელმაც შემდგომში განახორციელოს მთელი სამაშველო სამსახურის დაფინანსება საზოგადოების შესაბამისი საბჭოების მეშვეობით.

3. სახალხო დემუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ წყალმშენებელი საზოგადოების ორგანიზაციებისათვის საჭირო ასიგნებათა გამოყოფა სამაშველო სადგურების შესარემონტებლად და ასაშენებლად კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული სახსრების და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისას მიღებული ზეგვეგმიით შემოსავლის ხარჯზე.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს საქართველოს სსრ წყალმშენებელი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს განაცხადების მიხედვით სამაშველო სამსახურისათვის საჭირო მოწყობილობა და ქონება, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტი და საშენი მასალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 მარტი, № 186

29 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 19 აპრილის № 258 დადგენილებით დამტკიცებული 1981 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯი-შოგრივი დარბიონების ცვლილებისა და დამატების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 6 მაისის № 349 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეთანხმების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 6 მაისის № 349

დადგენილებით დამტკიცებული 1982 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშობრივი დარაიონების ცვლილები-სა და დამატების შესახებ, დანართის თანახმად.*)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 მარტი, № 187

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 24 მარტის № 187 დადგენი-
ლების დანართი

ცვლილებანი და დამატებანი, რომლებიც შეტანილია საქართველოს სს რესპუბ-
ლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშობრივი დარაიონების განყოფ-
ში „ჯიშობრივი დარაიონება კულტურების მიხედვით“

საშემოდგომო ხორბალი

„დუკატი“ დარაიონდეს IX, X, XIV, XVI, XVII და XVIII ზონებში.

სიმინდი

ჰიბრიდი „ქართული — 52“ დარაიონდეს სამარცვლედ I, II, III, IV, X,
XIV და XVIII ზონებში.

ლობიო

„მუხრანულა“ დარაიონდეს I, XV და XVIII ზონებში.

„ლიახვის“ დარაიონება გავრცელდეს I ზონაზე.

„ხეთაგუროვი-4“-ის დარაიონება გავრცელდეს XV ზონაზე.

„წითელი-41“ მოიხსნას დარაიონებიდან XVIII ზონაში.

სოია

„ქართული-7“ დარაიონდეს XIV, XVI, XVII და XVIII ზონებში.

„მოწინავე-7“ და „ნატახტარის-1“ მოიხსნას დარაიონებიდან შესაბამისად
XIV და XVI ზონებში.

* დანართი არ იბეჭდება.

პამიდორი

„ერმაკი“ დარაიონდეს ერთგვრადი მექანიზებული აღებისათვის IX, X და XVI ზონებში.

„უტრო“ დარაიონდეს VI და IX ზონებში და საკონსერვო მრეწველობისათვის.

„საადრეო-83“ მოიხსნას დარაიონებიდან IX ზონაში და საკონსერვო მრეწველობისათვის.

„მოლდავეური“ მოიხსნას დარაიონებიდან IX და XX ზონებში.

თავიანი ზაზვი

„ოქტიაბრსკის“ დარაიონება გავრცელდეს VI ზონაზე.

„კახური ადგილობრივი“ მოიხსნას დარაიონებიდან XVI ზონაში და საკონსერვო მრეწველობისათვის.

სუფრის ქარხალი

„დიღმური ადგილობრივი“ მოიხსნას დარაიონებიდან I, X და XIV ზონებში და საკონსერვო მრეწველობისათვის.

მწვანე საპარკე ლობიო

„უნივერსალი“ დარაიონდეს II და VI ზონებში და საკონსერვო მრეწველობისათვის.

საშემოდგომო ქვაკვი საკვებად და სათესლედ

„უტრო“ და „კორმოვია-51“ დარაიონდეს რესპუბლიკაში.

ბალი

„პრიუსადებნაიას“, „პედელფინგერის“ და „ბაგრატიონის“ დარაიონება გავრცელდეს I ზონაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

30 „სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მიწინასწარმეტყველების საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 17 თებერვლის № 193 თანდართული დადგენილება „სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაქარგულად უნდა ჩაითვალოს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 მარტი, № 191

სსრ კავშირის მიწინასწარმეტყველების საბჭოს დადგენილება № 193

1981 წლის 17 თებერვალი

მოსკოვი, კრემლი

„სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 მარტის № 229 დადგენილების — „სსრ კავშირის კანონთა წიგნის საკითხები“ — შესასრულებლად და სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ ნორმატიული აქტების სიმრავლის აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ.

2. დაევალოთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დემუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მუდმივი და მკაცრი კონტროლი იმისადმი, რომ ყველა თანამდებობის პირმა განუხრელად დაიცვას დებულება სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ.

3. გავრცელდეს ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული შეღავათები შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოთა სამხედრო მომსახურებაზე, სამხედრო ვალდებულებზე, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირებზე და მათ ოჯახებზე.

4. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9, 29-ე, 31-ე, 65-ე, 66-ე, და 70-ე პუნქტებით გათვალისწინებული თავდაცვის მინისტრისა და მისი პირველი მოადგილეების უფლებანი ენიჭებათ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს და მათ პირველ მოადგილეებს, ხოლო აღნიშნული დებულების 31-ე, 33-ე, 34-ე, 48-ე, 49-ე, 50-ე, 51-ე, 52-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე, 58-ე, 59-ე, მე-60, 61-ე, 62-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, 66-ე, და 70-ე პუნქტების სასაზღვრო და შინაგანი ჯარების მიმართ გამოყენებასთან დაკავშირებული ფულის სახსრები დაიხარჯება შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახსრებიდან.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ტიხონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
წლის 17 თებერვლის № 193 დადგენი-
ლებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან
გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების შეღავათების შესახებ

თ ა შ ი

ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება ითვალისწინებს შეღავათებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთათვის, სამხედრო ვალდებულთათვის, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების წევრთათვის.

სამხედრო მოსამსახურეებს მიეკუთვნებიან საბჭოთა არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში, სასაზღვრო და შინაგან ჯარებში ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და ოფიცერთა შემადგენლობის პირები, ხოლო სამხედრო ვალდებულებს — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თადარიგში მყოფი მოქალაქენი.

2. სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო ვალდებულთა, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ პირთა და მათი ოჯახების წევრთა ფულადი კმაყოფა, მატერიალური და საპენსიო უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

3. სამხედრო მოსამსახურის, სამხედრო ვალდებულის ან სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახი ინარჩუნებს იმ შეღავათების უფლებას, რომლებითაც იგი სარგებლობდა, კიდევ ექვსი თვის განმავლობაში, თუ სხვა წესი არაა გათვალისწინებული კანონმდებლობით.

4. სამხედრო მოსამსახურე, სამხედრო ვალდებული და სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირი კარგავს შეღავათების უფლებას სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების ან გასახლების სახით დანიშნული სასჯელის მოხდის დროის განმავლობაში. იმავე დროისათვის მათი ოჯახების წევრები კარგავენ იმ შეღავათების უფლებას, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ როგორც ზემოაღნიშნულ პირთა ოჯახების წევრები.

დისციპლინურ ბატალიონში გასაგზავნად მსჯავრდადებული სამხედრო მოსამსახურე და მისი ოჯახების წევრები შეღავათების უფლებას არ კარგავენ.

5. სამხედრო მოსამსახურის, სამხედრო ვალდებულისა და სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირის ოჯახის წევრები კარგავენ ოჯახის ცალკეულ წევრთათვის მინიჭებული შეღავათების უფლებას იმ დროის განმავლობაში, როცა ოჯახის ეს წევრები იხდიან სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების ან გასახლების სახით დანიშნულ სასჯელს.

6. ყველა შემთხვევაში, როცა ამ დებულებით გათვალისწინებული შედეგების უფლების მქონე პირთა უფლებები ან კანონიერი ინტერესები შეილახება, სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები მიიღებენ საჭირო ზომებს ამ პირთა შელახული უფლებების აღსადგენად და კანონიერი ინტერესების დასაცავად საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებულ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა თხოვნით.

7. ამ დებულების მიხედვით შედეგების უფლების მქონე პირებს მიეცემათ, მათი თხოვნით, თავდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მოწმობები.

მოწმობებს გასცემენ სამხედრო ნაწილები, სამხედრო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი; მოწმობების გაცემა შეუძლიათ აგრეთვე სახალხო დებუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, თუ მათ აქვთ ასეთი მოწმობების გაცემისათვის საჭირო ცნობები.

სახელმწიფო სანოტარო კანტორები, ხოლო დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორები, — სახალხო დებუტატთა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასეთი მოწმობების ასლების სისწორეს დაამოწმებენ უფასოდ.

იმ შემთხვევებში, როცა შედეგების მინიჭება შეიძლება არსებული მონაცემების საფუძველზე, ისინი უნდა მიენიჭონ აღნიშნული მოწმობების გარეშე.

8. სამხედრო მოსამხახურენი, სამხედრო ვალდებულნი, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირნი და მათი ოჯახების წევრები, რომელთაც აქვთ შედეგების უფლება ამ დებულების მიხედვით, აღნიშნულ შედეგებთან ერთად სარგებლობენ სხვა საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე საერთო საფუძველზე მათთვის გათვალისწინებული შედეგებით და შესაბამის მოქალაქეთათვის დაწესებული ყველა შედეგით, თუ სხვა წესი არაა გათვალისწინებული კანონმდებლობით.

9. ინსტრუქციებს ამ დებულების გამოყენების შესახებ გამოსცემენ თავდაცვის სამინისტრო, აგრეთვე შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი ი I I

გადასახდთა და გამოსაღებთა შედეგათები

10. ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცები, მატრონები, სერჟანტები და ზემდეგები და შეკრებაზე გაწვეული სამხედრო ვალდებულნი თავისუფლდებიან თავდაცვის სამინისტროს, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებში, სამხედრო სასწავლებლებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში იმ ფულადი კმაყოფის საშემოსავლო

გადასახადით დაბეგვრისაგან, რომელსაც იღებენ დაკავებულ საშტატო თანამდებობაზე ან სასწავლო თუ შესამოწმებელ შეკრებებზე ყოფნის დროს.

11. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და მათი ცოლები თავისუფლდებიან სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადით დაბეგვრისაგან.

აღნიშნული გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე ოფიცერთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურს გადიან საზღვარგარეთ, და მათი ცოლები.

სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ცოლებს სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის მინიჭებული შეღავათი უნარჩუნდებათ სამკურნალო დაწესებულებებში და ავადმყოფობის გამო შვებულებაში სამხედრო მოსამსახურეთა ყოფნის მთელი დროისათვის, ხოლო ავადმყოფობის გამო ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში — დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

12. კოლმეურნეთა მეურნეობანი და კოლმეურნეობის არაწევრთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახის წევრი, რომელიც მეურნეობის შემადგენლობაში ირიცხება, ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფება, თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდისაგან, თუ ოჯახში არ დარჩენილა სხვა შრომისუნარიანი წევრები, გარდა სამხედრო მოსამსახურის ცოლისა ან დედისა, რომელსაც ჰყავს 8 წლამდე ასაკის ბავშვები.

13. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები, ზემდეგები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და მათი ოჯახების წევრები თავისუფლდებიან შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადის გადახდისაგან.

14. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცები, მატროსები, ზემდეგები, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და მათი ოჯახების წევრები თავისუფლდებიან მიწის გადასახადის გადახდისაგან.

15. ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურენი, აგრეთვე თავდაცვის სამინისტროს მიერ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ავტომეურნეობებსა და ორგანიზაციებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სასწავლო კომბინატებში სასწავლებლად გავზავნილი სამხედრო ვალდებულნი თავისუფლდებიან საგზაო მოძრაობის წესების და ავტომოტორტრანსპორტის საშუალებათა ტარების ჩვევების გამოცდების მიღებისათვის გამოსაღების გადახდისაგან, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობის მიცემის გამოსაღებისაგან.

თ ა ვ ი III

საბინაო შეღავათები

16. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს უფლება აქვთ მიიღონ თავიანთთვის და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთათვის საცხოვრებელი ფართობი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდიდან სხვა მოქალაქეთა თანაბრად.

17. ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მათ ეკავათ სამსახურში გაწვევამდე, და ისინი არ შეიძლება ამოირიცხონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგითობის სიებიდან. სამსახურის პირველი სამი თვის გასვლის შემდეგ და სამსახურიდან მათ დაბრუნებამდე ეს საცხოვრებელი ფართობი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ამ სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ დაიკავონ საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მათ ეკავათ სამსახურში გაწვევამდე. ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში სამხედრო მოსამსახურის ყოფნის დროს ამ ფართობზე მცხოვრები პირები მოვალენი არიან გაათავისუფლონ იგი არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში.

ეს შეღავათი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურიდან სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

18. ნამდვილ სამხედრო სამსახურში თადარიგიდან ორი-სამი წლით გაწვეულ ოფიცრებსა და მათს ოჯახებს ამ ოფიცერთა მიერ ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის მთელ პერიოდში უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მათ ეკავათ გაწვევამდე, და ისინი არ შეიძლება ამოირიცხონ საცხოვრებელი ფართობის მიღების რიგითობის სიებიდან.

ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ აღნიშნული ოფიცრები უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი ფართობით სხვა მოქალაქეებთან საერთო საფუძველზე.

პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს ნამდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკებად, მიჩმანებად და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებად ყოფნის პირველი ხუთი წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ იმ საცხოვრებელი ფართობის უფლება, რომელიც მათ ეკავათ სამხედრო სამსახურში მოწყობამდე.

19. ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან შტატების შემცირების გამო თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კო-

მხ. 20
 კომ. 1993

მიტეტები უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით (უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგანი ჯარების გარდა) პირველ რიგში, მაგრამ არა უგვიანეს სამი თვისა ჩაწერის არსებული წესის გათვალისწინებით არჩეულ საცხოვრებელ ადგილზე ჩასვლის დღიდან.

ამასთან ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა და მიჩმანთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართობით ზემოაღნიშნული წესით ხორციელდება იმ პირობით, თუ ისინი ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ არანაკლებ 20 კალენდარული წლის განმავლობაში.

20. თუ სამხედრო მოსამსახურე (ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურის გარდა) გაიგზავნა კურსებზე, იმყოფება სასწავლო ცენტრში, ბანაკში, ხანგრძლივ მივლინებაში ან სტაჟირებაზე, მას უნარჩუნდება საცხოვრებელი ფართობი დროებით არყოფნის მთელი ვადის განმავლობაში.

ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, რომელთაც ამავე დროს არ უნარჩუნდებათ წინანდელი საშტატო თანამდებობანი.

21. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები და სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დადებულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სასამართლო წესით მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად.

22. საზღვარგარეთ, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში ნამდვილი სამხედრო სამსახურის გასავლელად გაგზავნილ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს და მათს ოჯახებს საცხოვრებელი ფართობი წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე ეჯავშნებათ (უნარჩუნდებათ) საზღვარგარეთ, ზემოაღნიშნულ რაიონებსა და ადგილებში მათი ყოფნის მთელი დროის განმავლობაში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საცხოვრებელი ფართობის დაჯავშნის სხვა საფუძვლებიც.

23. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ უფროსი და უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომელთა ნამსახურობის ვადა 25 წელი და მეტია, უფლება აქვთ საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც უკავიათ მათ და მათს ოჯახებს.

უფროსი ან უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობის პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათი ოჯახების წევრებს უმტკიცდებათ საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მათ უკავიათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

24. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი, პრაპორშჩიკები, მიჩმანები და ოფიცერთა შემადგენლობის პირები მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შეღავათიანი განაკვეთების მიხედვით. ამასთან ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი ოფიცერთა შემადგენლობის პირები ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან ერთმაგად.

ასაკის ან ავადმყოფობის გამო ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომელთაც სამხედრო სამსახურში უმწიკვლოდ იმსახურეს არანაკლებ 25 კალენდარული წლის განმავლობაში, უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობის შეღავათიანი ქირის უფლება.

25. ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, თუ ოჯახის შემადგენლობაში არ არიან პირები, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი გამომუშაება, მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ბინის ქირის არსებული მინიმალური განაკვეთის მიხედვით.

26. კურსებზე გაგზავნილი, აგრეთვე სასწავლო ცენტრში, ბანაკში, ხანგრძლივ მივლინებაში ან სტაჟირებაზე მყოფი სამხედრო მოსამსახურენი (ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა გარდა) მათ მიერ როგორც მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, ისევე დროებითი ყოფნის ადგილზე დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან სამხედრო მოსამსახურეთათვის დაწესებული ბინის ქირის 50 პროცენტის ოდენობით.

ეს შეღავათი ეძლევათ იმ პირობით, თუ სამხედრო მოსამსახურეებს დროებითი ყოფნის ადგილზე საცხოვრებელი სადგომი უფასოდ არა აქვთ მიცემული.

27. როგორც ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ, ისევე თადარიგში დათხოვნილ ან გადამღვარ პოლკოვნიკის, მისი თანაბარი და მეტი წოდების ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, აგრეთვე ცალკეული სამხედრო ნაწილების მეთაურებს და სამხედრო სასწავლებლების სპეციალური სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური საგნების მასწავლებლებს უფლება აქვთ დამატებით ოთახზე ან დამატებით საცხოვრებელ ფართობზე მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ოდენობით.

28. უფროსი და უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებმაც სამხედრო სამსახურში იმსახურეს არანაკლებ 25 კალენდარული წლის განმავლობაში, აგრეთვე ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებმაც იმსახურეს არანაკლებ 25 წლის განმავლობაში და გავიდნენ თადარიგში ან გადადგნენ სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან შტატების შემცირების გამო, გამოეყოფათ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ქალაქის ტიპის დაბებსა და საკურორტო ადგილებში — 0,12 ჰექტარამდე; ყველა დანარჩენ ადგილზე; ვენერლებსა და აღმირალებს — 0,25 ჰექტარამდე, უფროს და უმცროს ოფიცრებს — 0,15 ჰექტარამდე.

სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფართობი მცირდება სანახევროდ.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები ქალაქებში გამოიყოფა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.



ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან შტატების შემცირების გამო თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს მიეცემათ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ფულადი სესხი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელს უწყობენ აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეებს მიწის ნაკვეთების გამოყოფის, სამხედრო მოსამსახურეთა სახსრებით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის და სახელმწიფო ფასებში საშენი მასალების მიცემის საქმეში.

29. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებიც გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს საზღვარგარეთ, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში, უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან ვაიანაბრებულ ადგილებში და მსხვილი დასახლებული პუნქტების გარეთ განლაგებულ ვანცალკეებულ სამხედრო ქალაქებში, უფლება აქვთ შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში მათ მიერ არჩეულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში პირველ რიგში იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიღებას, რომელთაც მიადწიეს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით დაწესებულ ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის ზღვარულ ასაკს ან აღნიშნული ზღვარული ასაკის მიღწევამდე დარჩათ არა უმეტეს სამი წლისა.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში სამხედრო მოსამსახურეთა მიღებისათვის საჭირო დოკუმენტები ამ სამხედრო მოსამსახურეებს მიეცემათ თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში სამხედრო მოსამსახურეთა მიღების საკითხის გადასაწყვეტად საჭირო არაა სამხედრო მოსამსახურეთა ჩაწერა კოოპერატივის ყოფნის ადგილზე და მათი ჩასვლა ამ კოოპერატივის განლაგების ადგილზე. ქალაქ მოსკოვში და მოსკოვის ოლქში, ქალაქებში ლენინგრადში, კიევსა და მინსკში და საკურორტო ადგილებში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში ამავე პირობების მიხედვით, ოღონდ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უნდა ჰქონდეთ ჩაწერის უფლება.

თ ა ზ ი V

შეღვათები ჯანმრთელობის დაცვის დარგში

30. სამხედრო მოსამსახურეებსა და შეკრებებზე დაწვეულ სამხედრო ვალდებულებს გაეწევათ ყოველგვარი სამედიცინო დახმარება, მათ შორის მიეცემათ წამალი, სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში.

თუ მოცემულ ადგილზე არ არის შესაბამისი სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებები, ან მათ არა აქვთ შესაბამისი განყოფილებანი ანდა სპეციალური მოწყობილობა, სამხედრო მოსამსახურეებსა და შეკრებებზე გაწვეულ სამხედრო ვალდებულებს გაეწვევათ ყოველგვარი სამედიცინო დახმარება, მათ შორის მიეცემათ წამალი, სამოქალაქო ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში (რომლებიც შედიან სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობაში) სხვა მოქალაქეებთან თანაბარ საფუძველზე.

31. პრაპორშჩიკები, მიჩმანები და ოფიცერთა შემადგენლობის პირები უზრუნველყოფილ იქნებიან სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმებში (სამხედრო ჰოსპიტლების სანატორიულ განყოფილებებში) და დასასვენებელ სახლებში საგზურების ღირებულების 25 პროცენტის ანაზღაურებით.

ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მკურნალობის გასაგრძელებლად გაგზავნილ პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს საგზურები უფასოდ მიეცემათ.

ვადიანი და ზეგადიანი სამსახურის ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები უფასოდ მიეცემათ.

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის ავადმყოფთა სამედიცინო შერჩევისა და გაგზავნის წესს განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტრო.

32. იმ შემთხვევაში, როცა სამხედრო მოსამსახურეებს (ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა გარდა) ვერ უზრუნველყოფენ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, მათ უფლება აქვთ მიიღონ ასეთი მკურნალობა საკუთარ ხარჯზე სამოქალაქო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში ამ დებულების 31-ე პუნქტით დაწესებული საგზურების ღირებულების ანაზღაურების შეღავათიანი პირობებით.

33. ზეგადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახების წევრები უზრუნველყოფილ იქნებიან სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმებში (სამხედრო ჰოსპიტლების სანატორიულ განყოფილებებში) და დასასვენებელ სახლებში საგზურების ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურებით. აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით უზრუნველყოფა ხორციელდება საამისოდ გამოყოფილი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

34. ასაკის ან ავადმყოფობის გამო თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ უფროსი და უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომლებმაც იმსახურეს 25 წელი და მეტი, უნარჩუნდებათ უფლება, რომ ისინი და მათი ოჯახ-



ბის წევრები უზრუნველყოფილ იქნენ სამედიცინო დახმარებით, ხოლო მეთვალყურისიანი, რომელთაც ესაჭიროებათ, — სანატორიულ-საკურორტო მკურნალობით თავდაცვის სამინისტროს პოლიკლინიკებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

სამედიცინო დახმარებისა და სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ასეთი უფლება ენიჭებათ აგრეთვე ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის ან შტატების შემცირების გამო თადარიგში დათხოვნილ პოლკოვნიკისა და მისი თანაბარი წოდების ოფიცრებს, რომლებმაც იმსახურეს 25 წელი და მეტი და დათხოვნის დღისათვის მიაღწიეს 45 წლის ასაკს, და მათი ოჯახების წევრებს, ხოლო გენერლებსა და აღმირალებს — ნამსახურობის წლისა და ასაკის მიუხედავად, და მათი ოჯახების წევრებს.

35. თუ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების (ნამდვილი ვადიანი სამხედრო მოსახურის მოსამსახურეთა ოჯახების გარდა) წევრებს არ შეუძლიათ მიიღონ სამედიცინო დახმარება სამოქალაქო ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, მათ გაეწევათ ყოველგვარი სამედიცინო დახმარება შესაბამის სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში სამხედრო მოსამსახურეთა თანაბრად.

36. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების (ნამდვილი ვადიანი სამხედრო მოსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების გარდა) წევრებს უფლება აქვთ მიიღონ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა საკუთარ ხარჯზე სამოქალაქო სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების წევრთათვის დაწესებული საგზურების ღირებულების ანაზღაურების ყველაზე შეღავათიანი პირობებით.

37. პენსიონერებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან და მათი ოჯახების წევრებს გაეწევათ ყოველგვარი სამედიცინო და საპროთეზო დახმარება სამოქალაქო ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში და მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროთა დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურე პენსიონერთა და მათი ოჯახების წევრთათვის დადგენილი წესით და თანაბარ პირობებში.

თ ა 3 0 v

შეღავათები განათლების დარგში

38. სასწავლებლებში სწავლის პერიოდში ნამდვილ სამხედრო მოსახურში გაწვეულ პირებს თადარიგში დათხოვნისას უნარჩუნდებათ უფლება ჩაირიცხოთ სწავლის გასაგრძელებლად იმავე სასწავლებელში და იმავე კურსზე, სადაც სწავლობდნენ ნამდვილ სამხედრო მოსახურში გაწვევამდე, ამასთან დაენიშნონ სტიპენდია სასწავლებელში აღდგენის დღიდან მორიგი საგამოცდო სესიის შედეგებამდე.

39. ნამდვილი სამხედრო მოსახურიდან დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი უმაღლეს სასწავლებელში მოწყობისას საარგებლობენ უპირატესობებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

40. ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან შტატების შემცირების გამო ნამდვილი სამხედრო მოსახურიდან დათხოვნილი ოფიცერთა შემადგენლო-



ბის პირები მიიღებინ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად:

უმაღლეს სასწავლებელთა პირველ და მომდევნო კურსებზე — ისინი, რომელთაც აქვთ დაუმათავრებელი ან დამთავრებული უმაღლესი სამხედრო განათლება;

უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე, სტიპენდიის მიცემით, — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი;

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა პირველ და მომდევნო კურსებზე — საშუალო სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი;

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა პირველ კურსზე — ისინი, რომელთაც აქვთ არანაკლებ რვა კლასის განათლება.

აღნიშნულ პირთა მიღება სასწავლებლებში ხორციელდება მოცემული უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლისათვის დაწესებული მიღების გეგმის დამატებით მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

დღის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა სტუდენტებს და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებათა მსმენელებს, რომლებიც მიღებული არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან პენსიის უფლების გარეშე დათხოვნილ ოფიცერთა რიცხვიდან, სტიპენდია მიეცემათ დამაკმაყოფილებელი შეფასების დროსაც.

41. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და დამთავრებული საშუალო განათლების მქონე სამხედრო მოსამსახურენი უმაღლეს სასწავლებელთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე მიიღებინ სამხედრო ნაწილების სარდლობის, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა მიმართებით და პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაციით.

42. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე სასწავლებლად სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხარჯზე სტიპენდიის მიცემით შეიძლება მიღებულ იქნენ მათი მუშაკები იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც დათხოვნილ იქნენ თადარიგში ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, ამასთან აღნიშნული სამსახურის დრო ჩათვლებათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟში.

43. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს ენიჭებათ უპირატესი უფლება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და კურსებზე მოწყობისას შესაბამისი პროფესიების შესასწავლად.

სწავლის პერიოდში აღნიშნულ პირებს მიეცემათ სტიპენდია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

44. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩინათა და ოფიცერთა შემადგენლობის პირთა შვილებს უფლება აქვთ დაუბრკო-

ლებლივ იქნენ მიღებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაწყებით, რკ-წლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

45. საზღვარგარეთიდან ან სსრ კავშირის შორეული ადგილებიდან ანდა შორეულ ადგილებში გადაყვანილ სამხედრო მოსამსახურეთა შვილებს უფლება აქვთ ჩააბარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე იმ პირობით, რომ ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადავიდნენ სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედში.

46. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთა ცოლების მიმართვიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში მოაწყობენ მათს შვილებს არსებულ საბავშვო ბაგებში, საბავშვო ბაღებსა და საბავშვო ბავა-ბაღებში, ამ საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

47. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა უღედო ბავშვები, აგრეთვე მათი არასრულწლოვანი და-ძმები, მშობლების მზრუნველობას მოკლებულნი, გაიგზავნებიან საბავშვო სახლებში, ჩვილ ბავშვთა სახლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებში, ყველა შემთხვევაში პირველ რიგში.

თ ა 3 0 VI

ტვირთზიდვისა და მგზავრობის შეღავათები

48. რკინიგზით, წყლის, საავტომობილო და საჰაერო გზებით ტვირთზიდვა და მგზავრობა, რაც ამ დებულების VI თავის შესაბამისად ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე, წარმოებს სამხედრო ტვირთზიდვისა და მგზავრობისათვის დაწესებული სათანადო დოკუმენტების მიხედვით.

49. თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე ტვირთზიდვისა და მგზავრობის უფლების მქონე ოჯახის წევრებს მიეკუთვნებიან: სამხედრო მოსამსახურის ცოლი, არასრულწლოვანი შვილები, სრულწლოვანი შვილები — მოსწავლეები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე არიან, აგრეთვე შვილები — I და II ჯგუფის ინვალიდები; სამხედრო მოსამსახურისა და მისი ცოლის მშობლები, რომლებიც მის კმაყოფაზე არიან: 60 წელზე უნესი მამა, 55 წელზე უნესი დედა ან I და II ჯგუფის ინვალიდი მამა და დედა, ასაკის მიუხედავად; სამხედრო მოსამსახურის ძმები, დები, ბაბუა და ბებია, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე არიან.

50. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ, ნამდვილ ზევადიან სამსახურში ან ნამდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკებად და მიჩმანებად ჩარიცხულ ან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ოფიცრის თანამდებობებზე გამოსაყენებლად გაგზავნილ პირთა, აგრეთვე, შეკრებებზე გაწვეულ, დისპანსერული, ამბულატორიული ან კლინიკური გამოკვლევისათვის გაგზავნილ სამხე-

დრო მოსამსახურეთა გადაყვანა ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე;

საცხოვრებელი ადგილიდან გამწვევი კომისიის ადგილსამყოფელამდე და უკან საცხოვრებელ ადგილამდე, თუ არ ჩაირიცხებიან (გაიგზავნებიან) ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან არ გაიწვევიან შეკრებებზე;

გამწვევი კომისიის ადგილსამყოფელიდან საცხოვრებელ ადგილამდე შვებულებაში დაბოჯონისას პირადი საქმეების მოსაგვარებლად ნამდვილ სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის (გაგზავნის) შემთხვევაში და უკან გამწვევი კომისიის ადგილსამყოფელამდე;

სამედიცინო დაწესებულებებში ხელახალი საექიმო შემოწმებისათვის, სამკურნალო, დისპანსერული, ამბულატორიული ან კლინიკური გამოკვლევისათვის და უკან სამხედრო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებით;

სამსახურის ან შეკრების ადგილამდე;

საცხოვრებელ ადგილამდე ნამდვილი სამხედრო სამსახურის ან შეკრების დამთავრების შემდეგ.

51. სამხედრო სასწავლებელში მოსაწყობად გაგზავნილ პირებს უფლება აქვთ იმგზავრონ საცხოვრებელი ადგილიდან სამხედრო სასწავლებლამდე ანდა მიმღები ან სამხედრო-საექიმო (საექიმო-საფრენოსნო) კომისიის ადგილსამყოფელამდე თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე;

თუ აღნიშნული პირები არ მიიღებიან სამხედრო სასწავლებლებში, მათ აქვთ ასეთივე უფლება უკან მგზავრობის დროსაც.

52. ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ იმგზავრონ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე მათთვის დაწესებული შვებულების დროს, სამსახურებრივ მივლინებებში და უკან, აგრეთვე სამსახურებრივი გადაყვანისა და გადაადგილებისას.

53. ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს შვებულებაში ყოფნის (დაბოჯონის) პერიოდში უფლება აქვთ უფასოდ იმგზავრონ შინასაქალაქო ტრანსპორტით (ტრამვაი, ავტობუსი, ტროლეიბუსი, მეტრო, წყლის გადასასვლელები), გარდა ორგანიზებული მგზავრობისა ქვედანაყოფის, რაზმის შემადგენლობაში).

54. სამხედრო სასწავლებელთა მსმენელებსა და კურსანტებს, სუვოროველებსა და ნახიმოველებს უფლება აქვთ იმგზავრონ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე ერთ-ერთი საარდადეგო შვებულების (მაგრამ არა უმეტეს ერთისა სასწავლო წლის განმავლობაში), ავადმყოფობის გამო შვებულების დროს და უკან.

55. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს უფლება აქვთ იმგზავრონ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე მორიგი შევებულების, ავადმყოფობის გამო შევებულების (თუ სამხედრო-საექიმო კომისია საჭიროდ მიიჩნევს სამხედრო მოსამსახურის ადგილსამყოფელის შეცვლას), სამსახურებრივი მივლინების დროს და უკან, აგრეთვე სამსახურებრივი გადაყვანისა და გადაადგილებისას.

56. სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში სამკურნალოდ გაგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ იმგზავრონ მკურნალობის ადგილამდე და უკან თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე.

57. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ოფიცერთა შემადგენლობის პირთა თანამდებობაზე დანიშვნის, სამსახურებრივი გადაყვანისა და გადაადგილების ან ექვს თვეზე მეტი ხნით სამსახურებრივი მივლინების დროს, თუ ეს დაკავშირებულია გადასვლასთან, აგრეთვე სამხედრო ნაწილის დაბინავების ადგილის შეცვლის შემთხვევაში, აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, უფლება აქვთ იმგზავრონ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე ახალი სამსახურის ადგილამდე, სამსახურებრივი მივლინების ადგილამდე ან სამხედრო ნაწილის დაბინავების ახალ ადგილამდე.

აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრები, რომლებიც ცალკე ცხოვრობენ, ამ შემთხვევებში სარგებლობენ ასეთივე უფლებით იმგზავრონ საცხოვრებელი ადგილიდან სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურის ან ექვს თვეზე მეტი ხნით სამსახურებრივი მივლინების ადგილამდე მათთან ერთად საცხოვრებლად.

ასეთივე შეღავათით სარგებლობენ ვადიანი და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და თადარიგის ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახების წევრები ამ სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურის ადგილამდე მგზავრობისას მათთან ერთად საცხოვრებლად ნამდვილ ზევადიან სამსახურში ანდა ნამდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკად და მიჩმანად ჩარიცხვასთან, ზევადიან სამსახურში დატოვებასთან, ნამდვილ სამხედრო სამსახურში თადარიგის ოფიცერთა შემადგენლობის პირთა გაწვევასთან ან ნებაყოფლობით წასვლასთან დაკავშირებით.

ეს შეღავათი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთხელ მოცემული სამსახურის ან სამსახურებრივი მივლინების თითოეულ ადგილზე მგზავრობისათვის.

58. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახების წევრებს სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებების მიერ ვაცემული საგზურებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში

სამკურნალოდ გაგზავნისას უფლება აქვთ იმგზავრონ იქეთ-აქეთ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე.

59. თუ სამხედრო-საექიმო კომისია საჭიროდ მიიჩნევს, რომ სამხედრო მოსამსახურეს ან მისი ოჯახის წევრს ავადმყოფობის გამო შვებულებაში წასვლისას, სამკურნალო ან სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებაში უნდა ახლდეს გამყოლი, ამ გამყოლს უფლება აქვს იმგზავროს იქეთ-აქეთ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე.

60. სამხედრო მოსამსახურის (ნამდვილ ვაღიან სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურის გარდა) მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს უფლება აქვს იმგზავროს თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე თავისი საცხოვრებელი ადგილიდან ავადმყოფის ადგილსამყოფელამდე და უკან.

ეს შეღავათი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთხელ სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობის განმავლობაში.

61. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ ზევდიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, აგრეთვე მათი ოჯახების წევრებს უფლება აქვთ იმგზავრონ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან დათხოვნილის მიერ არჩეულ საცხოვრებელ ადგილამდე.

ეს შეღავათი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

62. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ უფროსი და უმაღლესი ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, რომელთაც უნარჩუნდებათ სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის უფლება (ამ დებულების 34-ე პუნქტი), უფლება აქვთ იმგზავრონ იქეთ-აქეთ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს მითითებით სტაციონარული მკურნალობისათვის, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში წასვლისას, ხოლო მათი ოჯახების წევრებს — სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული საგზურების მიხედვით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში წასვლისას (ერთხელ წლის განმავლობაში).

63. სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს უფლება აქვს იმგზავროს დაკრძალვის ადგილამდე და უკან (მაგრამ არა უმეტეს სამი კაცისა), აგრეთვე იმგზავროს ოჯახის მიერ არჩეულ ახალ საცხოვრებელ ადგილამდე (სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში) თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე.

გარდაცვლილი (დაღუპული) სამხედრო მოსამსახურე დაიკრძალება მისა უკანასკნელი სამსახურის ადგილზე თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება სამხედრო ოლქის ჯარების (ჯარების ჯგუფის, ფლოტის) სარდლის, შინაგანი ჯარების უფროსის გადაწყვეტილებით

მწვიდობიან დროს სამხედრო (სამოქალაქო) მოვალეობის შესრულებისას დალუპული ან საერთო დაავადების შედეგად გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის გვამი გადატანილ იქნეს სხვა ადგილზე დასაქრძალავად (ხელახლა დასაქრძალავად).

64. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ოფიცერთა შემადგენლობის პირთა, აგრეთვე მათი ოჯახების წევრთა საკუთარი ქონების (საოჯახო ნივთების) გადაზიდვა ნამდვილ სამხედრო მოსამსახურეში გაწვევის, ჩარიცხვის ან გაგზავნის, თანამდებობაზე დანიშვნის, სამსახურებრივი გადაყვანისა და გადაადგილების, ექვს თვეზე მეტი ხნის სამსახურებრივი მივლინების და სამხედრო ნაწილის დაბინავების ადგილის შეცვლის დროს ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე.

ასეთივე შეღავათით სარგებლობენ აღნიშნული სამხედრო მოსამსახურენი ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნასთან ან სამსახურიდან გადადგომასთან დაკავშირებით და მათი ოჯახების წევრები, აგრეთვე დალუპულ ან გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან ოჯახის მიერ არჩეულ ახალ საცხოვრებელ ადგილზე მგზავრობისას. ეს შეღავათი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის ან გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

შეღავათი მიეცემათ რკინიგზით, წყლის ან საავტომობილო გზებით ქონების გადასაზიდად სატვირთო სიჩქარით (როგორც ტვირთი) სამხედრო მოსამსახურეზე არა უმეტეს 600 კილოგრამის ოდენობით და ოჯახის თითოეულ წამსვლელ წევრზე 200 კილოგრამის, სულ კი ოჯახის წევრებზე არა უმეტეს 1000 კილოგრამის ოდენობით.

ქონების გადაზიდვა შეიძლება ბაგაჟის სახითაც, მაგრამ ამ შემთხვევებში აღნიშნული ნორმები ორჯერ შემცირდება.

65. პოდპოლკოვნიკის, მისი თანაბარი და მეტი წოდების ოფიცერთა შემადგენლობის პირებს დებულების ამ თავში გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლება აქვთ იმგზავრონ ჩქარი და სამგზავრო მატარებლების რბილ ვაგონებში. აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრები სარგებლობენ ასეთივე უფლებით ამ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად მგზავრობისას მათი თანამდებობაზე დანიშვნის, სამსახურებრივი გადაყვანისა და გადაადგილების, ექვს თვეზე მეტი ხნით სამსახურებრივი მივლინების, თადარიგში დათხოვნის ან სამსახურიდან გადადგომის შემთხვევაში.

დანარჩენ სამხედრო მოსამსახურეებს, მათი ოჯახების წევრებსა და ავადმყოფთა გამყოლ პირებს უფლება აქვთ იმგზავრონ ჩქარი და სამგზავრო მატარებლების რბილ ვაგონებში სამკურნალო და სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებებში გაგზავნისას მხოლოდ იმ პირობით, თუ სამხედრო-საექიმო კომისია შეუძლებლად მიიჩნევს მათს მგზავრობას მაგარ ვაგონში.

რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო ან საჰაერო ტრანსპორტით თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე ყველა სხვა პირის შესაბამისი შეღავათებით მგზავრობის უფლებას განსაზღვრავენ თავდაცვის მინისტრი ან მისი პირველი მოადგილეები.

66. თავდაცვის მინისტრის, მისი პირველი მოადგილეების ან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მითითებით სამხედრო მოსამსახურენი და მათი ოჯახები შეიძლება გადაყვანილ იქნენ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე სხვა შემთხვევებშიც, რომელთაც არ ითვალისწინებს დებულების ეს თავი.

საფოსტო შეღავათები

თ ა ზ ი VII

67. ვადიანი სამსახურის ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა წერილები, რომელთაც გზავნის სამხედრო ნაწილი, უფასოდ იგზავნება. ასევე უფასოდ იგზავნება წერილები, რომლებიც მისდით ვადიანი სამსახურის ჯარისკაცებს, მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს მათი სამსახურის ადგილზე.

68. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ მოქალაქეთა საკუთარ ტანსაცმელს სამხედრო ნაწილები გაგზავნიან მათ მიერ მითითებულ მისამართზე უფასო საფოსტო ამანათებით.

69. ვადიანი სამსახურის ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა სახელზე გაგზავნილი საფოსტო ამანათების დამატებით გაგზავნისა და დაბრუნებისათვის ქირა არ გადახდებათ.

თ ა ზ ი VIII

ფულადი დახმარება

70. მიძიმე ავადმყოფობის, დაჭრის, კონტუზიის, დასახიჩრების ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით გამოწვეული მეტისმეტი გადაღლის შემთხვევებში სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება მიეცეთ თავდაცვის სამინისტროს სახსრების ხარჯზე ფულადი დახმარება სამკურნალოდ და ჯანმრთელობის აღსადგენად.

დახმარების ოდენობასა და მისი გაცემის წესს განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტრო.

71. ვადიანი სამსახურის ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა შეილებს ოჯახის უფროსის მიერ ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში დაენიშნებათ და მიეცემათ დახმარება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

აღნიშნული დახმარება მიეცემათ აგრეთვე სასწავლო შეკრებებზე გაწვეულ იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა, ზემდეგთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და თადარიგის ოფიცერთა შემადგენლობის პირთა შეილებს, რომლებიც ამ შეკრებებზე გაწვევის მომენტში დროებით არ მუშაობენ.

შეღავათები შრომისა და სოციალური დაზღვევის დარგში

72. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ, ნამდვილ ზევადიან სამსახურში ან ნამდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკებად და მიჩმანებად ჩარიცხულ, ანდა სამხედრო სასწავლებლებში მიღებულ, ნამდვილ სამხედრო სამსახურში ოფიცერთა თანამდებობებზე გამოსაყენებლად გაგზავნილ მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებსა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებიც სტიპენდიას იღებენ, მიეცემათ გასასვლელი დახმარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად დაშვებულ პირებს მიეცემათ შვებულება გამოცდებზე გამოსაცხადებლად და ჩასაბარებლად, ამასთან სამუშაო ადგილზე შეუნარჩუნდებათ თანამდებობა და საშუალო გამოიმუშავება გამოცდების ჩაბარებისა და იქეთ-აქეთ მგზავრობის დროს.

73. შეკრებებზე გაწვეულ ან მეთაურთა მეცადინეობებზე გაგზავნილ მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს შეკრებების (მეთაურთა მეცადინეობების) დროს, სამხედრო ნაწილამდე და უკან მგზავრობის დროის ჩათვლით, შეუნარჩუნდებათ დაკავებული თანამდებობა (სამუშაო) და მიეცემათ სამუშაო ადგილზე საშუალო გამოიმუშავება.

აღნიშნული პირები არ ექვემდებარებიან სამუშაოდან დათხოვნას შეკრებიდან (მეთაურთა მეცადინეობიდან) დაბრუნებამდე გაწვევის შესახებ უწყების მიღების დღიდან, გარდა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა.

იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევაში, სადაც მუშაობდა სამხედრო ვალდებული, შეკრების (მეთაურთა მეცადინეობის) დროს კუთვნილ გამოიმუშავებას ან სხვა მატერიალურ უზრუნველყოფას მას. გადაუხდის ლიკვიდირებული საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან მათი უფლებამონაცვლე, ანდა ის სამინისტრო, სახელმწიფო კომიტეტი, უწყება, რომელსაც ისინი ექვემდებარებოდნენ ლიკვიდაციამდე.

თუ სამხედრო ვალდებული ავად გახდა შეკრების (მეთაურთა მეცადინეობის) დროს და ავად არის მისი დამთავრების შემდეგაც, მას დადგენილი წესით შეუნარჩუნდება სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ხოლო შეკრების (მეთაურთა მეცადინეობის) დამთავრების დღიდან, ნაცვლად ხელფასისა, ამ პერიოდში მიეცემა დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამხედრო კომისარიატების მიერ დისპანსერული, ამბულატორიული ან კლინიკური გამოკვლევისათვის გაგზავნილ სამხედრო ვალდებულებს სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში შეუნარჩუნდებათ მუშაობის, სწავლის ადგილი, დაკავებული თანამდებობა და საშუალო გამოიმუშავება (სტიპენდია).

74. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ (ჩარიცხულ, გაგზავნილ), ხოლო შემდეგ თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ მუშებსა და მოსამსახურეებს (დროებითისა და სეზონურის გარდა), აგრეთვე კოლმეურნეებს უფლება აქვთ დაუბრუნდნენ წინანდელ სამუშაო ადგილს (თანამდებობას), თუ ნამდვილ სამხედრო სამსახურში მათი გაწვევის (ჩარიცხვის, გაგზავნის) დღიდან არ გასულა სამ თვეზე მეტი, საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობისათვის საჭირო დროის ჩაუთვლელად.

განმეორებით გაწვევისას გასასვლელი დახმარება გაიცემა საერთო საფუძველზე.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული პირის დაბრუნების შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს გააუქმოს შრომითი ხელშეკრულება ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულის ნაცვლად სამუშაოზე მიღებულ მუშა-მოსამსახურესთან, ამასთან მისცეს გასასვლელი დახმარება ორი კვირის საშუალო გამოიმუშავების ოდენობით.

75. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც ხელფასის უკანასკნელი ადების დღისათვის ჰქონდათ ბავშვის დაბადების გამო დახმარების უფლება, ინარჩუნებენ ამ უფლებას ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში, თუ ბავშვი დაიბადა აღნიშნული დღიდან ცხრა თვის განმავლობაში.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული მუშის ან მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში ან მისი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გაიცემა დახმარება დაკრძალვისათვის, თუ მისთვის ხელფასის უკანასკნელი მიცემის დღიდან ერთ თვეზე მეტი არ გასულა.

აღნიშნული დახმარება დაინიშნება და გაიცემა ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშის ან მოსამსახურის სამუშაო ადგილზე დადგენილი წესით.

76. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა ყოფნის დრო ითვლება მათს საერთო შრომით სტაჟში, აგრეთვე უწყვეტ შრომით სტაჟში და სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეულ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებს ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის დრო ეთვლებათ, გარდა ამისა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო მუშაობის სტაჟში.

77. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მიმართვის მომენტიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში სამუშაოდ აწყობენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირთა ცოლებს.

78. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელები თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ ვადიანი და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს,

მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს აძლევენ მათი სპეციალობის გათვალისწინებით სამუშაოს მიმართვის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე საწარმოებში, დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში მომუშავე პირებს უნარჩუნდებათ უფლება მოეწყონ აღნიშნული პირობებით სამუშაოდ იმავე საწარმოში, დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში. ამასთან ნამდვილ სამხედრო სამსახურში თადარიგიდან ორისამი წლით გაწვეულ ოფიცერთა შემადგენლობის პირებს მიეცემათ იმაზე არანაკლები თანამდებობა, რაც ეკავათ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე.

79. მუშები და მოსამსახურეები თადარიგში დათხოვნილ ანდა გადამდგარ ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა, პრაპორშჩიკთა, მიჩმანთა და ოფიცერთა შემადგენლობის პირთა რიცხვიდან სარგებლობენ, სხვა თანაბარ პირობებში სამუშაოზე უპირატესი დატოვების უფლებით მუშაკთა რაოდენობის ან შტატის შემცირებისას.

მუშები და მოსამსახურეები ზემოაღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სარგებლობენ ამ შეღავათებით მხოლოდ იმ მუდმივ სამუშაოზე, რომელზეც ისინი მოეწყვნენ პირველად ნამდვილ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ.

80. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც დადებული აქვთ შრომითი ხელშეკრულებანი საწარმოებში, მშენებლობებზე, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში მუშაობის შესახებ, აგრეთვე გაზაფხილი არიან ორგანიზებული შეგროვების წესით ანდა მათი გადასახლებისას, მიეცემათ დამატებითი შეღავათები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

81. ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში სამუშაოდ მოწყობილ სამხედრო მოსამსახურეებს ამ რაიონებსა და ადგილებში, მუშაობის შეღავათები მიეცემათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981

წლის 17 თებერვლის № 193 დადგენილებით

ნ უ ს ს ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 5 აგვისტოს № 596 დადგენილება „სამხედრო-საწარმოო სამსახურის გაუქმებასთან, საოჯახო-ქონებრივი მდგომარეობის გამო ერთიანი შეღავათის დაწესებასთან და სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის კატეგორიების შეცვლასთან დაკავ-

შირებით სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის შეცვლის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1931 წ., № 50, მუხ. 331).

2. II განაყოფის მე-10 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 8 ივლისის № 1066 დადგენილებისა „სავადასახადო რეფორმასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კანონმდებლობის შეცვლის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1932 წ. № 56, მუხ. 337).

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 14 დეკემბრის № 10875 განკარგულება.

4. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 აპრილის № 462 დადგენილებისა „გარდაცვილი, ბრძოლებში დაღუპულ და ფრონტზე უგზოუკვლოდ დაკარგულ წითელი არმიის გენერალთა და უფროსი მეთაურთა შემადგენლობის პირთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ“.

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 12 მაისის № 509 დადგენილება „სახელმწიფო უშიშროების გენერალთა, კომისართა, მილიციის კომისართა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის უფროსი მეთაურთა შემადგენლობის პირთა (მაიორთა, პოდპოლკოვნიკთა და პოლკოვნიკთა) ოჯახებზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 აპრილის № 462 დადგენილების გავრცელების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს შინაგანი ჯარებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლესი და უფროსი ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართობის დამტკიცებას.

6. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 31 მაისის № 618 დადგენილება „სამხედრო-საზღვაო ფლოტზე „გარდაცვილი, ბრძოლებში დაღუპულ და ფრონტზე უგზოუკვლოდ დაკარგულ წითელი არმიის გენერალთა და უფროსი მეთაურთა შემადგენლობის პირთა ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 აპრილის № 462 დადგენილების გავრცელების თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი და უფროსი ოფიცერთა შემადგენლობის პირთა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართობის დამტკიცებას.

7. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 10 სექტემბრის № 2311-595 დადგენილების მე-7 პუნქტი.

8. მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 14 სექტემბრის № 2358 დადგენილებისა იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი ჯარებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართობის დამტკიცებას.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 7 ივლისის № 2417 დადგენილება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს, სსრ კავშირის

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების ანაზღაურების წესის შესახებ“ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი ჯარების, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა მიმართ.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 მარტის № 6927 განკარგულება.

11. მე-3 და მე-4 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 8 სექტემბრის № 2364 დადგენილებისა „საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან თადარიგში დათხოვნილ ოფიცერთა შრომითი მოწყობის შესახებ“.

12. მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 სექტემბრის № 2508 დადგენილებისა „საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან თადარიგში დათხოვნილ ან გადამდგარ ოფიცერთა მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 დეკემბრის 2415-1154 დადგენილებით დამტკიცებული წესდების დანართი.

14. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 9 ივლისის № 924 დადგენილებისა „საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 იანვრის № 41 დადგენილება „შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შემცირების შესახებ“.

16. 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 1 ივლისის № 744 დადგენილებისა „საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური მშენებლობის განსახორციელებლად გენერალთა, ადმირალთა და უფროს ოფიცერთათვის მისაცემი მიწის ნაკვეთებისა და ფულადი სესხების ოდენობის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 13, მუხ. 102; 1961 წ., № 4, მუხ. 23) იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს მიწის ნაკვეთების გამოყოფას საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი ჯარებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გენერალთა, ადმირალთა და უფროს ოფიცერთათვის.

17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ოქტომბრის № 852 დადგენილება.

18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 აპრილის № 298 დადგენილება.

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 თებერვლის № 130 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ოქტომბრის № 862 დადგენილების დამატების შესახებ“.

20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 1370 განკარგულება.



21. მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ნოემბრის № 845 დადგენილებისა „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პრაპორ-შჩიკთა და მიჩმანთა შესახებ“.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 15 სექტემბრის № 679-222 დადგენილება.

31 **სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების დეპარტამენტის დაგეგმვის განყოფილების განცხადებით** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 თანდართული დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუნწარიძე**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 24 მარტი, № 192

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 209

1981 წლის 23 თებერვალი

მოსკოვი, კრემლი

სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების დეპარტამენტის დეპარტამენტის განყოფილების განცხადებით

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 მარტის № 229 დადგენილებასთან — „სსრ კავშირის კანონთა წიგნის საკითხები“ — დაკავშირებით და სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა სიმრავლის აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება სამამულო ომის ინვალიდების^ა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების შესახებ და ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგულ გადაწყვეტილებათა ნუსხა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ნ. ბინონოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების შესახებ

I

სამედიცინო მომსახურების, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისა და დახმარების მიცემის შეღავათები

1. სამამულო ომის ინვალიდებს აქვთ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში უპირატესი მომსახურების და რიგგარეშე ჰოსპიტალიზაციის, პენსიაზე გადასვლის შემდეგ იმ პოლიკლინიკების მიერ მომსახურების უფლება, რომლებთანაც იყვნენ მიმავრებული მუშაობის პერიოდში, კბილის პროთეზების (ძვირფასი ლითონების პროთეზების გარდა) უფასო დამზადებისა და რემონტის, აგრეთვე დადგენილი წესით პროთეზებითა და სხვა საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფის, ექიმის რეცეპტების მიხედვით წამლის უფასოდ მიღების უფლება.

სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტლების ლიკვიდაცია არ შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და თავდაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

2. სამამულო ომის მომუშავე ინვალიდებს დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო მიეცემათ გამომუშაების 100 პროცენტის ოდენობით, მუშაობის უწყვეტი სტაჟის მიუხედავად.

დახმარება საერთო დაავადებით გამოწვეული დროებითი შრომისუუნარობის გამო სამამულო ომის ინვალიდებს მიეცემათ ოთხ თვემდე ზედღირად ან ხუთ თვემდე კალენდარული წლის განმავლობაში.



3. სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდთა სამკურნალოდ და რეაბილიტაციისათვის და უკან სამგზავროდ მორიგი და დამატებითი შევსებების უკმარისობისას ნებადართულია მათ მიეცეთ საავადმყოფო ფურცლები საჭირო დღეების რაოდენობით და დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და რის ხარჯზე მისცა საგზური.

4. სამამულო ომის ინვალიდებს პირველ რიგში მიეცემათ სამუშაო ადგილზე სანატორიუმების, პროფილაქტიკურიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, გაივზავნებიან ამბულატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, ხოლო მათ შეილება მიეცემათ პიონერთა ბანაკების საგზურები.

საკავშირო პროფსაბჭო, სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ყოველწლიურად გამოყოფენ სამამულო ომის ინვალიდთათვის სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის არსებული საგზურების არანაკლებ 10 პროცენტს. აღნიშნული საგზურების განაწილების წესს განსაზღვრავს საკავშირო პროფსაბჭო, ხოლო თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საგზურების განაწილების წესს — ეს სამინისტროები და კომიტეტი.

სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებიც არ მუშაობენ, უფასოდ უზრუნველყოფენ საგზურებით შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოები.

სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდებს, მათი სურვილისამებრ, სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის საგზურის ნაცვლად მიეცემათ ორ წელიწადში ერთხელ ფულადი კომპენსაცია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

5. სამამულო ომის ინვალიდის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს მიეცემათ დაკრძალვისათვის დახმარება მისთვის დანიშნული პენსიის ორი თვის თანხის ოდენობით. ოჯახის წევრთა არარსებობის შემთხვევაში დახმარება მიეცემათ სხვა პირებს, რომლებმაც იკისრეს გარდაცვლილი ინვალიდის დაკრძალვის მოვალეობანი, დაკრძალვის ფაქტიური ღირებულების ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს აღნიშნული პენსიის ორი თვის თანხისა.

6. სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებიც პენსიას იღებენ, მიეცემათ დახმარება ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ოჯახის გარდაცვლილი წევრის დასაკრძალავად, რომელიც მის კმაყოფაზე იყო, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ნორმების მიხედვით.

II

სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფისა და მგზავრობის ანაზღაურების შეღავათები

7. სამამულო ომის ინვალიდებს დაწესებული სამედიცინო ჩვენებების არსებობისას უფასოდ მიეცემათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო-

ების მიერ განსაზღვრული წესით შვიდი წლის ექსპლუატაციის ვადით ერთ მსუბუქი ხელით სამართავი ავტომობილი „ზაპოროჟეცი“, ხოლო ავტომობილის ტარების უკუჩვენების არსებობისას, მაგრამ მოტოეტლის ტარების უკუჩვენების არარსებობისას — ხუთი წლის ექსპლუატაციის ვადით ერთი მოტოეტლი. ავტომობილი და მოტოეტლი გაიცემა უფასოდ გაყიდვისა და გადაცემის უფლების გარეშე.

8. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დემუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ ნება დართონ დაწესებული სამედიცინო ჩვენებების არსებობისას ცალკეულ შემთხვევებში შვიდი წლის ექსპლუატაციის ვადით სამამულო ომის I და II ჯგუფის იმ ინვალიდთათვის „ზაპოროჟეცი“ მარკის ავტომობილის უფასოდ მიცემა (გაყიდვისა და გადაცემის უფლების გარეშე), რომელთაც აქვთ ავტომობილის ტარების უკუჩვენება, თუ ინვალიდის მომსახურებისათვის ავტომობილის ტარება შეუძლია მასთან მუდმივად მცხოვრებ ოჯახის წევრს.

მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს უფლება ეძლევათ უფასოდ მისცენ სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდ (მხედველობით) საბჭოთა კავშირის გმირებსა და სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალრებს ავტომობილი „ზაპოროჟეცი“ შვიდი წლის ექსპლუატაციის ვადით გაყიდვის უფლების გარეშე.

9. სამამულო ომის ინვალიდთა მომარაგება სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე მოტოეტლების კაპიტალური რემონტი მათი გაცემის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განსაზღვრავენ მოტოეტლების კაპიტალური რემონტის ჩატარების წესს, აგრეთვე ამტკიცებენ მათი მიმდინარე რემონტისა და პროფილაქტიკური დათვალიერებისათვის მომსახურების ფასების პრეისკურანტს.

10. სამამულო ომის იმ ინვალიდის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც უფასოდ მიიღო მსუბუქი ავტომობილი ან მოტოეტლი, ეს ავტომობილი ან მოტოეტლი საკუთრებად რჩება მის ოჯახს.

11. სამამულო ომის ინვალიდებს, რომლებმაც უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიიღეს მსუბუქი ავტომობილები ან მოტოეტლები, აგრეთვე ომის I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებმაც საცალო ფასებში შეიძინეს მსუბუქი ავტომობილები, უნაზღაურებლათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით ბენზინის, რემონტის, ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯები.

12. ჩვეულებრივ სამართავი მსუბუქი ავტომობილები სამამულო ომის ინვალიდებს საცალო ფასებში მიეყიდებათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ განსაზღვრული წესით.

13. სამამულო ომის ინვალიდებს უფლება ენიჭებათ უფასოდ იმგზავრონ ყოველგვარი საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) და საერთო

სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) სოფლად სარგებელი ადგილის მიხედვით აღმინისტრაციული რაიონის ფარგლებში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით განსაზღვრული წესით, აგრეთვე საგარეუბნო რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტით და საგარეუბნო მარშრუტების ავტობუსებით.

14. სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდები სარგებლობენ უფლებით უფასოდ იმგზავრონ რკინიგზით ან სამდინარო ფლოტის სატრანზიტო და ადგილობრივი ხაზების გემებით წელიწადში ერთხელ (იქეთ-აქეთ), ხოლო რაიონებში, სადაც სარკინიგზო მიმოსვლა არ არის, 50 პროცენტი ფასდაკლებით — საპაერო, წყლის ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით. I ჯგუფის ინვალიდთა გამყოფ პირებს (არა უმეტეს ერთი გამყოლისა) უფლება ეძლევათ იმგზავრონ აღნიშნული ტრანსპორტით 50 პროცენტი ფასდაკლებით.

სამამულო ომის III ჯგუფის ინვალიდები მგზავრობის ღირებულების 50-პროცენტია ფასდაკლებით სარგებლობენ წელიწადში ერთხელ (იქეთ-აქეთ) რკინიგზით, ხოლო რაიონებში, სადაც სარკინიგზო მიმოსვლა არ არის, — წყლის, საპაერო ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით.

III

საბინაო-საყოფაცხოვრებო შეღავათები

15. სამამულო ომის ინვალიდებსა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ, პირველ რიგში მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების მიერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის ხარჯზე.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამამულო ომის ინვალიდებსა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

16. სამამულო ომის ინვალიდებს ეძლევათ სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის 1.500 მანეთის ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მესამე წლიდან. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის, კოოპერაციული საბინაო მშენებლობისა და კუთვნილი სახლების კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად სამამულო ომის ინვალიდთათვის მიცემული სესხით სარგებლობის გამო პროცენტების გადახდევინება არ ხდება.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისა და სახლების კაპიტალური რემონტისათვის ადგილობრივი საშენი მასალები სამამულო ომის ინვალიდებსა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ეძლევათ პირველ რიგში.

17. საცხოვრებელი ფართობისათვის (მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში), რომელიც უკავიათ სამამულო ომის ინვალიდებსა და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე ოჯახებს, რომლებიც იღებენ პენსიას დაღუპული სამხედრო მოსამსახურისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო, იხდიან ქირას მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით გამოანგარიშებული ბინის ქირის 50 პროცენტის ოდენობით, ხოლო ზედმეტი საცხოვრებელი ფართობისათვის (15 კვადრატულ მეტრამდე) — ერთმაგად.

სამამულო ომის ინვალიდებსა და მათთან ერთად მცხოვრებ მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე ოჯახებს, რომლებიც იღებენ პენსიას დაღუპული სამხედრო მოსამსახურისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო, ეძლევათ შედავათი გათბობით, წყალსადენით, გაზითა და ელექტროენერგიით სარგებლობისათვის დაწესებული ქირის 50 პროცენტის ოდენობით.

სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპული სამხედრო მოსამსახურისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღები ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართობის ქირისა და კომუნალურ გადასახდელთა 50-პროცენტისანი შედავათის მიცემის წესს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

18. იმ სახლებში მცხოვრებ სამამულო ომის ინვალიდებს, რომელთაც არა აქვთ ცენტრალური გათბობა, ეძლევათ მოსახლეობისათვის მისაყიდად დაწესებული ნორმების ფარგლებში შეძენილი სათბობის ღირებულების 50-პროცენტისანი შედავათი.

19. სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების უზრუნველყოფა სათბობით ხორციელდება პირველ რიგში.

20. სამამულო ომის ინვალიდებს აქვთ ტელეფონის პირველ რიგში დადგმის უფლება, აგრეთვე სარგებლობენ უპირატესობით მებალეობის ამხანაგობებში (კოოპერატივებში) შესვლისას.

IV

შრომითი მოწყობის შედავათები

21. სამამულო ომის ინვალიდთა რაციონალური შრომითი მოწყობისა და ხელსაყრელ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში მათი ფართოდ ჩაბმის მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები აწესებენ ჯავშანს სამამულო ომის ინვალიდთა სამუშაოზე მისაღებად მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობის ორ პროცენტამდე ფარგლებში, დიფერენცირებულად თითოეული დარგისათვის.

საწარმოებში და მშენებლობებზე სამუშაოდ მიღებული ინვალიდები არ შედიან საწარმოს, მშენებლობის მუშაკთა საშუალო-სიობრივ რაოდენობაში.

22. სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობა და მათთვის ახალი პროფესიების (სპეციალობების) სწავლების ორგანიზაცია ეკისრებათ მოკავშირე

რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახელმწიფო კომიტეტებთან ერთად.

23. სამინისტროები და უწყებები, რომელთაც აქვთ კადრების მოსამზადებელი კურსები, მოვალენი არიან მიიღონ სასწავლებლად სამამულო ომის ინვალიდები საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნის შესაბამისად.

24. სამამულო ომის ინვალიდებს უფლება აქვთ გამოიყენონ მორიგი ყოველწლიური შვებულება მათთვის მოსახერხებელ დროს, აგრეთვე მიიღონ დამატებითი უხელფასო შვებულება წელიწადში ორ კვირამდე ვადით.

V

სხვა შეღავათები

25. სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის, გადასახდთა და გამოსაღებთა, შრომის პირობებისა და მისი ანაზღაურების შეღავათებისა და უპირატესობების, აგრეთვე სხვა შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭებას აწესრიგებენ სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებისა — მათთვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

26. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს უფლება აქვთ მათთვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

VI

შეღავათების უფლების მქონე პირთა წრე

27. სამამულო ომის ინვალიდებისათვის, მათ შორის ინვალიდებისათვის სამამულო ომის პარტიზანთა და შესაბამისი კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდნენ საომარი მოქმედების რაიონში, რკინიგზების ფრონტისპირა უბნებზე, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობის დროს სამამულო ომის პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების გამო და რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის სპეციალურ დადგენილებათა და განკარგულებათა თანახმად საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ გათანაბრებული არიან სამხედრო მოსამსახურებთან, ამ დებულებით გათვალისწინებული შეღავათები მინიჭებათ აგრეთვე:

ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო, ან-

და სხვა პერიოდებში ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, აგრეთვე ინვალიდებს სამოქალაქო ომის პარტიზანთა რიცხვიდან;

ინვალიდებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო.

ინვალიდებს 1944 წლის 1 იანვრიდან 1951 წლის 31 დეკემბრამდე უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ ტერიტორიაზე მოქმედი გამანადგურებელი ბატალიონების, ხალხის დაცვის ოცეულებისა და რაზმების მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ ამ ბატალიონებში, ოცეულებსა და რაზმებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო.

ამ დებულების მე-15, მე-16, მე-17 და მე-19 პუნქტებით დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის გათვალისწინებული შეღავათები მიენიჭებათ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა (სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო, აგრეთვე ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად დაღუპულ ან გარდაცვილ სამხედრო მოსამსახურეთა, პარტიზანთა და ამ პუნქტში აღნიშნულ უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირთა, მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის ოჯახებს;

დიდ სამამულო ომში დაღუპულ იმ პირთა ოჯახებს, რომლებიც შედიოდნენ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ობიექტობრივი და საავარიო რაზმების თვითდაცვის ჯგუფების პირად შემადგენლობაში, აგრეთვე ქალაქ ლენინგრადის ჰოსპიტლებისა და საავადმყოფოების დაღუპულ მუშაკთა ოჯახებს აღნიშნული შეღავათები მიენიჭებათ იმავე პირობებით, როგორც დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

28. სამამულო ომის ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ ინვალიდებს ეძლევათ შესაბამისად „სამამულო ომის ინვალიდის მოწმობა“ და „ინვალიდის შეღავათების უფლების მოწმობა“, რომლებიც დაწესებული შეღავათების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებია. აღნიშნულ მოწმობათა ფორმებს ამტკიცებს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, თავდაცვის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

დამტკიცებულია

 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენი-
 ლებით

ნ უ ს ხ ბ

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების შეღავათების დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 6 მაისის № 640 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1942 წ., № 5, მუხ. 76).

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 20 იანვრის № 73 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდთა შრომითი მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“.

3. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 14 ნოემბრის № 1252 დადგენილებისა „ქალაქ ლენინგრადის ადგილობრივი საპაე-რო თავდაცვის ფორმირებათა პირადი შემადგენლობის, მტრის მოქმედების შე-დეგად დაზარალებული ჰოსპიტალებისა და საავადმყოფოების მუშაკთა და მათი ოჯახების პენსიებისა და შეღავათების შესახებ“.

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 31 იანვრის № 101 დადგენილება „რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთათვის ინვალიდობის პენსიების დანიშვნისა და მიცემის წესის ინ-სტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1944 წ., № 3, მუხ. 47).

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 29 აგვისტოს № 2218-562 დადგენილების მე-17-20 პუნქტები.

6. მე-20 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 21 სექტემბრის № 2436 დადგენილებისა „დემობილიზებულთათვის, დაღუპულ მე-ომართა ოჯახებისათვის, სამამულო ომის ინვალიდებისა და სამხედრო მოსამსა-ხურეთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტები სამამულო ომის ინვალიდებისა-თვის, დაღუპულ მეომართა და პარტიზანთა ოჯახებისათვის შეღავათების მინი-ჭების ნაწილში.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 7 მაისის № 5175 განკარგუ-ლება.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 16 დეკემბრის № 18641 გან-კარგულება.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივლისის № 2442 დად-გენილება „სამამულო ომის ინვალიდების მოტოეტლებით უზრუნველყოფის შე-სახებ“, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს ამ დადგენილების 1-ლი და მე-2 პუნქტე-ბის მოქმედება იმ სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც შეღავათების მი-ხედვით გათანაბრებული არ არიან სამამულო ომის ინვალიდებთან.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 30 დეკემბრის № 21022 განკარგულება.
11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 23 აგვისტოს № 15208 განკარგულება იმ სამხედრო მოსამსახურეთა მოტოტელებით უზრუნველყოფის ნაწილში, რომლებიც შეღავათების მიხედვით გათანაბრებული არიან სამამულო ომის ინვალიდებთან.
12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 15 ივლისის № 17943 განკარგულება.
13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 26 ნოემბრის № 30901 განკარგულება.
14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 28 ნოემბრის № 31045 განკარგულება.
15. მე-6 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 3 ივლისის № 1664 დადგენილებისა „ინვალიდთათვის „ს-1-ლ“ მოტოტელების წარმოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 ივლისის № 2442 დადგენილების მე-3 და მე-4 პუნქტების მოქმედების გავრცელების ნაწილში.
16. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 იანვრის № 113 დადგენილებისა „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაწევისა და საავადმყოფო ფურცლების გაცემის მოწესრიგების შესახებ“.
17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 ოქტომბრის № 1095 დადგენილება „ინვალიდთა მოტოტელების რემონტის შესახებ“.
18. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ნოემბრის № 3100 განკარგულების მე-2 პუნქტი.
19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დადგენილება „ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ხელით სამართავი „ზაპოროჟეის“ მარკის ავტომობილებით სამამულო ომის ინვალიდთა და შეღავათების მიხედვით მათთან გათანაბრებულ სამხედრო მოსამსახურეთა უზრუნველყოფას.
20. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 140 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდთა და დიდ სამამულო ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა შეღავათების გაფართოების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ. 1965 წ., № 4, მუხ. 22), ამასთან შენარჩუნებულ იქნეს ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1010 დადგენილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირობა მიმართ.
21. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 მაისის № 401 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 140 დადგენილებით სამამულო ომის ინვალიდთათვის დაწესებული შეღავათების იმ სამხედრო მოსამსახურეებზე გავრცელების შესახებ, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს“ (სსრკ დადგ. კრებ., 1965 წ., № 13, მუხ. 96).



22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 ივლისის № 534 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროთა ორგანოების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის პირთა რიცხვიდან ინვალიდების ხელით სამართავი ავტომობილებით უზრუნველყოფის შესახებ“.

23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 18 აგვისტოს № 1681 განკარგულება.

24. 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ნოემბრის № 1019 დადგენილებისა „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაწევისა და საავადმყოფო ფურცლების გაცემის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 22 იანვრის № 113 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 თებერვლის № 87 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდებისა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან სხვა ინვალიდებისათვის საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის განსახორციელებლად სესხების მიცემის წესის შესახებ“ (სსრკ დადგკრებ., 1968 წ., № 4, მუხ. 19).

26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 მაისის № 334 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 და 1965 წლის 6 მარტის № 140 დადგენილებებით გათვალისწინებული შეღავათების გამანადგურებელი ბატალიონების, ხალხის დაცვის ოცულებისა და რაზმების მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის ინვალიდებზე გავრცელების შესახებ“.

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 თქტომბრის № 794 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 დეკემბრის № 1277 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ“ სამამულო ომის გარდაცვლილ ინვალიდთა და შეღავათების მიხედვით მათთან გათანაბრებულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების ნაწილში.

28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 14 მაისის № 334 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის ვარდა.

29. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 14 აგვისტოს № 667 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 14 მაისის № 334 დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების გამანადგურებელი ბატალიონების, ხალხის დაცვის ოცულებისა და რაზმების მებრძოლთა და მეთაურთა შემადგენლობის ინვალიდებზე გავრცელების შესახებ“.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 5 ნოემბრის № 825 დადგენილება „ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის შეცვლის შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს სამამულო ომის ინვალიდთა და შეღავათების მიხედვით მათთან გათანაბრებულ სამხედრო მოსამსახურეთა ავტომობილებით უზრუნველყოფის წესს.

31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 აპრილის № 307 დადგენილება „სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდ (მხედველობით) საბჭოთა კავშირის გმირთა და სამივე ხარისხის დიდების ორდენის კავალერთა „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილებით უზრუნველყოფის შესახებ“.

32. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 20 დეკემბრის № 1042 დადგენილებისა „სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 3, მუხ. 17).

33. 1-ლი პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 289 დადგენილებისა „ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 12, მუხ. 74) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 20 დეკემბრის № 1042 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ. № 3, მუხ. 17) მე-2 პუნქტში აღნიშნულ იმ ინვალიდთა კატეგორიებზე ზემოხსენებული დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის სესხების მიცემის წესისა და პირობების გავრცელების, ნაწილში, რომლებიც ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ცხოვრობენ.

34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 მაისის № 446 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 140 დადგენილების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათების ცალკეული კატეგორიების სამხედრო მოსამსახურეთა და შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის პირთა ოჯახებზე გავრცელების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 18, მუხ. 107).

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 დეკემბრის № 1092 დადგენილება „სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდთა სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

32 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 იანვრის № 89 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 იანვრის № 89 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.



2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 იანვრის № 89 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1551 დადგენილებისა „მშენებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი მუდმივი კადრების შექმნის ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 ნოემბრის № 661 დადგენილებით;

— 31-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილებით;

— 35-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 18 ივლისის № 896 განკარგულებით, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მისაღებ პირთა ასაკის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუციანია**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 27 მარტი, № 209

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 27 მარტის № 209 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის № 1351 დადგენილება „1954-1955 წლებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში მუშათა კადრების მომზადების გაფართოების შესახებ“.

2. მე-4 და მე-5 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 807 დადგენილებისა „ტექნიკური სასწავლებლის მოწყობის შესახებ საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის საწარმო-ტექნიკური მომზადებისათვის“.

3. მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და „ვ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 28 ოქტომბრის № 987 დადგენილებით „კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში უმოქმედო სასოფლო ელექტროსადგურების აღდგენისა და ელექტროსადგურების, ელექტროქსელის და სატრანსფორმატორო ქვესადგურების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 599 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 807 დადგენილების დამატების შესახებ“.

5. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 144 დადგენილებისა „კვალიფიციურ სასოფლო-სამეურნეო შრომაში ქალების უფრო ფართოდ ჩაბმის შესახებ“.

6. მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 იანვრის № 36 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

7. მე-11 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილებისა „სოფლად სატელეფონო კავშირის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 მარტის № 212 დადგენილების რედაქციით.

33 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრაზიდუმთან არსებული გუნდის დაცვის რესპუბლიკური კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წინადადება და დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრაზიდუმთან არსებული ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის თანდართული დებულება.

ძალადაქარგულად ჩაითვალოს ამ საკითხზე მიღებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 24 მაისის № 333 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე ბ. ხუნწარიძე.

დაგეგმვის საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 6 აპრილის № 222 დადგენილებით

დ ე ზ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიისა

1. ზოგადი ნაწილი

1. ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისია არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან.

2. კომისია ასრულებს საკოორდინაციო და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას საქართველოს სსრ ბუნების დაცვა-აღდგენისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით.

3. კომისიაში შედიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სპეციალისტები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და ბუნების დაცვასთან.

კომისიის პერსონალურ შემადგენლობას აკადემიის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

4. თავის მუშაობაში კომისია ემყარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საუწყებო სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევით-სა და სამეურნეო-პრაქტიკულ საქმიანობას, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას.

5. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე.

II. კომისიის მოვალეობანი

კომისიის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

1. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემათა კვლევის მაღალი მეცნიერული დონის უზრუნველყოფა.

2. საქართველოს სსრ ბუნების ისეთი ობიექტების გამოვლენა, რომელთა დაცვა-აღდგენა, აგრეთვე გამოყენების შეზღუდვა მოითხოვს შესაბამის საგანგებო ღონისძიებათა განხორციელებას.

3. თეორიულ-მეცნიერული დახმარების გაწევა იმ სამეცნიერო-კვლევითი და საუწყებო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ამუშავებენ სხვადასხვა ღონისძიებებს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით.

4. კონსულტაცია ბუნების დაცვა-აღდგენის პრაქტიკული განხორციელებისა და პროპაგანდის საკითხებზე.

5. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაცია.

6. რეკომენდაციების დამუშავება სანაკრძალო ტერიტორიებისა და ბუნების ძეგლთა რაციონალური ქსელის მოსაწყობად და ნაკრძალებისათვის სამეცნიერო-მეთოდური დახმარების გაწევა.

7. სამეცნიერო სესიების მოწყობა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე.

8. საქართველოს ბუნების დაცვის საკითხებზე სპეციალური წელიწდეულის გამოქვეყნება და სხვა ანალოგიური პუბლიკაციების ხელისშეწყობა.

9. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პროპაგანდა.

III. კომისიის მუშაობის წესები და ორგანიზაცია

1. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს ბიურო, რომელსაც კომისია ირჩევს თავის სხდომაზე და ამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში.

2. კომისიას შტატში ჰყავს სწავლული მდივანი.

3. კომისია საჭიროებისამებრ აყალიბებს სექციებს თავისი მუშაობის ძირითად მიმართულებათა მიხედვით.

4. კომისიის დაფინანსება ხორციელდება დადგენილ წესისა და ნორმების დაცვით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხარჯთაღრიცხვით.

5. კომისიას აქვს შტამპი და მრგვალი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისია“.

34 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 იანვრის ბრძანებულებებითან დაკავშირებული ზოგირითი საკითხის შესახებ

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებათა შესახებ“ და „ვადაზე შეუტანელ გადასახადთა და არასავადსახადო გადასახდელოთა გადახდევინების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 იანვრის ბრძანებულებების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1981 წლის 1 ივლისიდან:

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 22 ნოემბრის № 1299 დადგენილება „ისეთი სახის ქონების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით“ (საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1937 წ., № 19, მუხ. 143);



— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 5 ოქტომბრის № 1133 დადგენილება „ცალკეულ მოქალაქეთა იმ სახის ქონების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება გავრცელდეს საგადასახადო და არასაგადასახადო გადასახდელთა ნარჩენების გადახდევინება“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 23 აპრილის № 586 დადგენილება „მიწის რენტის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებისა და პირუტყვის პატრონთაგან გამოსაღების გადასახდევინებლად დასახლებული პუნქტების დანაწილების შესახებ“, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა ნაწილიში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 2 ივლისის № 398 დადგენილება „რიგითი და უმცროსი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა შენობის გადასახადისა და მიწის რენტის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 აპრილის № 203 დადგენილება „მოტორიანი ნაგებობების მფლობელებისათვის სატრანსპორტო გამოსაღების განაკვეთების დაწესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 მაისის № 285 დადგენილებაში „სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გამოსაღების გადახდისაგან ინვალიდთა განთავისუფლების შესახებ“ ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ქალაქებსა და საქალაქო ტიპის დაბებში მცხოვრები“.

3. დავვალის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წარმოდგინოს 1981 წლის 1 მაისამდე წინადადებანი საკოლმეურნეო ბაზრებზე ერთჯერადი გამოსაღების ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდევინების წესის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ ეს სახსრები მთლიანად მოხმარდება საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობას, გაფართოებას, კეთილმოწყობასა და ექსპლუატაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ხუციშვილი**.

ქ. თბილისი, 1981 წლის 6 აპრილი, № 223

35 ძალაჲ თბილისის საავთიანო სამმართველოს უაჲმინის უხსახუბ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა განახორციელა ქალაქ თბილისის მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტი-

კური დაწესებულებების სამკურნალწამლო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, რესპუბლიკის დედაქალაქში სამკურნალწამლო საშუალებებზე მოთხოვნის დაგეგმვის, მათი რაციონალური განაწილებისა და გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია. ქალაქის ცენტრალურ რაიონულ აფთიაქებთან და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან შექმნილია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მედიკამენტების რეზერვები ავადმყოფთათვის სასწრაფო დახმარების გასაწევად, აგრეთვე მედიკამენტების რეზერვი დიდი სამამულო ომის ინვალიდთა შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის. ქალაქ თბილისის სააფთიაქო დაწესებულებებში დაინერგა სამკურნალწამლო საშუალებებით მოსახლეობის გარანტირებული უზრუნველყოფის პროგრესული მეთოდი.

ამასთანავე ქალაქ თბილისის მოსახლეობისათვის სამკურნალწამლო დახმარების გაწევის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის გადაუჭრელი პრობლემები. კერძოდ, ქალაქ თბილისის მეტ წილ სააფთიაქო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს თანამედროვე აპსატურით, მოწყობილობით, განსაზღვრულ პირობებში სამკურნალწამლო საშუალებათა შესამზადებელი ან შესანახი სპეციალური სადგომებით მათი უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დაშვებულია შეცდომები მოთხოვნის დაგეგმვასა და რაიონულ ცენტრალურ აფთიაქებში არსებული მედიკამენტების განაწილებაში, სუსტია კონტროლი მათი სწორად რეალიზაციისათვის. აფთიაქები ხშირად პოლიკლინიკებთან ჯეროვანი კონტაქტის გარეშე მუშაობენ, ცუდად არის ორგანიზებული ექიმების ინფორმირება არსებული წამლების შესახებ, რაც მოსახლეობის სამართლიან საჩივრებს იწვევს.

ქალაქ თბილისში სააფთიაქო საქმის დაყენების შემდგომი გაუმჯობესებისა და მასში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს თბილისის საქალაქო სააფთიაქო სამმართველო მთავარი სააფთიაქო სამმართველოსათვის დამტკიცებული მმართველობის აპარატის საშტატო რიცხოვნობისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად ორი თვის ვადაში გამოყოს 250-300 კვადრატული მეტრი ფართობის შენობა თბილისის საქალაქო სააფთიაქო სამმართველოს აპარატის დასაბინავებლად.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

— შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახვენ მოსახლეობისათვის სამკურნალწამლო დახმარების გაწევის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას;

— უზრუნველყოს ექიმთა უფრო ზუსტი და ოპერატიული ინფორმირება ახალი სამკურნალწამლო საშუალებების, აგრეთვე სამკურნალწამლო საშუალებათა ნომენკლატურიდან ამოღებული მედიკამენტების შესახებ;

— გააძლიეროს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ქალაქ თბილისის მოსახლეობის სამკურნალწამლო დახმარების ხარისხისათვის;

— გააუმჯობესოს მედიკამენტების, განსაკუთრებით ახალი მედიკამენტების, რესურსების განაწილება მათი უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით;

— გააუმჯობესოს სააფთიაქო დაწესებულებებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა მოწინავე გამოცდილების გავრცელების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრაქტიკაში დანერგვის, სამკურნალწამლო უზრუნველყოფის საკითხებზე მოსახლეობის წერილებისა და განცხადებების ყურადღებით განხილვის და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ზ. პატარაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

36 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სა- მინისტროს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეო- ბის საწარმოო სამმართველოს შექმნის შესახებ

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სამელიორაციო სისტემათა და წყალსამეურ-
 ნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების,
 შინასამეურნეო სარწყავი და დამშრობი სისტემების სრული ტექნიკური მომ-
 სახურების უზრუნველყოფის, სარწყავი და დამშობილი მიწების გამოყენების
 ეფექტიანობის ამაღლების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ
 კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 მაისის № 396 და საქართველოს კპ
 ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის
 30 სექტემბრის № 744 დადგენილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ
 მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას 1981 წლის 1 აპრილიდან აფხაზეთის მელიორაციისა და წყალ-
 თა მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე საქართველოს სსრ მელიორაციისა და
 წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურ-
 ნეობის საწარმოო სამმართველო. ამავე დროს ახალშექმნილ საწარმოო სამ-
 მართველოს დაექვემდებარონ აღნიშნული სამინისტროს სისტემის გალის მე-
 ლიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველო და ოჩამჩირის № 12 მო-
 ძრავი მექანიზებული კოლონა.

აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმარ-
 თველო შეიქმნას საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის
 სამინისტროსათვის 1981 წელს დამტკიცებული მმართველობის აპარატის რი-
 ცხოვნობის, ხელფასის ფონდის, მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა და საბიუ-
 ჯეტო ასიგნებათა (საოპერაციო ხარჯების) ფარგლებში.

აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართვე-
 ლოს აპარატის შენახვა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხა-
 რჯზე.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის
 სამინისტროს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო
 სამმართველოს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამე-
 ლიორაციო სისტემათა და წყალსამეურნეო ნაგებობათა ექსპლუატაციის, მეურ-
 ნეობათა შინასამეურნეო ქსელის ტექნიკური მომსახურების, მატერიალურ-
 ტექნიკური მომარაგების, საკუთარი საწარმოო ბაზების კაპიტალური მშენებ-
 ლობის, დაგეგმვის, დაფინანსების, აღრიცხვისა და კონტროლის ფუნქციები.

3. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტ-
 როს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმარ-



თველო მიეკუთვნოს წელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ანაზღაურების მეორე ჯგუფს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მოქმედი სამმართველოს ანალოგიურად.

4. გავრცელდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედება.

შეტანილ იქნეს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ბალანსში მისი საქვეუწყებო გალის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ოჩამჩირის № 2 მოძრავი მექანიზებუ-ლი კოლონის ბალანსები.

5. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. კატარიაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1981 წ. 14 აპრილი, № 265.

37 ტრანსპორტის მიწების დეზულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილების თაობაზე და „საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სსსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგზაო მეურნეობის მმართველობის დარგში გამოცემული ზოგიერთი დადგენილების შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 იანვრის № 46 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის № 24 თანდართული დადგენილება „ტრანსპორტის მიწების დეზულების დამტკიცების შესახებ“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს II განყოფის მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 იანვრის № 46 დადგენილებისა „საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სსსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგზაო მეურნეობის მმართველობის დარგში გამოცემული ზოგიერთი დადგენილების შესახებ“ (საქსსრ დადგ. კრებ., 1939 წ.; № 2, მუხ. 6).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 20 აპრილი, № 281

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 224

1981 წლის 20 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

ტრანსპორტის მიწების დეზულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის შესაბამისად და ტრანსპორტის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი მიწებით სარგებლობის წესის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება ტრანსპორტის მიწების შესახებ.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტინონოვი**.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981
წლის 8 იანვრის № 24 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტრანსპორტის მიწების შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება არეგულირებს რკინიგზის, საზღვაო, შინაგანი წყლის, საავტომობილო, საჰაერო და მილსადენი ტრანსპორტის მიწებით სარგებლობის წესს.

2. ტრანსპორტის მიწებად ითვლება ის მიწები, რომლებიც მიცემული აქვთ ტრანსპორტის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს იმისათვის, რათა განახორციელონ ტრანსპორტის ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა ობიექტების ექსპლუატაციის, მოვლის, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტის, სრულყოფისა და განვითარების საქმეში მათთვის დაკისრებული სპეციალური ამოცანები.

აღნიშნული მიწებისათვის მიჩენილი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმების ან საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

მიწის ნაკვეთები გამოიყოფა მათი ათვისების რიგითობის გათვალისწინებით.

3. მიწის ნაკვეთები ტრანსპორტის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიეცემათ, როგორც წესი, უკუადო სარგებლობისათვის.

საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტრანსპორტის ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან რემონტის პერიოდში ტრანსპორტის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დროებითი სარგებლობისათვის მიეცემათ მიწის ნაკვეთები, რომლებიც საჭიროების ვადის გავლის შემდეგ მოყვანილი უნდა იქნეს მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში.

4. ტრანსპორტის ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა ობიექტების გახ-
 ლაგება დასახლებული პუნქტების ფარგლებში ტრანსპორტის საწარმოების,
 დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიცემულ მიწებზე ხორციელდე-
 ბა სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტებთან
 შეთანხმებით.

5. ტრანსპორტის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს უფ-
 ლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი საჭიროებისათვის მათთვის მიცემულ მიწის
 ნაკვეთებზე არსებული საყოველთაოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისე-
 ული, ტორფი და წყლის ობიექტები.

6. ტრანსპორტის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუ-
 ძლიათ მათთვის მიჩენილი მიწებიდან დადგენილი წესით გადასცენ დროებითი
 სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთები სხვა საწარმოებს, დაწესებულებებსა და
 ორგანიზაციებს მისასვლელი ლიანდაგების, გასასვლელების დასატვირთ-გად-
 მოსატვირთი მოედნების, საწყობებისა და სხვა ობიექტების მოსაწყობად. სა-
 წარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, რომლებმაც დროებითი სარ-
 გებლობისათვის მიიღეს მიწის ნაკვეთები, აღნაშნაურებენ ტრანსპორტის სა-
 წარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს აღნიშნული ნაკვეთების მოე-
 ლისა და გაუმჯობესებისათვის ამ პერიოდში გაწეულ ხარჯებს.

ტრანსპორტის მიწები შეიძლება აგრეთვე მიეცეთ დროებითი სარგებლო-
 ბისათვის:

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო და საზოგა-
 დობრივ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს —
 სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის;

ცალკეულ კატეგორიათა ტრანსპორტის მუშაკებს — სასამსახურო მიწის
 ნაკვეთებად;

მოქალაქეებს — პირუტყვის საძოვრად და სათიბად.

7. ტრანსპორტის ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა ობიექტების მშე-
 ნებლობის, რეკონსტრუქციის ან რემონტის დაპროექტებისას შეიძლება ვათ-
 ვალისწინებულ იქნეს მიწის ნაკვეთები დაცვითი ტყის ნარგავებისა და მოწყო-
 ბილობებისათვის თოვლის ნამქერებით დაზიანებულ ადგილებში.

დაცვითი ტყის ნარგავებისა და მოწყობილობებისათვის მიწის ნაკვეთების
 ფართობი განისაზღვრება შესაბამისი სახეობის ტრანსპორტისათვის მიწების
 გამოყოფის ნორმებით.

ტრანსპორტის საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები მოვალე-
 ნი არიან განახორციელონ დაცვით ტყის ნარგავებში მკვნიბლებისა და სარგე-
 ვების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, ხანძარსაწინააღმდეგო და მათი
 მოვლა-პატრონობის სხვა ღონისძიებანი.

8. ტრანსპორტის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციები-
 სათვის სარგებლობაში გადაცემული მიწების მიმდებარე მიწებზე ტრანსპორტის
 ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა ობიექტების ნორმალური ექსპლუატა-

ციის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება შემოღებულ იქნეს დაცვის ზონები, რომლებშიც დაწესდება მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობები.

დაცვის ზონების შემოღების, მათი ფართობის და დაცვის ზონების მიწებით სარგებლობის რეჟიმის დადგენის წესი განისაზღვრება ტრანსპორტის თითოეული სახეობისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ტრანსპორტის დაცვის ზონების მიწები რჩება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა სარგებლობაში და ისინი იყენებენ დაწესებული შეზღუდვების დაცვით.

9. ტრანსპორტის დაცვის ზონებს განეკუთვნება ტრანსპორტის ნაგებობათა, მოწყობილობათა და სხვა ობიექტების შენარჩუნების, გამძლეობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები, აგრეთვე ტრანსპორტის მიწების მიმდებარე მოძრავივიანი მიწები.

10. ტრანსპორტის დაცვის ზონებში აკრძალულია:

ტრანსპორტის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წერილობითი თანხმობის გარეშე მუდმივი და დროებითი ხასიათის ყოველგვარი სამშენებლო, სამონტაჟო და სამთო სამუშაოების წარმოება;

ტყის ჭრა და მცენარეული საფარის დარღვევა ისეთი ხერხებით, რომელთაც შეუძლიათ წარმოშვან მეწყერი, შვავი, ლვარცოფი, ხრამები, წარმოქმნან მოძრავი ქვიშა, თოვლის ნამქერი, ზვავი და ა. შ.

11. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამშენებლო ნორმებითა და წესებით განისაზღვრება სათანადო მანძილი ტრანსპორტის ნაგებობებიდან, მოწყობილობებიდან და სხვა ობიექტებიდან დასახლებულ პუნქტებამდე, სარეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოებამდე, ცალკეულ შენობა-ნაგებობებამდე.

12. იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტის ობიექტებს ჰკვეთს სხვა სახის ტრანსპორტის სახაზო ნაგებობები, ელექტროგადაცემის და კავშირგაბმულობის ხაზები, აგრეთვე ასეთი ნაგებობები და ხაზები უახლოვდება ტრანსპორტის ობიექტებს, აღნიშნულ ნაგებობათა, ხაზებისა და ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობები განისაზღვრება შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შეთანხმებით.

13. ტრანსპორტის საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები მოვალენი არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთები არ ჩაიდინონ მეზობელ მიწათმოსარგებლეთა ინტერესების შემლახველი მოქმედება, არ დაუშვან მიწების დაჭაობება და საწარმოო და სხვა ნარჩენებით, ჩამდინარი წყლებით გატუჭყიანება, მიიღონ ზომები ეროზიისაგან ნიადაგების დასაცავად, განახორციელონ ქვიშის, ხრამების, ციცაბო ფერდობების გამაგრება და მოტყევება, აგრეთვე მიწების დაცვისათვის საჭირო სხვა ღონისძიებანი.

14. ტრანსპორტის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სარგებლობაში მიცემული მიწების ჯეოგრაფიული მდებარეობისა და მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად მათი გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა

ეკისრებათ აღნიშნულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

რკინიგზის ტრანსპორტის მიწები

15. რკინიგზის ტრანსპორტის მიწებს განეკუთვნება მიწები, რომლებიც უკავიათ:

რკინიგზის ლიანდაგებს და უშუალოდ მათ მიმდებარე შენობა-ნაგებობებს (რკინიგზის ვაკისი, ხიდები, გვირაბები, ვიადუკები, სასიგნალო მოწყობილობა, სამსახურებრივ-ტექნიკური შენობები და ა. შ.);

გზათა სამინისტროს რკინიგზების კუთვნილ მისასვლელ რკინიგზის ლიანდაგებს, აგრეთვე სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილ მისასვლელ რკინიგზის ლიანდაგებს, რომლებიც განლაგებულია ამ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიის (მიწების) გარეთ;

სადგურებს ენერგეტიკული, სალოკომოტივო, სავაგონო, სალიანდაგო და სატვირთო მეურნეობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ყველა შენობა-ნაგებობითურთ, დაცვითი და გასამაგრებელი ნარგავებითურთ, სამსახურებრივი, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომებითა და რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურების სპეციალური დანიშნულების მქონე სხვა ნაგებობებითურთ.

საზღვაო ტრანსპორტის მიწები

16. საზღვაო ტრანსპორტის მიწებს განეკუთვნება მიწები, რომლებიც უკავიათ:

საზღვაო ნავსადგურებს, მათ შორის თევზის მრეწველობის ნავსადგურებსა და სხვა სპეციალიზებულ საზღვაო ნავსადგურებს, სანაპიროებითურთ, მოედნებითურთ, ნავმისადგომებითურთ, ვაგზლებითურთ, ფლოტის საერთო-სანავსადგურო და კომპლექსური მომსახურების შენობა-ნაგებობებით, მოწყობილობებითა და ობიექტებითურთ;

ჰიდროტექნიკურ ნაგებობებსა და სანავიგაციო ვითარების საშუალებებს, ვემოსარემონტო ქარხნებსა და საწარმოებს, სახელოსნოებს, ბაზებს, საწყობებს, რადიოცენტრებს, სამსახურებრივ, საცხოვრებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომებსა და საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სპეციალური დანიშნულების მქონე სხვა ნაგებობებს.

17. ნავსადგურების ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია ნავსადგურების (არხების) მისასვლელებთან და ნავსადგურების ტერიტორიაზე ხიდური, საკაბელო და სპაერო გადასასვლელების, წყალსადები და სხვა ობიექტების მშენებლობა, აგრეთვე რადიოსისტემების აგება რადიოსანავიგაციო ობიექტების მოქმედების ზონაში.

შინაგანი წყლის ტრანსპორტის მიწები

18. შინაგანი წყლის ტრანსპორტის მიწებს განეკუთვნება მიწები, რომლებიც უკავიათ:

ნავსადგურებს, ნავმისადგომებს, სპეციალიზებულ ნავმისადგომებს; ნავსადგურებსა და ყურეებს ყველა ტექნიკური ნაგებობითა და მოწყობილობითურთ, რომლებიც უზრუნველყოფენ შინაგანი წყლის ტრანსპორტის საჭიროებებს;

სამგზავრო ვაგზლებს, პავილიონებსა და ნავმისადგომებს;

სანაოსნო არხებს, სანაოსნო და ენერგეტიკულ ნაგებობებსა და სამსახურებრივ-ტექნიკურ შენობებს;

ნაპირგასამაგრებელ ნაგებობებსა და ნარგავებს;

კავშირგაბმულობის კვანძებს, რადიოცენტრებსა და რადიოსადგურებს;

წყალსავალი გზების მომსახურებისათვის საჭირო შენობებს, სანაპირო სანავიგაციო ნიშნებსა და სხვა ნაგებობებს, გემთსარემონტო ქარხნებს, სარემონტო-საექსპლუატაციო ბაზებს, სახელოსნოებს, გემთსაშენებს, სალექსორ-სარემონტო პუნქტებს, საწყობებს, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზებს, საინჟინრო ქსელებს, სამსახურებრივ, საცხოვრებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომებსა და შინაგანი წყლის ტრანსპორტის მომსახურების სპეციალური დანიშნულების მქონე სხვა ობიექტებს.

19. შინაგან წყალსავალი გზებზე, დასახლებული პუნქტების გარეთ ნაოსნობასთან და დაკურობასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის გამოიყოფა დადგენილი წესით სანაპირო ზოლი. სანაპირო ზოლის მიწები არ ჩამოერთმევათ მიწათმოსარგებლეებს, მაგრამ წესდება ამ მიწებით სარგებლობის განსაკუთრებული პირობები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობები არ წესდება სანაპირო ზოლის ნაკვეთებზე, რომლებიც უკავიათ ჰიდროტექნიკურ და სამელიორაციო შენობა-ნაგებობებს, ბალ-ვენახებსა და სხვა ძვირფას ნარგავებს, ნათესებს, საკარმიდამო ნაკვეთებზე, აგრეთვე სპეციალური ნაგებობებითა და ნარგავებით გამაგრებულ ნაკვეთებზე და რკინიგზების, საავტომობილო გზებისა და მაგისტრალური მილსადენების დაცვის ზონებში.

20. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ნაოსნობის მარგულირებელ ორგანოებთან შეთანხმებით გამოყოფენ სანაოსნო გზების ნაპირებზე საერთო სარგებლობის ნავმისადგომ უბნებს. ეს უბნები ვათვალისწინებულია ნაებისა და ტივების მოკლე ხნით მისადგომად, ტვირთების დასატვირთ-გადმოსატვირთად.

ამ ნავმისადგომი უბნების მოწყობა და მოვლა ეკისრებათ სახალხო დეპუტატთა ზემოაღნიშნული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

საავტომობილო ტრანსპორტის მიწები

21. საავტომობილო ტრანსპორტის მიწებს (საგზაო მეურნეობის ჩათვლით) განეკუთვნება მიწები, რომლებიც უკავიათ:

ა) საავტომობილო გზებსა და უშუალოდ მათ მიმდებარე შენობა-ნაგებობებს (მიწის ვაკისი, ხიდეები, სასიგნალო მოწყობილობა, სამსახურებრივ-ტექნიკური შენობები და ა. შ.), წყალსარინ, დამცავ და სხვა ხელოვნურ ნაგებობებს, მოძრავი შემადგენლობის სადგომ და სარეცხ მოედნებს, დაცვით ტყის ნარგავებს, გზაჯვარედინებსა და გადასასვლელებზე არსებულ ნაგებობებს, საწარმოო შენობა-ნაგებობებს, ბაზებს, ქარხნებს, კარიერებს, სამსახურებრივ, საცხოვრებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომებსა და საგზაო მეურნეობის მომსახურების სპეციალური დანიშნულების მქონე სხვა ობიექტებს;

ბ) ენერგეტიკულ, საგარაჟო და ბენზინსარიგებელ მეურნეობათა ნაგებობებსა და მოწყობილობებს, ავტოსადგურებსა და ავტოვაგზლებს, სახაზო საწარმოო ნაგებობებს, სამსახურებრივ-ტექნიკურ შენობებს, ტექნიკური მომსახურების სადგურებს, საერთო სარგებლობის ავტოგასაწყობ სადგურებს, სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოებს, ავტოსარემონტო ქარხნებს, ბაზებს, სატვირთო ეზოებს, საკონტინერო და გადასაბმელ მოედნებს, სამსახურებრივ, საცხოვრებელ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებსა და საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სპეციალური დანიშნულების მქონე სხვა ობიექტებს.

საჰაერო ტრანსპორტის მიწები

22. საჰაერო ტრანსპორტის მიწებს განეკუთვნება მიწები, რომლებიც უკავიათ:

აეროპორტებს, მათ შორის აეროდრომებს, განცალკევებულ ნაგებობებს (საჰაერო მოძრაობის მართვის, რადიონავიგაციისა და დაჯდომის ობიექტები, საწმენდი და სხვა ნაგებობანი), სამსახურებრივ-ტექნიკურ ტერიტორიას ყველა შენობა-ნაგებობებითურთ, რომლებიც უზრუნველყოფენ საჰაერო ტრანსპორტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

ვერტმფრინავთა სადგურებს, მათ შორის ვერტოდრომებს, სამსახურებრივ-ტექნიკურ ტერიტორიას ყველა შენობა-ნაგებობითურთ;

სამოქალაქო ავიაციის საავიაციო ტექნიკის სარემონტო ქარხნებს, აეროდრომებს, ვერტოდრომებს, ჰიდროაეროდრომებსა და საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისათვის საჭირო სხვა მოედნებს;

საცხოვრებელ, სამსახურებრივ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომებსა და საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების სპეციალური დანიშნულების მქონე სხვა ობიექტებს.

23. საჰაერო ხომალდების აფრენის, დაჯდომისა და სხვა მანევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით წესდება დაცვის ზონები. მათ განეკუთვნება

ნება აეროდრომისპირა ტერიტორიები და მათში შემავალი საჰაერო მისასვლელთა ზოლები.

აღნიშნულ ზონებში სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს შესაბამის ორგანოებთან შეუთანხმებლად დაუშვებელია შენობა-ნაგებობების, კავშირგაბმულობის ხაზების, მაღალძაბვიანი ელექტროგადაცემის ხაზების, რადიოტექნიკური, შუქტექნიკური, აფეთქებასაფრთხიანი და სხვა ობიექტების განლაგება, რომელთაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან საჰაერო ხომალდების ფრენას, შეაფერხონ აეროდრომის, აეროპორტის რადიოტექნიკურ საშუალებათა და სსრ კავშირის საჰაერო ტრასების რადიოსანავიგაციო მოწყობილობათა ნორმალური მუშაობა, აგრეთვე კვამლისა და გაზების გამოშობლქვი სამრეწველო საწარმოების, წყალთა მეურნეობის ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, რომლებიც აუარესებენ ხილვადობას აეროდრომების, აეროპორტების რაიონში.

აეროდრომების ტერიტორიის მიმდებარე მიწებზე, 15 კილომეტრ მანძილზე აკრძალულია კვების ნარჩენების კონცენტრირებული საყრელი ადგილების განლაგება, მენადირეობის ფერმების, პირუტყვის სასაკლაოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ საჰაერო ხომალდების ფრენისათვის საშიში ფრინველების მასობრივ შეგროვებას.

მილსადენი ტრანსპორტის მიწები

24. მილსადენი ტრანსპორტის მიწებს განეკუთვნება მიწის ნაკვეთები, რომლებიც უკავიათ მიწაზე მდებარე და მიწისზედა მაგისტრალურ მილსადენებსა და მათს ნაგებობებს, აგრეთვე მიწისქვეშა მაგისტრალური მილსადენების მიწისზედა ნაგებობებს, მათ შორის:

საკეტ არმატურას, ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებზე გადასასვლელებს, სატუმბი, საკომპრესორო და გამანაწილებელი სადგურების მიერთების კვანძებს, საშემოდ მოწყობილობათა ასამუშაებელ-მისაღებ კვანძებს, ნავთობის აღრიცხვისა და გაზის ხარჯვის გასაზომ კვანძებს, კონდენსატსაგროვებლებს, მეთანოლის შესაყვან მოწყობილობებს;

ენერგომომარაგების, კავშირგაბმულობის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, კოროზიისაგან მილსადენების ელექტროქიმიური დაცვის მიწისზედა დანადგარებს;

ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს, ეროზიასაწინააღმდეგო და მილსადენების დამცავ ნაგებობებს;

კონდენსატის შესანახ და გაზგამცლელ ტევადობებს, მიწსაცავეებს ნავთობის, ნავთობპროდუქტების, კონდენსატისა და თხევადი ნახშირწყალბადების ავარიული გამოშვებისათვის.

მილსადენების ექსპლუატაციის სახაზო სამსახურის ნაგებობებს;

მილსადენების ტრასების გასწვრივ განლაგებულ მულმივ გზებს, ვერტ-მფრინავთა მოედნებს და მათთან მისასვლელებს, მილსადენების განლაგების გამოსაცნობ და სასიგნალო ნიშნებს;

მთავარ და შუალედურ გადასატუმბ და ჩასასხმელ სატუმბ სადგურებს, სარეზერვუარო პარკებს, საკომპრესორო და გაზგამანაწილებელ სადგურებს, გაზის გასაცეხებელ სადგურებს (დანადგარებს);

გაზის მიწისქვეშ შესანახ სადგურებს;

ჩასასხმელ-გადმოსასხმელ ესტაკადებსა და მისადგომებს;

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემთბობ პუნქტებს.

25. მაგისტრალური მილსადენების მშენებლობამ არ უნდა გამოიწვიოს მილსადენი ტრანსპორტის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სარგებლობაში გადაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანა ნაკლებ მნიშვნელოვანი სახეობის საეარგულეებში, აგრეთვე არ უნდა დააბრკოლოს ამ მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენება.

მილსადენების მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ მიზნით დროებით სარგებლობაში გადაცემული მიწები დაუბრუნდებათ მიწათმოსარგებლებებს დადგენილი წესით.

26. მასალები მილსადენების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ (შესასრულებელი ავეგმვა) გადაეცემათ დადგენილი წესით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიწათსარგებლობის რაიონულ რუკებზე მილსადენების ტრასების აღნიშვნისათვის.

სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ცნობებს მილსადენების განლაგების შესახებ მისცემენ დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

დამტკიცებულია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის № 24 დადგენილებით

ნ უ ს ს ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 7 თებერვლის № 58/50 დადგენილება „ტრანსპორტისათვის მიცემული მიწების დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1933 წ., მუხ. 66ა, 66ბ).

2. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 7 ივლისის № 99/1490 დადგენილება „ტრანსპორტისათვის მიცემული მიწების დებულების შეცვლის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1934 წ., № 35, მუხ. 276).

3. II განყოფის მე-5 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 2 ნოემბრის № 1185 დადგენილებისა „სავზაო მეურნეობის მართვის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრებ., 1938 წ., № 50, მუხ. 281).

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 26 ოქტომბრის № 3670 დადგენილება „საზღვაო სავაჭრო ნავსადგურების მუშაობის მარეგულირებელი კანონმდებლობის თევზის მრეწველობის ნავსადგურებზე გავრცელების შესახებ“.

38 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილების მე-15 პუნქტის ძალადაპარგულებად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-15 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 დადგენილებისა „უღედამიოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **წ. პატარძიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1981 წ. 20 აპრილი, № 282

39

არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციის ინსპექციის ის სანიმუშო დებულების დამტკიცების შესახებ

არასრულწლოვანთა შორის უმეტვეალყურეობისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული სანიმუშო დებულება არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების შესახებ.

2. დავალით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა სამმართველოებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შინაგან საქმეთა განყოფილებებს მიიღონ სათანადო ზომები 1981 წელს წესრიგის დაცვის ყველა საზოგადოებრივ პუნქტთან არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების შესაქმნელად, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის მათი საქმიანობის გასააქტიურებლად.

3. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციებისათვის სადგომების გამოყოფა და მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ 1982 წლის პირველ კვარტალში განიხილოს არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების შექმნისათვის ვაწვეული მუშაობის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ანვლედიანი.**



საქართველოს
ზრუნველობის
კომისია

დაგეგმვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1981 წლის 27 აპრილის № 295 დადგენილებით

სანიმუშო დავულება

არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციები წარმოადგენენ საზოგადოებრივ ფორმირებებს, რომლებიც იქმნება წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებთან არასრულწლოვანთა შორის უმეტეაღყურებისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის დახმარების გასაწევად და არასრულწლოვანებზე სათანადო აღმზრდელითი ზემოქმედების მოსახდენად.

2. ვადაწყვეტილებებს არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების შექმნისა და გაუქმების შესახებ მიიღებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, სადაც არ არის რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომები წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის წინადადებით.

3. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების მუშაობას უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევენ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოები, რომელთა მომსახურების ტერიტორიაზეც შექმნილია ეს ფორმირებანი.

4. სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასკომები და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები განახორციელებენ სახელმწიფოებრივ კონტროლს არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების საქმიანობისადმი, უზრუნველყოფენ ურთიერთმოქმედებას სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან არასრულწლოვანთა შორის უმეტეაღყურებისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

5. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციები მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის მუშაობას განახორციელებენ სოციალისტური კანონიერების ნორმების განუხრელი დაცვის საფუძველზე შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებთან მჭიდრო კონტაქტით, ამასთან დაემყარებიათ კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, სახალხო განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების, შრომითი კოლექტივების, სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებდს, საზოგადოებრივი



წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.

6. შინაგან საქმეთა ორგანოები უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივ ინსპექციებს მათი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციით არასრულწლოვანთა შორის უმეტეაღყურეობისა და სამართალდარღვევების მდგომარეობის შესახებ.

აღნიშნული ინფორმაციის მოცულობას, შინაარსსა და წარდგენის პერიოდულობას განსაზღვრავენ შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები.

7. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივ ინსპექციებში სამუშაოდ შეიძლება მიწვეულ იქნენ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ს ა წ ყ ი ს ე ბ ზ ე ს ს რ კ ა ვ შ ი რის მოქალაქენი არანაკლებ 18 წლისა, რომლებიც დადებითად ხასიათდებიან წარმოებაში, სწავლისა და საცხოვრებელ ადგილზე, თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლიათ წარმატებით შეასრულონ არასრულწლოვანთა შორის უმეტეაღყურეობისა და სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად და მათზე სათანადო აღმზრდელობითი ზემოქმედების მოსახდენად დასახული ამოცანები.

აღნიშნული პირები, როგორც წესი, გაფორმდებიან მილიციის შტატგარეშე თანამშრომლებად და შეირჩევიან მოწინავე მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური პედაგოგიური, იურიდიული და სხვა სასწავლებლების სტუდენტთა და მოსწავლეთა, პენსიონერთა, მშობელთა კომიტეტების, ოჯახისა და სკოლისათვის ხელშეწყობი კომისიების წევრთა და სხვა მოქალაქეთაგან, რომელთაც აქეთ სათანადო ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, ცხოვრებისეული გამოცდილება ან მოზარდებთან მუშაობის გამოცდილება.

8. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივ ინსპექციებს სათავეში უდგანან მილიციის ყველაზე გამოცდილი შტატგარეშე თანამშრომლები.¹

შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) ორგანოების უფროსები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომებს წარუდგენენ წინადადებებს წესრიგის დაცვის იმ საზოგადოებრივი ბუნქტის საბჭოს წევრებად ზემოაღნიშნულ პირთა დამტკიცების შესახებ, რომლის მომსახურების ტერიტორიაზეც შექმნილია არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექცია.

9. არასრულწლოვანთა შორის უმეტეაღყურეობისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომების გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით და ამ დებულებით.

¹ აღნიშნულ პირთა შერჩევის, გაფორმების წესი და მათთვის მოწოდების მიცემა რეგლამენტირებულია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1976 წლის 31 დეკემბრის № 333 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით მილიციის შტატგარეშე თანამშრომლებთან მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

II. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი

1. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციები ეხმარებიან და ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა ორგანოებს იმ მხრივ, რომ განახორციელონ ინდივიდუალური აღმზრდელი ღონისძიებანი:

— არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, მსჯავრდებული არიან პირობით ან თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელის სხვა ზომებით, რომელთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება გადავადებულია; რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ განთავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით ანდა ამნისტიის აქტის შედეგად; რომელთაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში მოქმედება იმ ასაკის მიღწევამდე, როცა დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ვადა, აგრეთვე ჩაიდინეს დანაშაული, როცა მათ მიმართ აღკვეთის ზომა დაკავშირებული არაა დაპატიმრებასთან; რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალური სასწავლო-აღმზრდელი დაწესებულებებიდან; რომელთაც ჩაიდინეს სამართალდარღვევები, რასაც მოჰყვება საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები; რომლებიც ეტანებიან სპირტიან სასმელებს, ნარკოტიკულ ან ფსიქოტრონულ ნივთიერებებს; სისტემატურად თვითნებურად მიდიან ოჯახიდან 16 წლამდე ასაკში ან თვითნებურად ტოვებენ სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელი დაწესებულებებს; ჯიუტად არიდებენ თავს სწავლას, მუშაობას; სისტემატურად ეწევიან აზარტულ თამაშებს, აგრეთვე სხვაგვარ ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას¹;

— მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა მიმართ, რომლებიც ჯიუტად არ ასრულებენ ბავშვთა აღზრდისათვის დაკისრებულ მოვალეობებს და თავიანთი ანტისაზოგადოებრივი საქციელით ხელს უწყობენ მათ მიერ სამართალდარღვევის ჩადენას².

2. არასრულწლოვანთა შორის უმეტადად ურთიერთობისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების საქმიანობაში მონაწილე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები:

— გამოავლენენ არასრულწლოვან სამართალდარღვევებს, მშობლებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვთა ყოფაქცევაზე, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ არასრულწლოვანებზე, აჩვენებენ მათ ლოთობას, დანაშაულთა ჩადენას, და დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ასეთ პირთა შესახებ შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონულ) ორგანოებს მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

¹ შემდგომში „არასრულწლოვანი სამართალდარღვევები“.

² შემდგომში „მშობლები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვთა ყოფაქცევაზე“.

— უშუალო მონაწილეობას მიიღებენ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და შინაგან საქმეთა ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანილ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან და იმ მშობლებთან ინდივიდუალური აღმზრდელიობითი მუშაობის განხორციელებაში, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვთა ყოფაქცევაზე.

არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივ ინსპექციებში არასრულწლოვანთა და მათ მშობელთა რაიმე დამატებითი აღრიცხვის წარმოება არ შეიძლება;

— საჭირო შემთხვევებში უშუამდგომლობენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე იმის შესახებ, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს მიუჩინონ საზოგადოებრივი აღმზრდელი, შეფები, დამრიგებლები;

— მილიციის მუშაებთან, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრებთან და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ რეიდების ჩატარებაში, პატრულირებაში, მორიგეობაში საზოგადოებრივ ადგილებში არასრულწლოვანთა მოქმედებისადმი კონტროლის მიზნით, აგრეთვე ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების თანამდებობის პირებს მოზარდთა შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის სხვა ღონისძიებათა განხორციელებაში;

— ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ მიიზიდონ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები სპორტში სამეცადინეოდ, მხატვრული თვითმოქმედების წრეებში, კლუბებში ინტერეს-მიდრეკილებათა მიხედვით, აგრეთვე მოაწყონ მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო დასაქმება ზაფხულის პერიოდში, მათ შორის ვაგზავნონ არასრულწლოვანები გასამხედროებულ, სპორტულ-შრომით და სხვა სპეციალიზებულ ბანაკებში, აგრეთვე სტუდენტთა რაზმების შემადგენლობაში სამუშაოდ;

— წარუდგენენ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს წინადადებებს იმის შესახებ, რომ განიხილონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა, მშობელთა და სხვა პირთა საქციელი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვთა ყოფაქცევაზე, მობინადრეთა კრებებზე ან წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს სხდომებზე, ანდა მასალები სამართალდამრღვევთა შესახებ გაუგზავნონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამხანაგურ სასამართლოებს, სახლის (ქუჩის, სოფლის) კომიტეტებს, და საჭიროების კვალობაზე მონაწილეობენ ამ მასალების განხილვაში;

— უშუამდგომლობენ შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე იმის შესახებ, რომ აღრიცხვაზე აიყვანონ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევნი და მშობლები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ბავშვთა ყოფაქცევაზე, აგრეთვე მოხსნან პირები აღრიცხვიდან გამოსწორებასთან დაკავშირებით;

— შინაგან საქმეთა ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობენ იმ მიზეზებისა და პი-

რობების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის მუშაობაში, რომლებიც უწყობენ უმეთვალყურეობასა და სამართალდარღვევებს არასრულწლოვანთა შორის;

— მონაწილეობენ არასრულწლოვანთა შორის სამართლებრივი ცოდნის, აგრეთვე მშობელთა შორის სამართლებრივი და პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდაში.

3. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების საქმიანობა ხორციელდება გეგმების საფუძველზე, რომლებიც დგება, როგორც წესი, კვარტალისათვის. სამუშაო გეგმები უთანხმდება შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებს და მტკიცდება წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს მიერ.

4. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი აღირიცხება ნებისმიერი ნიმუშის ყურნალში.

5. ყოველი კვარტალის დამლევს დგება ცნობა არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, რომლის ასლი შესატყობინებლად ეგზავნება შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) ორგანოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას.

საჭირო შემთხვევებში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოსთან შეთანხმებით შეიძლება შემოღებულ იქნეს სათანადო ფორმები (ბლანკები), რომლებიც შეიცავენ ცნობებს საანგარიშო პერიოდებში არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ.

III. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების საქმიანობაში მონაწილე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა წახალისების ღონისძიებანი

1. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების საქმიანობაში და დადებითს შედეგებს აღწევენ არასრულწლოვანთა შორის უმეთვალყურეობისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის მუშაობაში, წახალისებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები მადლობის გამოცხადებით, ფასიანი საჩუქრით, სიგელით დაჯილდოებით, საპატიო დაფაზე შეტანით.

წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების ან შინაგან საქმეთა საქალაქო (რაიონული) ორგანოების უფროსების წარდგენით აღნიშნული პირები შეიძლება წახალისონ საწარმოთა, სასწავლებელთა და დაწესებულებათა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ხელმძღვანელებმა მათი მუშაობის ან სწავლის ადვილზე.

2. საზოგადოებრიობის ყველაზე წარჩინებულ წარმომადგენლებს, რომლებიც ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრები ან საზოგადოებრივი

აღმზრდევები არიან, წახალისების ღონისძიების სახით შეიძლება სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მისცენ დამატებითი ანაზღაურებული შვებულება წელიწადში სამი სამუშაო დღის ხანგრძლივობით.

IV. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივ ინსპექციებს საჭირო სადგომებით, სატელეფონო კავშირით, ავეჯით, ინვენტარითა და დამხმარე თვალსაჩინო საშუალებებით უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები იმ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა შრომითი კოლექტივებიც ეწევიან მუშაობას წესრიგის დაცვის შესაბამისი საზოგადოებრივი პუნქტების ტერიტორიაზე არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების თავიდან ასაცილებლად.

2. შინაგან საქმეთა ორგანოები უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივ ინსპექციებს მათი მუშაობისათვის საჭირო საინსტრუქციო-მეთოდოლოგიური მასალებითა და იურიდიული ლიტერატურით.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2, 1981 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-81 წ. ქალაქის ზომა 70×1/16,
საბეჭდი თაბახი 11,25, სააღრიცხვო თაბახი 11,25.

66/6